

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

გიორგი ამილახვარი

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,
პროფესორი ზვიად გაბისონია

თბილისი, 0175, საქართველო

თებერვალი 2017 წ

საავტორო უფლების გვერდი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა და დიპლომატიის სკოლა

დოქტორანტი: გიორგი ამილახვარი

სადისერტაციო ნაშრომის სათაური:

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის

სამართლებრივი ბუნება

ინდივიდუალური პიროვნებების ან უნივერსიტეტის მიერ ზემოთმოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს უნივერსიტეტს. ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

გიორგი ამილახვარი

28, თებერვალი 2017წ.

გამოყენებული აბრევიატურების/ტერმინების განმარტება

- აკრედიტივი - დოკუმენტური აკრედიტივი - კომერციული აკრედიტივი, ნაშრომში გამოყენებულ აღნიშნულ ტერმინებს აქვთ იდენტური მნიშვნელობა რაც საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივს (Letter of Credit);
- გამყიდველი-ექსპორტიორი, ნაშრომში გამოყენებულ აღნიშნულ ტერმინებს კონტექსტიდან გამომდინარე აქვთ იდენტური მნიშვნელობა რაც საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ბენეფიციარს;
- მყიდველი-იმპორტიორი, ნაშრომში გამოყენებულ აღნიშნულ ტერმინებს კონტექსტიდან გამომდინარე აქვთ იდენტური მნიშვნელობა რაც საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის აპლიკანტს;
- Issuing Bank - გამხსნელი ბანკი;
- Correspondent Bank - საკორესპოდენტო ბანკი; ნაშრომის კონტექსტიდან გამომდინარე ქვევით ჩამოთვლილ ბანკებს აქვთ იდენტური მნიშვნელობა:
- Confirming Bank - დამადასტურებელი-საავიზო ბანკი;
- Advising Bank - შემტყობინებელი-ავიზერებადი ბანკი;
- Nominated Bank - დასახელებული ბანკი;
- UCP – Unifor Customs and Practice for Documentary Credits 600, გამოცემულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ, რომელიც ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს და წესებს საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოსაყენებლად. ბოლო ვერსია - ძალაშია 2007 წლის 1 ივლისიდან;
- ICC – International Chamber of Commerce, საერთაშორისო სავაჭრო პალატა;
- UNCITRAL – United Nations Comission on International Trade Law, გაეროს კომისია საერთაშორისო სავაჭრო სამართალზე;
- URDG – Uniform Rules for Demand Guarantees, მიღებული 1992 წელს ICC და UNCITRAL მიერ;
- ISP98 – International Standbay Practices, მიღებულია 1998 წელს ICC მიერ და ძალაშია 1999 წლის 1 იანვრიდან;
- CISG – United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, მიღებულია 1980 წელს UNCITRAL მიერ;
- UCC – Uniform Comercial Code, აშშ-ს სავაჭრო კოდექსი;
- SLC – Standby Letter of Credit, საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ერთ-ერთი სახე;
- Bill of Lading - სატრანსპორტო კონოსამენტი, ნაშრომის კონტექსტიდან გამომდინარე იდენტური მნიშვნელობა აქვს რაც სატრანსპორტო ზედნადებს;

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომი შეეხება თანამედროვე საბანკო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და საინტერესო საბანკო მომსახურების ხელშეკრულებას - საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივს და მის სამართლებრივ ბუნებას.

ცნობილია, რომ დოკუმენტური აკრედიტივი საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე მიმზიდველი და უსაფრთხო ანგარიშსწორების ფორმაა, ვინაიდან ის საშუალებას იძლევა სასყიდლიანი ხელშეკრულების დადებისას, მხარეებმა დამატებითი გარანტიები მიიღონ ანგარიშსწორებისას, რათა ორივე მხარემ თავი დაცულად იგრძნოს. ამიტომაც დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების კვლევას აქვს როგორც თეორიული, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ქართულ რეალობაში.

მთავარი პრობლემა, რაც საქართველოში დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების განვითარებას ხელს უშლის, არის მისი ძალზედ მწირი სამართლებრივი რეგულირება. მისი გამოყენებადობა და მარეგულირებელი კანონმდებლობა სცილდება კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს. სწორედ ამიტომაცაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 878-ე მუხლი (საერთაშორისო მიმოქცევის ჩვეულებები), პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტალური აკრედიტივის დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით. ეს კი ავტომატურად ქმნის დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნების საერთაშორისო ასპექტში შესწავლის აუცილებლობას, რაც დეტალურადაა განხილული ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი შეეხება საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის არსს, სადაც განხილულია დოკუმენტური აკრედიტივის ცნება და მისი დეფინიცია სამოქალაქო კოდექსიდან და საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე. დღეისათვის მოქმედი დოკუმენტური აკრედიტივის ანგარიშსწორების საერთაშორისო მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისა და დამკვიდრებული პრაქტიკით, დოკუმენტური აკრედიტივი არის შეთანხმებულ თანხაზე საქონლის მყიდველის დავალებით, მომსახურე ბანკის წერილობითი ვალდებულება, გადაუხადოს გამყიდველს განსაზღვრული თანხა დადგენილ ვადაში შეთანხმებული პირობების შესრულების შემდეგ. თანხის გადახდის საფუძველს წარმოადგენს ბანკისთვის გამყიდველის

მიერ აკრედიტივის პირობებით შეთანხმებული შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა.

დეტალურად განხილულია საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი ე.წ. „Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600)“, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ და რომელიც ადგენს საერთაშორისო სტანდარებს და წესებს საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოსაყენებლად. თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობებში, გარიგებათა უმრავლესობაში გამოიყენება ანგარიშსწორებისას დოკუმენტური აკრედიტივი, ხოლო ბანკები და მათი აკრედიტივის მომხმარებლები, მისი რეგულირებისათვის ყოველთვის უთითებენ UCP-ის. მისი არსიდან გამომდინარე UCP-ი სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა მხარეების მიერ აკრედიტივის გარიგებაში მისი მარეგულირებლად მითითებით იგი სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტის სახეს იღებს. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი გვევლინება, როგორც სარეკომენდაციო სავალდებულო გამოყენების ხასიათის დოკუმენტად.

ნაშრომის პირველ თავში ასევე განხილულია დოკუმენტურ აკრედიტივში მონაწილე მხარეები, მათი უფლება-მოვალეობები და ურთიერთკავშირი ერთმანეთთან. აკრედიტივთან დაკავშირებული ურთიერთობები საკმაოდ კომპლექსური პროცესია, სადაც მონაწილეობს საქონლის მყიდველი - აპლიკანტი, საქონლის გამყიდველი ბენეფიციარი და აკრედიტივის გამხსნელი ბანკი, რომელიც როგორც წესი აპლიკანტის მომსახურე ბანკია. აღნიშნულ პროცესში შესაძლებელია მონაწილეობდეს დამატებით რამოდენიმე ბანკი, გამომდინარე მხარეებს შორის შეთანხმებული დოკუმენტური აკრედიტივის სახეობიდან და შეთანხმებული პირობებიდან, როგორცაა დამადასტურებელი ბანკი, დასახელებული ბანკი და შემტყობინებელი ბანკი. საერთაშორისო ქეისების საფუძველზე, დეტალურად არის განხილული რიგი პრობლემური საკითხებისა, რაც დაკავშირებულია აკრედიტივის პროცესში, მხარეთა შორის მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან. ამავე თავში გადმოცემულია დოკუმენტური აკრედიტივის ყველა ძირითადი სახე, გაანალიზებულია მათი გამოყენების კონკრეტული შემთხვევები და ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც დაკავშირებული თითოეული აკრედიტივის სახეობის გამოყენებასთან სავაჭრო პრაქტიკაში.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა აკრედიტივის

„დოკუმენტური ბუნება“, „ზუსტი შესატყვისობისა“ და „ავტონომიის“ პრინციპები. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშული პრინციპების კვლევა ქართულ საბანკო სამართლის დოქტრინაში პირველი ცდაა.

მისი სახელწოდებიდანაც გამომდინარე აკრედიტივის დროს საქმე გვაქვს დოკუმენტებთან და არა თავად საქონელთან, რის გამოც იხსნება იგი. შესაბამისად დოკუმენტები წარმოადგენენ მთავარ კომპონენტს აკრედიტივის პროცესში და მათი სრულად და ზუსტად წარდგენის შემდგომ ახორციელებს ბანკი თანხის გადახდას. დეტალურად გაანალიზებულია ყველა დოკუმენტი და მათი სამართლებრივი შინაარსი, რაც შესაძლოა მხარეებს შორის შეთანხმებული იყოს აკრედიტივის პრობემების შედგენისას. ძირითადი ხარვეზები სწორედ ვლინდება ბანკების მიერ დოკუმენტებთან დაკავშირებით. ნაშრომში მკაფიოდ არის გამოვლენილი ყველა ის აქტუალური პრობლემები, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში ახასიათებს აკრედიტივის დოკუმენტურ ბუნებას და შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები, მათი ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადაპტირების თვალსაზრისით.

ასევე მეორე თავში განხილულია, უმნიშვნელოვანესი პრინციპები „ზუსტი შესატყვისობის“ და „ავტონომიის“. ერთ-ერთ მთავარ პირობას აკრედიტივის პროცესში წარმოადგენს ის, რომ ბენეფიციარის მიერ ბანკში წარდგენილი დოკუმენტები თანხის მისაღებად, ზუსტად უნდა შეესაბამებოდნენ მხარეთა მიერ შეთანხმებულ აკრედიტივის პირობებს და დოკუმენტთა ჩამონათვალს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მიერ უარყოფილი იქნება შეუსაბამო დოკუმენტები და არ მოხდება ანგარიშსწორება.

მეორე და უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს აკრედიტივის ავტონომიის-დამოუკიდებლობის პრინციპი. აღნიშული, ფუძემდებლური პრინციპია დოკუმენტური აკრედიტივისთვის, რაც გულისხმობს მის დამოუკიდებელ ბუნებას სხვა ნებისმიერი გარიგებიდან. აკრედიტივის ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულება, დამოუკიდებელია იმ სავაჭრო თუ ნებისმიერი სხვა გარიგებიდან, რაც მყიდველმა და გამყიდველმა დადეს ერთმანეთში და რის საფუძველზეც წარმოიშვა აკრედიტივი. შესაბამისად, მთლიან პროცესში ბანკები და სხვა ჩართული მხარეები ვალდებულნი არიან, იმოქმედონ მხოლოდ აკრედიტივის ფარგლებში და თუ ყველა პირობა იქნება დაკმაყოფილებული მოახდინონ ანგარიშსწორება, მიუხედავად იმისა, მხარეებს შორის შესაძლოა არსებობდეს უთანხმოებანი სავაჭრო გარიგებიდან გამომდინარე. ნაშრომში განხილულია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მაგალითები მრავალ პრობლემურ კრილში, რამაც საფუძველი დაუდო ნახსენები პრინციპების

ჩამოყალბებებს დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით, რის გამოც ეს პროდუქტი სარგებლობს უდიდესი ნდობით თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში. დასკვნის სახით ნათლად არის წარმოჩენილი აუცილებლობა, აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით დოკუმენტური აკრედიტივის რიგი სამართლებრივი რეგულირების შემუშავებისა საქართველოში.

ნაშრომის მესამე თავი შეეხება საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების სპეციფიკას სავაჭრო ტრანზაქციის დროს. განხილულია მთლიანი პროცესი სავაჭრო ტრანზაქციის და ის ეტაპები რაც უნდა გაირაონ მხარეებმა აკრედიტივით ანგარიშსწორებისას. აღნიშნული პრიზმაში, ნათლად არის წარმოჩენილ ყველა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც ახლავს აკრედიტივის რეალურ გამოყენებას სავაჭრო გარიგებაში.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი მთლიანად ეთმობა იმ შედეგების განხილვას რაც საკითხის დამუშავებით გახდა შესაძლებელი და მოცემულია შესაბამისი კონკრეტული რეკომენდაციები. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საბანკო პრაქტიკაში სხვა უზრუნველყოფის თუ ანგარიშსწორების ფორმებთან შედარებით, დოკუმენტური აკრედიტივი ნაკლებად გამოიყენება, როგორც საერთაშორისო ის შიდა ვაჭრობის დროს, რაც ვფიქრობთ არცთუ სახარბიელო ტენდენციაა იმ პირობებში, როდესაც საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ვაჭრობის გაფართოება გახლავთ. საერთაშორისო ვაჭრობაში, კი ანგარიშსწორების დროს მეტწილად გამოყენებულია დოკუმენტური აკრედიტივი, რისი გამოყენებაც აუცილებლად მოუწევთ დიდი სიხშირით ქართველ რეზიდენტ სუბიექტებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ან არიან საერთაშორისო ვაჭრობაში.

ჩვენი მოსაზრებით, აკრედიტივის დაბალი გამოყენების მაჩვენებელი საქართველოში განპირობებულია ორი მთავარი გარემოებით: პირველი, დოკუმენტური აკრედიტივით მომსახურება შედარებით ძვირადღირებული სერვისია სხვა მსგავსი ტიპის პროდუქტებთან შედარებით, ვინაიდან მასში ჩართულია რამოდენიმე ბანკი, რაც თავისთავად ამვირებს მომსახურებას. საერთაშორისო ვაჭრობაში აკრედიტივი აღიარებულია, როგორც ყველაზე უსაფრთხო ანგარიშსწორების ფორმად, შესაბამისად მიგვაჩნია მიუხედავად მისი მაღალი მომსახურების ფასისა, მისი გამოყენება უდავად სასარგებლო იქნება საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ქართული

სუბიექტებისათვის, რომელიც მრავალ სავაჭრო რისკს ააცილებს მათ თავიდან.

მეორე და მთავარი, საქართველოში დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი რეგულირება, ძალზედ მწირი და არასრულყოფილია, რაც თავისთავად გაუგებარს ხდის მხარეებისთვის მისი გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.

დოკუმენტური აკრედიტივის საერთაშორისო პრაქტიკის და სამართლებრივი რეგულაციის მრავალმხრივი შესწავლით, დეტალურად გამოვლენილია და გაანალიზებულია ის ხარვეზები, რაც ახლავს არსებულ რეგულაციას საქართველოში, როგორც ტერმინოლოგიური ასევე შინაარსობრივი კუთხით. ნაშრომიში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და დამატებითი რეგულაციების შესამუშავებლად ქართულ სამართლებრივ სივრცეში დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან.

Summary

The thesis work deals with the most popular and interesting banking service agreement in modern banking legislation - international documentary letter of credit and its legal nature.

It is well known, that documentary letter of credit is the safest and the most attractive form of payment in international trade, as it allows involved parties to receive additional payment guarantees when they sign trade contract, hence both sides feel secure. Therefore, both theoretical and practical study of documentary letters of credit have great importance of Georgian reality.

The main problem that prevents wide development of the use of commercial letter of credit agreements in Georgia is lack of legal regulation. Its applicability and legislative regulations spread beyond the boundaries of a particular country. That is why, the article 878 of Civil Code of Georgia (patterns of international circulation), clearly indicates that, unless otherwise agreed, rights and obligations of the parties shall be determined by common practice set by international circulation of documentary letters of credit. This automatically creates a need to study the nature of international legal aspects of documentary letters of credit, which is discussed in details in previous thesis.

The first chapter of the paper concerns the essence of the documentary letter of credit, which deals with conception of mechanism and its definition according to the Civil Code and International practice. According to current international legislative norms of using letters of credit and common practice, documentary letter of credit is an obligation of issuing bank on behalf of the buyer/applicant to pay out certain agreed sum to the seller/beneficiary, within specified time after all agreed conditions are met. The basis for payment are the documents that must be drawn up in compliance with conditions of letter of credit, which the seller presents at the bank.

The main regulatory document on international documentary letters of credit is, the so-called „Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600)”, which is discussed in details. Document was published by the International Chamber of Commerce and sets international standards and rules of use of international documentary letters of credit. In modern trade relations, payment via letters of credit is used for the majority of transactions, while banks and users of letter of credit issued by them, always point out UCP for its regulation. Given the nature of UCP, it is considered to be a set of recommendations, however, when the parties mention UCP as regulatory

document for letters of credit in their deal, it becomes a obligatory document. Therefore, we can conclude that it serves as recommendation-obligatory document.

The first chapter also deals with parties involved in letter of credit, their rights and obligations and relationships between them. Relationships related to letter of credit are rather complex process, involving buyer of goods - the applicant, the seller of goods - the beneficiary and the bank issuing a letter of credit, which is usually the applicant's service bank. The process may involve several additional banks, based on the type of agreed letter of credit and on its agreed conditions, such as Confirming Bank, Advising Bank and Nominated Bank. Based on international case studies, a number of problematic issues have been reviewed, which are related to the fulfilment of obligations between parties that arise during the letter of credit process. In the same chapter, all major types of documentary letters of credit are discussed in details, showing an analysis of their use in specific cases and the advantages and disadvantages associated with the use of each type of the letter of credit in trade practice.

In the second chapter fundamental principles of international letters of credit are discussed, such as documentary nature of letters of credit and „Strict compliance” and "Autonomy principles”. It should be noted, that it is the first attempt to study aforementioned doctrine principles in Georgian banking legislative practice.

Based on the very name of documentary letter of credit, it deals with documents and not with goods, for which it has been aroused and issued. Hence, documents make main components of documentary letter of credit process and the bank carries out the payment only after their full and accurate presentation. All documents and their legal content that may be agreed between the parties in the process of drawing up the letter of credit, are analyzed in detail. The key problems with documents during the examination process by banks are their compliance with letter of credit conditions. This paper clearly reveals many current problems associated with the nature of documentary letter of credit in international practice, based on international litigation cases. Therefore, appropriate conclusions are drawn up, in terms of their adapting to the Georgian jurisdiction.

The second chapter also discusses extremely important principles of “Strict Compliance” and "Autonomy/Independence of letter of credit”. One of the main conditions of letter of credit process is that the documents submitted by the beneficiary to the bank in order to get payment, comply with conditions of letter of credit and the list of documents agreed by the parties, otherwise the bank will

reject inadequate documents and will not pay the beneficiary. The second and also important principle is the principle of autonomy/independence of the letter of credit. It is a fundamental principle of the documentary letter of credit, which implies its independent nature, apart of any other agreements signed between parties. Relations and agreements based on letter of credit are independent of trade or any other type of deal between buyer and seller and on the basis of which the letter of credit was issued. Accordingly, banks and other parties that are involved in the overall process are obliged to operate within the boundaries of letter of credit, and to make payments if all the conditions are met, even though there may be disagreements between two sides arising from trade agreement. The paper reveals the most important international legal practices covering many problematic aspects, which have served as a basis for the development of above-mentioned principles in connection to documentary letters of credit, due to which this service has gained trust in modern international trade practice. In conclusion, it clearly shows the need to develop a wide range of legal regulations in Georgia on the basis of fundamental principles of documentary letter of credit.

The third chapter deals with specifications of using documentary letters of credit within trade transactions. The paper shows the whole process of trade transaction and steps that need to be taken by parties in order to use letter of credit for payment. In that context, all the advantages and disadvantages of using letters of credit in real trade deals are clearly demonstrated.

The final part is dedicated to discussion and conclusions which became available as a result of reviewing the subject and also specific recommendations are given. It should be noted that in Georgian banking practice the use of documentary letters of credit is rare compared to other forms of payment, in both domestic or international trade, which we think is not good trend. Considering the fact, that Georgia has signed with EU Association Agreement in which one of the main component is expansion of international trade. Taking in consideration, that letters of credit are the most used methods of payment in international trade, therefore, Georgian exporters and importers will be enforced of using most safe payment method in modern international trade.

In our opinion, the low rate of use of letters of credit in Georgia is due to two main reasons: first, the use of documentary letter of credit service is rather expensive compared to other similar products, as several banks are involved in, which in its turn increases the cost of service. In international trade the letter of credit is recognized as the most secure form of payment, therefore we believe that in spite of its high cost, its use will be of undeniable benefit to those residents of

Georgia, who are involved in international trade and which will protect them from many trade risks.

And second, legal regulation of documentary letters of credit in Georgia is poor and incomplete, which in its turn makes the legal basis of using letters of credit incomprehensible for the parties.

As a result of multilateral study of international practice and legal regulation of documentary letter of credit, the main problems associated with existing regulation in Georgia, for both definition and context aspects, have been detected and analyzed in detail. The paper contains concrete recommendations to deal with these problems and offers various aspects of creating additional regulations in Georgia, that are in line with modern international standards for legal aspects of documentary letter of credit.

სარჩევი

შესავალი - გვ2;

1. შესასწავლი საკითხის აქტუალობა - გვ2.
2. სადისერტაციო თემის მიზანი და ამოცანები - გვ5.
3. სადისერტაციო ნაშრომის ღირებულება და კვლევის მეთოდები - გვ7.

თავი I. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის არსი - გვ8.

1. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ცნება - გვ8.
2. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის მხარეები - გვ19.
3. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სახეები - გვ47.

თავი II. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ფუნდამენტური პრინციპები - გვ70.

1. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის დოკუმენტური ბუნება - გვ70.
2. „ზუსტი შესატყვისობის პრინციპი“ საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივში - „Doctrine of Strict Compliance“ - გვ89.
3. „ავტონომიის პრინციპი“ საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივში - „Autonomy/Independence of Letter of Credit“ - გვ101.

თავი III. საერთაშორისო ვაჭრობაში დოკუმენტური აკრედიტივის ტრანზაქციის სპეციფიკა - გვ117.

1. საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციის არსი - გვ117.
2. საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციის სტრუქტურა დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორებისას - გვ126.

დასკვნა და რეკომენდაციები - გვ137.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - გვ150.

შესავალი

1. შესასწავლი საკითხის აქტუალობა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა წარმოდგენელია კერძო სამართლის ნორმების აქტიური გამოყენების გარეშე. ნათელია, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა და კერძო (ბიზნეს) სამართალი იმდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ პრაქტიკულად წარმოდგენელიც კი ხდება მათი ერთმანეთის გარეშე არსებობა. განსაკუთრებით ეს შეეხება საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებს, რომლებიც ინტენსიურად არიან ჩართულნი თანამედროვე ბიზნეს ურთიერთობებში.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ მოხდა საერთაშორისო ვაჭრობის და ბიზნესის ექსპანსია ქვეყნებს შორის. ამან გამოიწვია საერთაშორისო ბიზნესის სამართლის წარმოშობა. ვაჭრობის ლიბერალიზაციამ და მკვეთრმა ექსპანსიამ, საფუძველი ჩაუყარა მრავალი საერთაშორისო თუ სუპრანაციონალური კონვენციების შექმნას.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა სახელშეკრულებო სამართალში ცალკე დაარეგულირა საბანკო მომსახურების ხელშეკრულებები. პრაქტიკულად სწორედ ეს ხელშეკრულებები განამტკიცებენ ქართულ საბანკო სამართალს, როგორც კერძო სამართლის დარგს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ოცდამეერთე თავი, კერძოდ, 859-890-ე მუხლები ეთმობა საბანკო მომსახურების მარეგულირებელ ხელშეკრულებებს. როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებიდან გამოყოფს ანგარიშსწორებას (859-866 მუხლები), საბანკო კრედიტს (867-873 მუხლები), ანაბარს (874-875 მუხლები), დოკუმენტურ (სასაქონლო)

¹ Larry A. DiMatteo, *International Contracting Law and Practice*, Kluwer Law International, Netherlands, 2013, 1.

აკრედიტივს. დოკუმენტურ ინკასოს (876-878 მუხლები) და საბანკო გარანტიას (879-890-ე მუხლები).

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებიდან სწორედ ის სახეობანი გადმოიტანა ქართულ სამართალში, რომლებიც ევროპულ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული იყო. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა საბანკო მომსახურების ერთ - ერთი ყველაზე ცნობილი ფორმა, ანგარიშსწორება და მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაირსახეობა, დოკუმენტური აკრედიტივი.

საქმე ისაა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, საიდანაც მოხდა ქართული სამოქალაქო კოდექსის ძირითადი ინსტიტუტების რეცეფცია, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სწორედ ანგარიშწორებას. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნი, რომელიც ვალდებულებით სამართალს შეეხება, მე-12 კარის მე-3 ქვეკარი ცალკე ეთმობა ანგარიშსწორების ხელშეკრულებას.² ანგარიშწორების ხელშეკრულება მიიჩნევა, ერთ - ერთ ყველაზე ცვალებად და დინამიურად განვითარებად ხელშეკრულებად ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში.

სწორედ, დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების ერთ - ერთ ყველაზე უსაფრთხო და გარანტირებულ ფორმას.³

უნდა აღინიშნოს, რომ სადისერტაციო ნაშრომი შეეხება დოკუმენტური აკრედიტივის საერთაშორისო ასპექტებს, ვინაიდან სხვა საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, მისი გამოყენებადობა და მარეგულირებელი კანონმდებლობა სცილდება კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს. სწორედ ამიტომაცაა, რომ საქართველოს

2 კროპპოლერი. ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. სასწავლო კომენტარი. თბ. 2014, გვ. 514.

3 ზვიად გაბისონია-საბანკო სამართალი, თბილისი 2012წ; გამომცემლობა მერიდიანი - გვ214-215.

სამოქალაქო კოდექსის 878-ე მუხლი (საერთაშორისო მიმოქცევის ჩვეულებები), პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტალური აკრედიტივის დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით. გამომდინარე აქედან, ჩვენი ამოცანაა მოვახდინოთ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის არსის და სამართლებრივი ბუნების შესწავლა და ამაზე დაყრდნობით გამოვავლინოთ ქართული რეგულაციების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ორ მუხლს უთმობს დოკუმენტურ აკრედიტივს - 876-ე და 878-ე მუხლებს. სწორედ სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლი იძლევა დოკუმენტური აკრედიტივის ცნებას: “1. აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები. 2. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური”.

ნათელია, რომ მხოლოდ ეს დეფინიცია არ იძლევა საშუალებას ნათლად წარმოჩინდეს დოკუმენტური აკრედიტივის ის დადებითი მხარეები, რაც ასე მიმზიდველს ხდის საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებში მის გამოყენებას. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს განაპირობებს ქართულ საბანკო პრაქტიკაში მისი იშვიათად გამოყენების ერთ - ერთ ძირითად მიზეზს.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ საერთაშორისო დოქტრინისა და პრაქტიკის გამოყენებით წარმოგვეჩინა ის ძირითადი დადებითი ასპექტები, აგრეთვე პრობლემები, რაც იძლევა საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებში დოკუმენტური აკრედიტივის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

2. სადისერტაციო თემის მიზანი და ამოცანები.

წინამდებარე საკვლევ თემის მიზანია წარმოაჩინოს საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის მნიშვნელობა და როლი, საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებში.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, დოკუმენტურ აკრედიტივს გააჩნია, როგორც თეორიული, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ დოკუმენტური აკრედიტივი ქართულ სამართალში სათანადოდ შესწავლილი ინსტიტუტი არ არის. ეს იმ დროს, როდესაც პრაქტიკაში დოკუმენტური აკრედიტივი ანგარიშსწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა საერთაშორისო ვაჭრობაში. უფრო მეტიც, ცნობილია, რომ სწორედ დოკუმენტური აკრედიტივის განვითარების შედეგად წარმოიშვა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საბანკო მომსახურების ფორმა - საბანკო გარანტია, რომელიც თანამედროვე საბანკო მომსახურების სფეროში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დოკუმენტური აკრედიტივის საერთაშორისო ჭრილში განხილვა. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელ მხოლოდ ორ მუხლს შეიცავს - 876-ე და 878-ე მუხლებს, საიდანაც პირველი, 876-ე მუხლი შეიცავს მხოლოდ დოკუმენტური აკრედიტივის ცნების განმარტებას, ხოლო 878-ე მუხლი კი მიუთითებს, რომ „თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება

საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტალური აკრედიტივის დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელი კანონმდებლობა პრაქტიკულად არ გაგვაჩნია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სწორედ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნების შესწავლის ფონზე უნდა მოხდეს დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელი ნორმების განვითარება საქართველოში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 16 ივლისის #182 ბრძანებით, რეგულირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დავალებით საქართველოს ეროვნულ ბანკში აკრედიტივით ოპერაციის წარმოების წესი. გარდა იმასა, რომ აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მწირი რეგულაციის შემცველია და ზოგადია, ეხება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს მიერ აკრედიტივის გამოყენებს წესებს, ისიც მხოლოდ ეროვნულ ბანკში, რაც თავისთავად ვერ დაარეგულირებს აღნიშნულ საკითხს კერძო სამართლებრივ სივრცეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე საკვლევო თემის მიზანია წარმოაჩინოს საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის მნიშვნელობა და როლი, სტაბილური ბიზნეს გარემოს განსავითარებლად. ამიტომაც, ნაშრომის ამოცანაა:

- განიმარტოს დოკუმენტური აკრედიტივის ცნება და მისი მნიშვნელობა.
- ხელი შეუწყოს საქართველოში ხელშეკრულების მხარეთა მიერ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სწორ, მიზანმიმართულ და კეთილსინდისიერ გამოყენებას.
- საფუძვრების მიხედვით დაინერგოს დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების ზუსტი და თანმიმდევრული პროცედურები.
- შედარებითი სამართლის საფუძველზე გაანალიზებულად გადმოიცეს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და ხელი შეეწყოს

დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით პრაქტიკის დანერგვას.

- მომზადდეს რეკომენდაციები საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით.

-მომზადდეს რეკომენდაციები საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტების ქართულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით.

3. სადისერტაციო ნაშრომის ღირებულება და კვლევის მეთოდი

სადისერტაციო ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ისტორიული მეთოდი, შედარებით სამართლებრივი მეთოდი და ანალიზის მეთოდი.

აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხდება საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ცალკეული მოთხოვნების მომწესრიგებელი ნორმების სისტემური ანალიზი, შედგენილი იქნება სქემები, რომლებშიც ასახული იქნება სამართლებრივი ამოცანის გადაწყვეტის ხერხები და მეთოდები.

სამეცნიერო მეთოდი – დაისმება პრობლემა და შემდეგ საფეხურზე მოხდება მისი განხილვა და შედარება, შემდეგ საფეხურზე ობიექტურად ჩატარდება ექსპერიმენტი, რაც წარმოაჩენს საკვლევი პრობლემის დამოკიდებულებას გარკვეულ მონაცემებზე.

შედარებითი ანალიზი - მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილებასთან, საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებთან მიმართებაში, განსაკუთრებით გერმანიის და აშშ-ს კანონმდებლობის ურთიერთშედარებით მოხდება საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის კონცეპტუალური პრობლემების გადაწყვეტა.

თავი I. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის არსი

1. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ცნება

დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში წარმოუდგენელია ნებისმიერი ქვეყნის არსებობა და მისი ეკონომიკური განვითარება, სხვა სახელმწიფოებთან თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების დამყარების გარეშე. მსოფლიო ქვეყნების ისტორიამ და არსებულმა თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებმა ნათლად დაადასტურა, რომ დამოუკიდებლად სხვა ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გარეშე, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია განავითაროს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა. უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ფულადი ნიშნების შემოღებამდე, სახელმწიფოებს შორის არსებობდა საქონლის გაცვლითი ურთიერთობები, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ვაჭრობაში ფულადი ანგარიშსწორების დამკვიდრებით. თავდაპირველად ჩამოყალიბდა მეზობელი ქვეყნების მონაწილეობით შიდა კონტინენტური ბაზრები, რომელიც საზღვაო, სამდინარო, სარკინიგზო და შემდგომ საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების აღორძინებასთან ერთად გაფართოვდა და საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები კონტინენტთაშორისი გახდა.⁴

გადახდები და გადახდების სისტემა ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედაა. გადახდის სისტემის მეშვეობით თანხის გამცემი უხდის თანხის მიმცემს. ასეთ გადახდებს შესაძლებელია ქონდეთ მარტივი მოდელი, როგორცაა პირისპირ ნაღდი ფულის გადახდა, ან უფრო კომპლექსური მოდელი, სადაც მხარეები რთავენ აღნიშნულ პროცესში შუამავალს, კონკრეტულად კი ბანკს. მათი მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა ფორმის გადახდების/ანგარიშსწორების წარმოება, კერძოდ, როგორც მარტივი ღია ანგარიშის გადახდები, ასევე დოკუმენტური აკრედიტივის გადახდების მომსახურება. საბანკო

⁴ჯოლია გ. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები. სახელმძღვანელო.თბ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2008, გვ. 14

გადახდების სისტემის იმ ფუნდამენტური როლიდან რაც მათ აქვთ მინიჭებული, ბანკების მიერ გადახდების უსაფრთხო და ეფექტურ განხორციელებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ვაჭრობაში და ზოგადად მსოფლიო ეკონომიკაში. გამომდინარე იქიდან, რომ გადახდების განხორციელება ბანკისთვის შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, მსოფლიოს ნებისმიერი ბანკი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მსგავსი ტიპის ანგარისშსწორება განახორციელოს⁵. გადახდების სისტემების და ანგარიშსორების მეთოდების განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავთ ბანკებს, რომლებიც არიან მთავარი სტანდარტის დამდგენები როგორც ლოკალური ასევე ტრანსნაციონალურ დონეზე.⁶

დოკუმენტური აკრედიტივი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში ასევე კომერციული აკრედიტივის სახელითაა ცნობილი, წარმოიშვა მე-19 საუკუნის დასაწყისში ღია ან სამოგზაურო კრედიტის წერილიდან. მისი ადრეული ვერსია სავარაუდოდ იტალიაში მე-13 საუკუნეში წარმოიშვა და ფართოდ ცნობილი გახლდათ ინგლისში მე-17 და მე-18 საუკუნეებში.⁷ კომერციული ბუნება ღია სამოგზაურო აკრედიტივისა მისი სახელწოდებიდანაც გამომდინარეობს. აღნიშნული აკრედიტივი გაიცემოდა რეპუტაციის მქონე ბანკირის ან მოვაჭრის მიერ იმ პიროვნების სახელით, რომელიც მოგზაურობდა ოკეანის გაღმა (საზღვარგარეთ), ხოლო ადრესატი იყო ბენეფიციარი, სადაც გამცემი იძლეოდა თანხის ანაზღაურების დაპირებას. გამცემის დაპირება იყო უპირობო და აკრედიტივი, როგორც წესი ითვალისწინებდა დადგენილი საკომისიოს გადახდას.

⁵ Gerard Caprio, JR., Douglas D Evanoff, George G Kaufman, Cross-Border Banking, Singapore/USa, World Scientific Publishing, 2006, 374.

⁶ Geoffrey P. Miller, Fabrizio Cafaggi, The Governance and Regulation of International Finance, Edward Elgar Publishing, Cheltenham, UK, 2013, 122.

⁷ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 1.

ამგვარი ტიპის მომსახურება წარმოადგენდა გამყიდველის ადეკვატურ დაცვას, რათა მიეღო გაყიდული საქონლის თანხა, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში გემით გადაზიდული იყო მყიდველთან. ადრეულ პერიოდში საბანკო არხებით საქონელთან ერთად აუცილებლად იგზავნებოდა სატრანსპორტო კონოსამენტი მყიდველის სახელზე დასამოწმებლად. თუ სატრანსპორტო კონოსამენტი გამოწერილი იყო (D/A document on acceptance) - ის საფუძველზე, მაშინ დოკუმენტი გადაეცემოდა მყიდველს, როგორც საქონელზე საკუთრების უფლება მის მიღების და ჩეკის გამოწერის სანაცვლოდ, ხოლო თუ გამყიდველს ეჭვი ეპარებოდა მყიდველში, მაშინ სატრანსპორტო კონოსამენტი გაიცემოდა (D/P documents on Payment) საფუძველზე, რაც ნიშნავდა, რომ სატრანსპორტო კონოსამენტი გადაეცემოდა მყიდველს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი გამოწერდა საქონლის ღირებულების ჩეკს. თუმცა ამგვარი საშუალებით ვაჭრობა მაინც ტოვებდა გარკვეულ რისკებს მხარეებისთვის, სადაც აუცილებელი იყო მესამე მხარის ჩართვა, რომელიც უდავო რეპუტაციის მქონე იქნებოდა და აიღებდა ვალდებულებას მხარეების წინაშე. დოკუმენტური აკრედიტივის სისტემა ფართოდ ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასაწყისში ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის ფართო სავაჭრო ურთიერთობების გახსნის დროს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ, დოკუმენტური აკრედიტივი ჩამოაყალიბა, როგორც ძირითადი ხელშემწყობი საშუალება ტრილიონობით დოლარის ბრუნვის გლობალურ კომერციაში.⁸ ბანკები წარმოადგენენ მთავარ და უცილებელ მოთამაშეებს ამ მრავალწახნაგოვან ტრანზაქციაში. დოკუმენტური აკრედიტივი გვევლინება ერთგვარ გარანტიად გამყიდველისათვის, რომ მისი პროდუქციის სხვა ქვეყანაში გაყიდვით მას აუნაზღაურდება საფასური, ხოლო მყიდველისთვის ასევე წარმოადგენს ერთგვარ რისკებისგან დამცავ საშუალებას, რომ იგი მიიღებს დოკუმენტური აკრედიტივის პირობებით

⁸ V.Gerard Comizio, International Banking Law, USA ST.Paul, 2016, 29.

შეთანხმებულ მისთვის სასურველი ხარისხის და რაოდენობის პროდუქციას სრულად და დროულად. აკრედიტივი ნიშნავს უფლებამოსილებას განსაზღვრული მოქმედების განსახორციელებლად.⁹ საერთაშორისო საბანკო სამართალში უმნიშვნელოვანესი როლი უკავია დოკუმენტური აკრედიტივის, როგორც ბიზნეს ასევე სამართლებრივი რეგულაციების სწორად გაგებას, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ბიზნეს ტრანზაქციას ბანკების მიერ საერთაშორისო კომერციის და ვაჭრობის სფეროში.

მყიდველსა და გამყიდველს შორის საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების დადების დროს თანმხდება მრავალი პირობა, მათ შორის ანგარიშსწორების საკითხიც. აკრედიტივით ანგარიშსწორების მოთხოვნა მხარეებს მხოლოდ სავაჭრო გარიგებაში ორმხრივად შეთანხმების საფუძველზე წარმოეშობათ.¹⁰ საერთაშორისო სავაჭრო გარიგების დროს მყიდველის რისკს წარმოადგენს გადაიხადოს მისაღები პროდუქციის თანხა და ვერ მიიღოს შეთანხმებული რაოდენობის და ხარისხის საქონელი, ან საერთოდ არ მიიღოს. ასეთ შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია დაიწყოს სამართალწარმოება გამყიდველის ადგილსამყოფელ ქვეყანაში ან საერთაშორისო არბიტრაჟში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მყიდველისათვის აღნიშნული პროცესი მეტად ხარჯიანი და ხანგრძლივი პროცედურაა.

მეორეს მხრივ, გამყიდველმა შესაძლოა გაუგზავნოს საქონელი მყიდველს სხვა ქვეყანაში და არ მიიღოს საქონლის ღირებულება. იმ ვითარებაშიც კი, როდესაც გამყიდველი ინარჩუნებს საკუთრების უფლებას საქონელზე, უკვე აღნიშნული საქონელი იქნება უცხო ქვეყანაში და მას ოფციის სახით შეუძლია ან დაიბრუნოს უკან საქონელი, რომელიც დამატებით გადაზიდვის ხარჯებთან იქნება დაკავშირებული ან იმავე

⁹ რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საბანკო სამართლის საფუძველები, თბილისი 2014, გამომცემლობა სამართალი, გვ 330.

¹⁰ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 329.

ქვეყანაში თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად მიყიდოს სხვა პირს, რათა შეამციროს თავისი ზარალი. ამ შემთხვევაში გამყიდველიც აღმოჩნდება მისთვის არასასურველ-წამგებიან მდგომარეობაში.

არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი საერთაშორისო გარიგების შესასრულებლად, როდესაც მყიდველი ჩადის გამყიდველის ადგილსამყოფელ ქვეყანაში და წინასწარ ადგილზე ახორციელებს ანგარისსწორებას, რომელიც თავისთავად ფინანსურად არახელსაყრელი პირობაა მყიდველისთვის. თავის მხრივ, მყიდველსაც შეუძლია მოთხოვოს გამყიდველის შეთანხმებული ხარისხის და რაოდენობის საქონლის მიწოდება მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, რის შემდგომაც გადაუხდის გამყიდველს საქონლის ღირებულებას, თუმცა ასეთ შემთხვევაში უკვე გამყიდველი აღმოჩნდება არახელსაყრელ მდგომარეობაში.

საერთაშორისო ვაჭრობაში ზემოთხსენებულმა გარემოებებმა შესაძლოა უსასრულო ხასიათი მიიღოს, ვინაიდან მხარეებს დაკარგული აქვთ ერთმანეთისადმი ნდობა, რაც ლოგიკურად გამოიწვევს კომერციული გარიგებების დადებას. გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ ჩამოყალიბდეს ისეთი ბიზნეს ტრანზაქციის სტრუქტურა, სადაც თითოეული მხარე გაინაწილებს გარიგების შესრულებასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ რისკებს.

დოკუმენტური აკრედიტივის მეშვეობით განხორციელებული ბიზნეს ტრანზაქცია არის სწორად ასეთი დილემიდან გამოსავალი.¹¹ დოკუმენტური აკრედიტივი ანაწილებს რისკებს გამყიდველზე და მყიდველზე, ასევე ერთ ან რამოდენიმე ბანკზე. სწორედ ამიტომაც დოკუმენტური აკრედიტივი მაღალი ნდობით სარგებლობს საერთაშორისო ბიზნეს საზოგადოებაში.

საერთაშორისო ვაჭრობაში და ბიზნეს ტრანზაქციებში დოკუმენტურ აკრედიტის შემდეგი ტერმინებით მოიხსენიებენ: “Commercial Credit”, „Documentary Credit“, „Letter of Credit“. დოკუმენტური აკრედიტივის არსი

¹¹ V.Gerard Comizio, International Banking Law, USA ST.Paul, 2016, 31.

მოკლედ ჩამოყალიბებული იქნა აკრედიტივთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მთავარ საერთაშორისო საქმეში: “ჩვენ ბანკები გპირდებით, შენ გამყიდველს, გადაგიხადოთ საქონლის ღირებულება, მას შემდეგ რაც წარმოგვიდგენ შეთანხმებულ დოკუმენტთა ნუსხას”.¹²

საერთაშორისო სავაჭრო და სავალუტო ურთიერთობების შემდგომმა განვითარებამ საფუძველი შეუქმნა ფინანსური და სასაქონლო აკრედიტივების გარდაქმნას და ჩამოყალიბდა დღეისათვის არსებული საბანკო ანგარიშსწორების საიმედო ფორმა, დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორება.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სწორედ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის განვითარების შედეგად მოხდა დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საბანკო სერვისის - საბანკო გარანტიის წარმოშობა და განვითარება. ამკარაა, რომ თანამედროვე საბანკო სამართალი საბანკო გარანტიის ხელშეკრულების განვითარებას სწორედ დოკუმენტური აკრედიტივის ინსტიტუტს უნდა უმაღლოდეს.

დღეისათვის მოქმედი დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორების საერთაშორისო მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისა და დამკვიდრებული პრაქტიკით, დოკუმენტური აკრედიტივი არის შეთანხმებულ თანხაზე საქონლის მყიდველის დავალებით, მომსახურე ბანკის წერილობითი ვალდებულება, გადაუხადოს გამყიდველს განსაზღვრული თანხა დადგენილ ვადაში შეთანხმებული პირობების შესრულების შემდეგ. თანხის გადახდის საფუძველს წარმოადგენს ბანკისთვის გამყიდველის მიერ აკრედიტივის პირობებით შეთანხმებული შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა.

აკრედიტივთან დაკავშირებული ურთიერთობები საკმაოდ კომპლექსური პროცესია, სადაც მონაწილეობს საქონლის მყიდველი - აპლიკანტი, საქონლის გამყიდველი ბენეფიციარი და აკრედიტივის

¹² Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 5.

გამხსნელი ბანკი, რომელიც როგორც წესი აპლიკანტის მომსახურე ბანკია.¹³ აღნიშნულ პროცესში შესაძლებელია მონაწილეობდეს დამატებით რამოდენიმე ბანკი, გამომდინარე მხარეებს შორის შეთანხმებული დოკუმენტური აკრედიტივის სახეობიდან და შეთანხმებული პირობებიდან.

მხარეებს შორის საერთაშორისო სავაჭრო გარიგების დადებისას, მხარეები თანხმდებიან ანგარიშსწორების ფორმაზე. კომერციულ ტრანზაქციებში, გარიგების დადების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს მხარეების მიერ ანგარიშსწორების ფორმის განსაზღვრა წარმოადგენს. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია კონკრეტული გადახდის ფორმა (მაგ. აკრედიტივი), სახელშეკრულებო ვალდებულება მხარის ვერ ჩაითვლება შესრულებულად, მანამ სანამ გადახდა არ განხორციელდება სწორედ შეთანხმებული ფორმით.¹⁴ აკრედიტივის გამოყენებისათვის აუცილებელი პირობაა, მხარეების მიერ სავაჭრო გარიგების დროს ანგარიშსწორების ფორმად განისაზღვროს დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორება. ამის შემდგომ აპლიკანტი მიმართავს ბანკს (გამხსნელ ბანკს), რათა გახსნას აკრედიტივი ბენეფიციარის სასარგებლოდ და უთითებს იმ დოკუმენტთა ნუსხას, რომლის წარდგენის შემდგომაც ბანკი ახდენს ანგარიშსწორებას ბენეფიციართან. დოკუმენტური აკრედიტივი არის დოკუმენტური აკრედიტივი და არაფერი სხვა. იგი არის სავაჭრო სამართლის შექმნილი და ხასიათდება კომერციული თვისებით. იგი არის *sui generis*¹⁵ და უნდა იქნას თავისებურად დამუშავებული.¹⁶

საერთაშორისო ვაჭრობაში აკრედიტივთან დაკავშირებული ერთიანი მიდგომა უმნიშვნელოვანესია, რათა მექანიზმმა შეასრულოს თავის

¹³Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 2.

¹⁴ Colin Bamford, Principles of International Financial Law, Second Edition, Oxford University press, UK, Croydon, 2015, 64.

¹⁵ განსაკუთრებული ტიპის ხელშეკრულება-თავისებური.

¹⁶ Burton V. McCullough, Letters of Credit, LexisNexis, San Francisco, USA, 2007, 4-33.

ფუნქცია საერთაშორისო კომერციაში. ხელშეკრულებები, რომლებიც იდება აკრედიტივთან დაკავშირებით აუცილებლად მოქმედებენ ლოკალური კანონმდებლობის ქრილში. ეს წესები განსხვავებული იქნება სხვადასხვა ქვეყნებში და შესაბამისად წარმოშობენ განსხვავებულ სამართლებრივ საფუძვლებს ერთი და იმავე აკრედიტივის ურთიერთობაში.¹⁷

ამგვარად, დოკუმენტური აკრედიტივი ჩამოყალიბდა საშუალებად, რომლის პროცესშიც ჩართული იყო ორი ან მეტი კომერციული ბანკი, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ მყიდველის და გამყიდველის ადგილსამყოფელ ქვეყნებში. საბანკო ოპერაციების უნივერსალურობა განაპირობებს საერთაშორისო ანგარიშსწორების წესების უნიფიკაციას.¹⁸ სხვადასხვა სამართლებრივ იურისდიქციებს შორის კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელი გახდა იმ გზის მოძიება, რომლის საფუძველზეც აკრედიტივთან დაკავშირებით მოხდებოდა ჰარმონიზაცია ბანკების მიერ აპრობირებული მრავალწლიან საერთაშორისო პრაქტიკისთვის. ინიციატივა აღებული იქნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, რომელმაც პირველი UCP-ი 1933 წელს გამოაქვეყნა.¹⁹ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის უმთავრესი მარეგულირებელი დოკუმენტია ე.წ „Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP)“, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ და რომელიც ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს და წესებს საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოსაყენებლად. ბანკები და მათი აკრედიტივის მომხმარებლები, დოკუმენტური რეგულირებისათვის ყოველთვის უთითებენ UCP-ის. მისი არსიდან გამომდინარე UCP-ი სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა მხარეების მიერ

¹⁷ Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 515.

¹⁸ ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-1; სტატია - დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმა; თამარ ზამბახიძე; გვ.76;

¹⁹ Peter Ellinger, *Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit*, hart publishing, Portland, USA, 2010, 3.

აკრედიტივის გარიგებაში მისი მარეგულირებლად მითითებით იგი სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტის სახეს იღებს. გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი გვევლინება, როგორც სარეკომენდაციო სავალდებულო გამოყენების ხასიათის დოკუმენტად.

UCP-ის პირველი მუხლის თანახმად „ეს წესები არეგულირებს და ეხება ნებისმიერ დოკუმენტურ აკრედიტივს, როდესაც აკრედიტივის შინაარსი გამოხატავს, რომ ის არის ამ წესების საგანი.“²⁰ აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლი განსაზღვრავს აკრედიტივს, როგორც „ნებისმიერი შეთანხმება, როგორც არ უნდა იყოს დასათაურებული ან აღწერილი, რომელიც არის გამოუხმობადი და წარმოადგენს საბოლოო ვალდებულებას გამცემი ბანკისა გადაიხადოს მოთხოვნილი თანხა“²¹.

UCP-ის არ გააჩნია კანონის ძალა, ვინაიდან არ არის სამართლის ძალით მოქმედი კოდექსი ან საერთაშორისო კონვენცია. მიზანშეწონილია UCP-ის ჩართვა აკრედიტივის დროს, როგორც მარეგულირებელი აქტისა. როგორც მარეგულირებელი კანონმდებლობა, აკრედიტივს დროს მისი მოხსენიება ხდის მას სავალდებულოს და დაკავშირებულს შეთანხმების პირობებთან. აკრედიტივში UCP - ის, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტის მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა მრავალი წლის საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, მხარეების მიერ სწორედ UCP-ის მითითება ხდება სავალდებულო მარეგულირებელ აქტად მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების აკრედიტივთა უმრავლესობაში, ვინაიდან იგი წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილ დოკუმენტს აკრედიტივის რეგულირებისთვის.²² UCP-ი განსაზღვრავს აკრედიტივის ხელშეკრულების მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ UCP-ი არ მოიცავს

²⁰ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 1.

²¹ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 2.

²² Nelson Enonchong, The Independence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, oxford, UK, 2011, 13.

მხარეთა უფლება-მოვალეობების სრულ ჩამონათვალს (მაგ.: დოკუმენტაციის გაყალბება, არაკეთილსინდისიერი მოქცევა). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ UCP-ის შემუშავების დროს, მიზანმიმართულად თავი აარიდა ასეთი საკითხებზე ნორმების შემუშავებაზე და ისინი ქვეყნების შიდა კანონმდებლობის რეგულირების საგნად დატოვა. აღნიშნული საკითხები რეგულირდება სახელმწიფოთა შიდა ნორმატიული კანონმდებლობით. შესაბამისად აუცილებელია ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს ქონდეს შიდა რეგულაციები აკრედიტივთან დაკავშირებით, რომელიც აღმოფხვრის იმ საკითხთა წრის დარეგულირებას, რაც UCP-ის მიღმაა დარჩენილი. UCP600 არ არის არც საერთაშორისო სამართლის ნაწილი და არც ლოკალურის. ისინი ხდებიან სავალდებულო მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები მას მიუთითებენ აკრედიტივში. საერთაშორისო ბანკები უერთდებიან მის სტანდარტებს და შესაბამისად UCP-ს აქვს უნივერსალური ეფექტი.²³ UCP-ი არის შეუცვლელი საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელი აქტი. იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტივში არ არის მითითებული UCP-ით რეგულირება, ბანკები უარს ამბობენ აკრედიტივით ტრანზაქციაზე.²⁴

საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC), რომლის სათაო ოფისი პარიზში მდებარეობს, არის უმთავრესი ტენდენციების და პრაქტიკის განმსაზღვრელი საერთაშორისო ვაჭრობაში. საერთაშორისო სავაჭრო პალატას გარდა UCP -სა ასევე მიღებული აქვს საერთაშორისო გადაზიდვების განმსაზღვრელი დოკუმენტი INCOTERMS²⁵, ასევე მოდელური კონტრაქტები საერთაშორისო ვაჭრობაში, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. საერთაშორისო სავაჭრო პალატა - არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის

²³ Lutz-Christian Wolff, *The Law of Cross-Border Business Transactions*, Kluwer Law International, Netherlands, 2013, 171.

²⁴ Matti S. Kurkela, *Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law*, Oxford University Press, New York, USA, 2008, 137.

²⁵ *International Commercial Terms*, მიღებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, არეგულირებს საერთაშორისო და შიდა გადაზიდვებს.

დამფუძნებლებსაც წარმოადგენენ მსოფლიოს 140 ქვეყნიდან ათასობით ბიზნეს ორგანიზაციები და ასოციაციები. ICC-ი ხელს უწყობს მსოფლიოში ღია ბაზარზე საქონლისთვის და მომსახურებისთვის ვაჭრობის და ინვესტიციების განხორციელებას. მის ერთ-ერთ მთავარ ორგანოს წარმოადგენს საარბიტრაჟო საერთაშორისო სასამართლო, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტულ ორგანოს საერთაშორისო ვაჭრობის დავების განხილვაში. ICC - ის გაეროსთან პირველი კლასის საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი აქვს, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ვაჭრობაში განვითარებულ ტენდენციების და პრობლემატიკის გზების გადაჭრას.²⁶

შედეგად აკრედიტივი გვევლინება მხარეებისთვის რისკების დამზღვევ მექანიზმად. ერთის მხრივ აპლიკანტი დაზღვეულია, რომ ანგარიშსწორება ბენეფიციართან მოხდება, მხოლოდ მას შემდგომ რაც იგი წარადგენს შეთანხმებულ დოკუმენტთა ნუსხას ბანკში და მოხდება ბანკის მიერ წარდგენილი დოკუმენტების დამოწმება, ხოლო მეორეს მხრივ ბენეფიციარიც დაზღვეულია, მიღებული აქვს რა წინასწარი დაპირება მისთვის ავტორიტეტული საბანკო დაწესებულებიდან დოკუმენტთა წარდგენის სანაცვლოდ ანგარიშსწორების განხორციელების თაობაზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის წარმოშობა და განვითარება უშუალოდ უკავშირდება სავაჭრო გარიგებების განვითარებას. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საბანკო მომსახურების ფორმას და ეფექტურად გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში. დღეის მდგომარეობით, მიიჩნევა, რომ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს ბიზნეს ტრანზაქციებში გამოსაყენებელ ანგარიშსწორების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას. ამიტომაცაა, რომ აღნიშნული ინსტიტუტის

²⁶ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 328.

შესწავლა და მისი ქართულ კერძო სამართალში ადაპტირება ატარებს არამართო თეორიულ, არამედ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას.

2.საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის მხარეები

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის შეთანხმება, თავისთავში გულისხმობს რამოდენიმე სხვადასხვა მხარის ჩართულობას, შესაბამისად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ ვინ არიან დოკუმენტური აკრედიტივის მხარეები, როგორია მათი როლი და ვალდებულებები ამ კომპლექსურ პროცესში.²⁷

გამყიდველი/ბენეფიციარი: გამყიდველი არის მხარე, რომელმაც დადო გარიგება მყიდველთან და რომელიც ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს შეთანხმებული ხარისხისა და რაოდენობის საქონელი. გამყიდველის სასარგებლოდ იხსნება დოკუმენტური აკრედიტივი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება. გამყიდველს არ გააჩნია არანაირი ვალდებულება აკრედიტივის გამცემი ან დამმოწმებელი ბანკის წინაშე, იგი უბრალოდ ფლობს მოთხოვნას თანხის ანაზღაურებაზე, მას შემდეგ რაც წარადგენს შეთანხმებულ დოკუმენტებს. გამხსნელი ბანკი უგზავნის ელექტრონულ შეტყობინებას საკორესპოდენტო ბანკს ბენეფიციარის ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტივის გახსნის თაობაზე და იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელიც სავალდებულოა წარადგინოს მან ბანკში, ხოლო გამხსნელი ბანკი თავის მხრივ ატყობინებს აპლიკანტს აღნიშნულ ინფორმაციას. ზოგადად, ბენეფიციარს ყოველთვის ურჩევნია აკრედიტივი ქონდეს ხელმისაწვდომი მის ლოკალურ ბანკში, ვიდრე სხვა ქვეყნის ბანკში.²⁸

მყიდველი/აპლიკანტი: მყიდველი წარმოადგენს მხარეს, რომელიც ყიდულობს საქონელს გამყიდველისგან, შესაბამისად მყიდველს ურჩევნია

²⁷ Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, USA, Oxford University Press, 2010, 445.

²⁸ *Commentary on UCP600, Article-by-Article Analysis by the UCP 600 drafting group*, ICC publication, Paris, France, 2007, 162.

ვალდებულება გადაუხადოს გამყიდველს საქონლის ფასი. გამყიდველი მიმართავს თავის მომსახურე ბანკს აკრედიტივის გახსნის თაობაზე გამყიდველის სასარგებლოდ შეთანხმებული პირობების შესაბამისად. მყიდველი უნაზღაურებს ბანკს აკრედიტივის ფარგლებში გადახდილ თანხას და ასევე უხდის ბანკს მომსახურების საკომისიოს.²⁹ როგორც წესი აპლიკანტი არის გამხსნელი ბანკის კლიენტი და ბანკიდან უკვე მოპოვებული აქვს შესაბამისი საკრედიტო დაფინანსება (საკრედიტო ხაზი), რომლითაც უზრუნველყოფს აკრედიტივის თანხის გადახდას. პრაქტიკა ცყადყოფს, რომ ბანკების საკომისიო აკრედიტივის მომსახურებისთვის აკრედიტივის ღირებულების 3-4% - ით განისაზღვრება, რაც მძიმე ტვირთად აწევა მხარეებს, თუმცა იმ უნდობლობის და რისკების გასაქარწყებლად მხარეები იღებენ აღნიშნულ ხარჯს.³⁰

გამხსნელი ბანკი: გამხსნელი ბანკი აპლიკანტის დავალებით ბენეფიციარის სასარგებლოდ ხსნის აკრედიტივს, რომელიც ხშირად ბანკის უკვე არსებული კლიენტია. აკრედიტივის პირობების ფარგლებში გამხსნელი ბანკი იღებს ვალდებულებას შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდგომ გადაიხადოს აკრედიტივით განსაზღვრული თანხა.³¹ აკრედიტივს თავისი შინაარსით გადააქვს თანხის გადახდის რისკი გამყიდველის ქვეყნიდან, მყიდველის ქვეყანაზე. საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში არსებობს რისკი იმისა, რომ გამყიდველი ვერ მიიღებს თანხას მყიდველისაგან, ამასთან მსგავსი რისკი გადადის ბანკზეც, ვინაიდან შესაძლოა ბანკმაც ვერ მიიღოს თანხა მყიდველისაგან. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ გამხსნელი ბანკი აკრედიტივის მომსახურებისთვის საკომისიოს უწესებს მყიდველს, ასევე ითხოვს მისგან უზრუნველყოფას

²⁹ აღსანიშნავია, რომ აპლიკანტსა და ბანკს შორის ურთიერთობა არ არის დარეგულირებული UCP-ით. ეს წესრიგდება კონკრეტული ბანკის სტანდარტებით, ბანკსა და აპლიკანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

³⁰ Martin Davies, David V.Snyder, *International Transaction in Goods, USA*, Oxford University Press, 2014, 281.

³¹ *Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600)*, issued by International Chamber of Commerce, Article 7.

თანხის ამოღების სანაცვლოდ. აღნიშნულის თაობაზე ბანკი და მყიდველი ერთმანეთში აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტური აკრედიტივები ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო ტრანზაქციების დასაფინანსებლად, გამხსნელი ბანკი არ იმყოფება ბენეფიციარის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, იგი ხშირად აპლიკანტის მომსახურე ბანკია და შესაბამისად ოპერირებს მის ქვეყანაში. აკრედიტივის განხორციელების პროცესში გამხსნელ ბანკს შეუძლია პირდაპირი ურთიერთობა დაამყაროს ბენეფიციართან, თუმცა ეს პროცესი, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს არაეფექტურია მრავალი გარემოების გამო, შესაბამისად გამხსნელი ბანკები არჩევენ ბენეფიციართან ურთიერთობა დაამყარონ მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში განთავსებულ ე.წ გამხსნელი ბანკის საკორესპოდენტო ბანკთან. აკრედიტივის ურთიერთობებში, გარდა გამხსნელი ბანკისა შესაძლოა მონაწილეობდეს რამოდენიმე საკორესპოდენტო ბანკი, რომლებიც გამომდინარე აპლიკანტის და გამხსნელი ბანკის ინსტრუქციებიდან, შესაძლოა ქონდეთ სხვადასხვა ბანკის სტატუსი და სამართლებრივად დაეკისროთ განსხვავებული ვალდებულებები.³² ნაშრომში განხილული იქნება ცალ-ცალკე სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი საკორესპოდენტო ბანკები:

შემტყობინებელი-ავიზირებადი ბანკი/The advising bank:

შემტყობინებელი ბანკის როლია, აცნობოს ბენეფიციარს, რომ მან მიიღო აკრედიტივი გამხსნელი ბანკისგან. შემტყობინებელი ბანკი, არის ბანკი ბენეფიციარის ქვეყანაში და მის ფუნქციას წარმოადგენს დაადასტუროს აკრედიტივის აუთენტურობა და შეატყობინოს ბენეფიციარს მის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნის თაობაზე. სხვა სახის ვალდებულება აკრედიტივთან დაკავშირებით შემტყობინებელ ბანკს არ გააჩნია.³³ იგი

³² Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 136.

³³ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 9.

მოქმედებს მისი სახელით, როგორც გამხსნელი ბანკის აგენტი. შემტყობინებელი ბანკი ვალდებულია ზუსტად გადასცეს ბენეფიციარს აკრედიტივის პირობები და იმ დოკუმენტთა ზუსტი ჩამონათვალი რაც სავალდებულოა გამხსნელი ბანკისათვის წარსადგენად. ბენეფიციარის მიერ დოკუმენტების წარდგენისას, შემტყობინებელი ბანკი არ ამოწმებს მათ შესაბამისობას აკრედიტივის პირობებთან, იგი უგზავნის მიღებულ დოკუმენტაციას გამხსნელ ბანკს, რომელიც ვალდებულია დაადასტუროს მათი შესაბამისობა აკრედიტივის პირობებთან.

ბენეფიციარისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რომ აკრედიტივი იყოს ვალიდური და რეპუტაბელური ინსტიტუციის მიერ გაცემული, შესაბამისდ თუ შემტყობინებელი ბანკი დაადასტურებს აკრედიტივს და გამხსნელი ბანკისგან არ მოხდება აკრედიტივის ანაზღაურება, მაშინ უკვე საავიზო ბანკის სტატუსად ქცეული შემტყობინებელი ბანკი, აგებს პასუხს ბენეფიციარის წინაშე დამდგარი ზარალის გამო, რაც თავისთავად კიდევ დამატებით გარანტიას წარმოადგენს ბენეფიციარისთვის. სხვა შემთხვევაში შემტყობინებელი ბანკისთვის არავითარ ვალდებულებას არ წარმოადგენს თანხის ანაზღაურება, იგი უბრალოდ შუამავლის როლს ასრულებს ბენეფიციარსა და გახსნელ ბანკს შორის ურთიერთობაში და ინფორმაციის სწორად გაცვლაში. შემტყობინებელი ბანკის მიერ აკრედიტივის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია აცნობოს ბენეფიციარს ამის თაობაზე და მიუთითოს მიზეზები.³⁴

დასახელებული ბანკი/Nominated Bank: დასახელებული ბანკი არის გამხსნელი ბანკის პარტნიორი ბანკი აკრედიტივის პროცესში, ვისი მეშვეობითაც შესაძლებელია აკრედიტივით განსაზღვრული თანხის მიღება ბენეფიციარისთვის. ³⁵ გამხსნელი ბანკის მიერ დასახელებული

³⁴ Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, USA, Oxford University Press, 2010, 446.

³⁵ *Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600)*, issued by International Chamber of Commerce, Article 2.

ბანკის არჩევა, ანიჭებს უკანასკნელს უფლებამოსილებას გამხსნელი ბანკისგან მიიღოს ბენეფიციარის დოკუმენტაცია, დაადგინოს მათი შესაბამისობა აკრედიტივის პირობებთან და გადაუხადოს თანხა ბენეფიციარს გამხსნელი ბანკის სახელით. თუ მხარეებს შორის დოკუმენტური აკრედიტივის დროს განსაზღვრულია ბენეფიციარისთვის თანხის გადახდა დასახელებული ბანკის მეშვეობით, მაშინ აკრედიტივი უნდა უთითებდეს კონკრეტულად, თუ რომელი ბანკი შეასრულებს დასახელებული ბანკის ფუნქციას.³⁶ დასახელებული ბანკი დოკუმენტების შემოწმების და შესაბამისობის დადასტურების შემდგომ, ელოდება გამხსნელი ბანკის ინსტრუქციას თანხის გადახდის თაობაზე. ამ შემთხვევაში იგიც მოქმედებს, როგორც გამხსნელი ბანკის აგენტი და არანაირი ვალდებულება არ წარმოეშვა (იმ შემთხვევაში კი როდესაც აკრედიტივი დადასტურებული სახისაა) პირადად თანხის გადახდაზე ბენეფიციარის წინაშე.

დასახელებული ბანკი გამხსნელი ბანკისგან უფლებამოსილია, გადაიხადოს გადავადებული გადახდები, მიიღოს დოკუმენტები და შეათანხმოს აკრედიტივის პირობები. თუ დასახელებული ბანკი არ არის საავიზო ბანკი, მინიჭებული უფლებამოსილება არ ანიჭებს მას არავითარ ვალდებულებას აკრედიტივთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარად შეთანხმებულია ბენეფიციართან.³⁷ დასახელებული ბანკი მოქმედებს, როგორც გამხსნელი ბანკის წარმომადგენელი და ამოწმებს ბენეფიციარის მიერ წარდგენილ დოკუმენტების აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობას. თუ დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის პირობას, მაშინ იგი უხდის ბენეფიციარს აკრედიტივის თანხას გამხსნელი ბანკის სახელით და უგზავნის დოკუმენტებს გამხსნელ ბანკს, რომელიც თავის მხრივ უნაზღაურებს დასახელებულ ბანკს გადახდილ თანხას.

³⁶ Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 142.

³⁷ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 12.

გამხსნელი ბანკი კი გადასცემს დოკუმენტებს მყიდველს და მოითხოვს მისგან ანაზღაურებას. თუ დოკუმენტები არ შეესაბამება აკრედიტივის პირობებს, მაშინ ბანკი უკან უგზავნის ბენეფიციარს შესაბამისი ახსნა-განმარტებით, თუ რა არის შეუსაბამო აკრედიტივის პირობებთან. ბენეფიციარი შეეცდება აღმოფხვრას აღნიშნულ ხარვეზი და ახლიდან წარადგინოს დოკუმენტაცია, თუმცა იგი შეზღუდულია იმ ვადით, რა ვადაც გაწერილია აკრედიტივის პირობებში დოკუმენტების წარდგენისათვის.

დამადასტურებელი ბანკი/საავიზო ბანკი: აპლიკანტის დავალებით გამხსნელი ბანკის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნით და მიუხედავად მის წინაშე აღებული თანხის გადახდის ვალდებულებისა, ბენეფიციარმა შესაძლოა მაინც არ იგრძნოს თავი დაცულად, ვინაიდან გამხსნელი ბანკი აპლიკანტის ქვეყანაშია და შესაძლოა ბენეფიციარს არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდეს გამხსნელ ბანკზე და მის სანდოობაზე. ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარი აუცილებლად მოითხოვს აკრედიტივის დადასტურებას მისი ქვეყნისა და მისთვის ცნობილი ბანკის მიერ (confirmed letter of credit). ამ შემთხვევაში გამხსნელი ბანკი მოსთხოვს თავის საკორესპოდენტო ბანკს, რომელიც აკრედიტივის პროცესში შესაძლოა მონაწილეობდეს, როგორც შემტყობინებელი ან დასახელებული ბანკი, ბენეფიციარის ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტივის დადასტურებას რა დროსაც ბანკი იძენს დამადასტურებელი/საავიზო ბანკის როლს. საავიზო ბანკი განთავსებულია ბენეფიციარის ადგილსამყოფელ ქვეყანაში. გამხსნელი ბანკის მოთხოვნით საავიზო ბანკი ადასტურებს აკრედიტივს, რომელიც თავისმხრივ იღებს პირად ვალდებულებას ბენეფიციარისთვის აკრედიტივის თანხის გადახდაზე, წარდგენილ დოკუმენტების შესაბამისობის დამოწმების შემდგომ. გამხსნელი ბანკი თავის მხრივ

ვალდებულია აუნაზღაუროს საავიზო ბანკს ბენეფიციარისათვის გადახდილი აკრედიტივის თანხა.³⁸

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი საავიზო და დასახელებულ ბანკებს შორის არის ის, რომ დასახელებული ბანკი მოქმედებს მისი სახელით, როგორც გამხსნელი ბანკის აგენტი, ხოლო საავიზო ბანკი უკვე მოქმედებს თავის სახელით და თავად იღებს ვალდებულებას თანხის გადახდაზე ბენეფიციარის წინაშე. ეს რატომ უნდა ანიჭებს ბენეფიციარს თანხის მიღებაზე კიდევ უფრო მეტ გარანტიებს, თუმცა ასევე მოითხოვს მისგან დამატებითი საკომისიოების გადახდას, რითაც პროდუქტი უმჯობესდება. რაც უფრო მეტად უნდათ დაზღვევა, მით უფრო მეტი საკომისიოს გადახდა უწევთ გამყიდველსაც და მყიდველსაც.

ურთიერთობა აპლიკანტს და გამხსნელ ბანკს შორის: როდესაც მყიდველსა და გამყიდველს შორის დადებული საერთაშორისო სავაჭრო გარიგება ითვალისწინებს ანგარიშსწორებას აკრედიტივის გამოყენებით, მყიდველი მიმართავს თავის მომსახურე ბანკს, რათა გახსნას აკრედიტივი გამყიდველის სასარგებლოდ. აკრედიტივის ურთიერთობებში მყიდველი არის აპლიკანტი, გამყიდველი ბენეფიციარი და მყიდველის ბანკი გამხსნელი ბანკი. აკრედიტივის დროს ურთიერთობა აპლიკანტსა და გამხსნელ ბანკს შორის რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელთა პირობები, როგორც წესი ბანკს აქვს ჩამოყალიბებული საერთაშორისო სტანდარტების, პრაქტიკის და UCP-ის შესაბამისად და დანართის სახით ერთვება იმ განაცხადის ფორმას, რომელიც უნდა შეავსოს აპლიკანტმა.

განაცხადის ფორმა მოიცავს აკრედიტივთან დაკავშირებით იმ დეტალურ ინფორმაციას, რომელიც აპლიკანტმა უნდა შეავსოს ზუსტად, ვინაიდან ამ განაცხადის საფუძველზე აძლევს აკრედიტივის დავალებას აპლიკანტი გამხსნელ ბანკს.³⁹ განაცხადის შესავსები ინფორმაცია მოიცავს

³⁸ Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 145.

³⁹ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 81.

შემდეგ: ბენეფიციარის ზუსტი სახელწოდება, აკრედიტივის თანხა და მისი მოქმედების ვადა, აკრედიტივის რა სახეა გამოყენებული და დადასტურებულია იგი თუ არა ან გამოხმობადი თუ გამოუხმობადი, გადაზიდვის პირობები, იმ დოკუმენტთა ზუსტი ჩამონათვალი და მათი შემცველი ინფორმაცია, რომელიც ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უნდა იქნას ბანკში თანხის მისაღებად, ასევე დოკუმენტთა წარდგენის ვადა, ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ უნდა იყოს დოკუმენტები გადაცემული (ელექტრონულად, ფოსტით), ვინ არის საავიზო ან სხვა როლში მყოფი ბანკი, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ვინ იხდის მათი მომსახურების საფასურს.

ბანკის მიერ აპლიკანტისათვის აკრედიტივის განაცხადის შევსების გარდა, აპლიკანტსა და გამხსნელ ბანკს შორის ფორმდება ხელშეკრულება აკრედიტივით მომსახურებაზე, რომელიც როგორც წესი მოიცავს სტანდარტულ პუნქტებს, რომლებიც საბანკო პრაქტიკაშია დამკვიდრებული. თუმცა აკრედიტივის დროს ბანკის მიერ დამატების სახით აუცილებლად იქნება მითითებული ამ ურთიერთობების რეგულირება UCP-ის საფუძველზე, რათა იგი გახდეს ხელშეკრულების ნაწილი. UCP-ის პირველი მუხლის თანახმად, იგი მოქმედებს და ეხება ნებისმიერ დოკუმენტურ აკრედიტივს, როდესაც აკრედიტივის შინაარსი გამოხატავს კავშირს UCP-ით აღნიშნულ ურთიერთობასთან და ეხება ყველა მასში ჩართულ მხარეს.

აკრედიტივი წარმოადგენს გამხსნელი ბანკის ვალდებულებას ბენეფიციარის სასარგებლოდ. სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მხარეებად გამოდიან გამხსნელი ბანკი და ბენეფიციარი. შეიძლება ერთი შეხედვით სადავო იყოს საკითხი, რომ აპლიკანტი არ არის ამ ურთიერთობის მხარე. ვინაიდან UCP-ი პირდაპირ არ არეგულირებს საკითხს აპლიკანტსა და გამხსნელ ბანკს შორის, თუმცა UCP-ი აკრედიტივთან დაკავშირებულ პირებს იხსენებს მრავლობითში როგორც ყველა მონაწილე მხარეს, შესაბამისად აპლიკანტის მხარეთ მონაწილეობაც

ამ პროცესში უდავოდ გამომდინარეობს. ყველა შემთხვევაში აპლიკანტი და გამხსნელი ბანკი ნათლად უთითებენ მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულების UCP-ით რეგულირებას, რათა შემდგომ თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობა რეგულირების გამოყენებადობასთან დაკავშირებით.

გამხსნელი ბანკის მთავარ ვალდებულებას ბენეფიციარის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნა წარმოადგენს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს აპლიკანტის ინსტრუქციებს და დავალებებს. აღნიშნული ვალდებულების არ შესრულება ჩაითვლება აპლიკანტთან ხელშეკრულების დარღვევად. თუ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები აკრედიტივის პირობებს შეესაბამება, გამხსნელი ბანკი აპლიკანტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია თანხა გადაუხადოს ბენეფიციარს. ბენეფიციარისთვის შეტყობინება აკრედიტივის მის სასარგებლოდ გახსნის თაობაზე შეიძლება პირდაპირ გამხსნელი ბანკის მეშვეობით მიუვიდეს, ან გამხსნელი ბანკის საკორესპოდენტო ბანკის საშუალებით ბენეფიციარის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, ცნობილი როგორც (advising bank) - ბანკი, რომელიც ატყობინებს ბენეფიციარს აკრედიტივის გახსნის თაობაზე). თუ აკრედიტივის დადასტურება სავალდებულო ხასიათისაა, მაშინ გამხსნელი ბანკი თხოვს ამ ან სხვა საკორესპოდენტო ბანკებს, რათა დაადასტურონ აკრედიტივი ბენეფიციარის სასარგებლოდ, ამ შემთხვევაში კი ბანკი უკვე ხდება დამადასტურებელი ბანკი/საავიზო ბანკი (confirming bank).

საკონსულტაციო ბანკი (advising bank) მოქმედებს, როგორც გამხსნელი ბანკის აგენტი და არ გააჩნია არანაირი ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე, მაშინ როდესაც საავიზო ბანკი იღებს პირადად დამოუკიდებელ ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე თანხის გადახდაზე. თუ აპლიკანტის მიერ არ არის აკრედიტივის განაცხადში

მითითებული ვინ უნდა იყოს საკონსულტაციო ან საავიზო ბანკი, მაშინ გამხსნელი ბანკი თავისი დისკრეციით თავად არჩევს ასეთ ბანკს.⁴⁰

აღნიშნულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში აპლიკანტსა და გამხსნელ ბანკს შორის, უმნიშვნელოვანესია გამხსნელი ბანკი ზუსტად მოქმედებდეს თავისი მანდატის ფარგლებში. თუ გამხსნელი ბანკი თანხმობას განაცხადებს აკრედიტივის გახსნაზე, იგი ვალდებულია ზუსტად დაიცვას აკრედიტივის ის მოთხოვნები, რაც აპლიკანტმა განაცხადში მიუთითა. აღნიშნული წესის დარღვევა გამხსნელი ბანკის მიერ საკუთარი მანდატის უფლებამოსილების გადაჭარბებად ჩაითვლება, რაც შეუზღუდავს მას უფლებას მოსთხოვოს აპლიკანტს აკრედიტივით გადახდილი თანხის ანაზღაურება. გამხსნელი ბანკის ვალდებულებას არ წარმოადგენს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი აკრედიტივის მოთხოვნების გონივრულობის შემოწმება და თუ რამდენად აზღვევს მის ბიზნეს რისკებს. გამხსნელმა ბანკმა არც იმაზე უნდა იფიქროს, თუ რამდენად სწორად აქვს აპლიკანტს განსაზღვრული დოკუმენტთა ჩამონათვალი და ა.შ. იგი უბრალოდ ვადლებულია ბენეფიციარის მიერ სწორად წარდგენილი დოკუმენტების სანაცვლოდ განახორციელოს ანგარიშსწორება.

გამხსნელი ბანკის როლი და მანდატი ნათლადაა წარმოდგენილი ცნობილ საქმეზე: (ლორდთა პალატის გადაწყვეტილება Equitable Trust Co of New York v Dawson Partners LTD) „Dawson Partners“ (მყიდველი) დადო ნასყიდობის ხელშეკრულება გამყიდველთან, რათა ეყიდა 3000 კილო ვანილის მარცვლები. მყიდველმა ინსტრუქცია მისცა მის მომსახურე გამხსნელ ბანკს (Equitable Trust Co), რათა გაეხსნა ტელეგრამის გადაცემის საშუალებით, დადასტურებული აკრედიტივი (Hong Kong and Shanghai Banking Corporation in London) მეშვეობით ბატავიაში (Batavia) ამ ბანკების წარმომდგენლობაში. გადახდა უნდა განხორციელებულიყო გამხსნელი ბანკისთვის დოკუმენტების წარდგენიდან 90 დღეში, სადაც აუცილებლად

⁴⁰ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 85.

უნდა ყოფილიყო სატრანსპორტო ზედნადები წარდგენილი ზუსტი შემცველი ინფორმაციით და ასევე ხარისხის შემოწმების სერთიფიკატი გაცემული ორი ექსპერტის (experts) მიერ. აკრედიტივის ინსტრუქციები აკურატულად იქნა გადაცემული გამცემი ბანკისგან ლონდონის ბანკში, რომლებმაც დაშიფრული კოდით გადასცეს ინფორმაცია თავის წარმომადგენლობებს ბატავიაში. თუმცა დაშიფრული კოდით გადაცემის დროს დაშვებულ იქნა შეცდომა და ბატავიას ბანკის მიერ წაკითხული იქნა ხარისხის შემოწმების სერთიფიკატის დამზადება ექსპერტის მიერ, მხოლოდით რიცხვში (expert), შესაბამისად ბატავიას ბანკმაც ამგვარად აცნობა ბენეფიციარს აკრედიტივის გახსნის და მისი მოთხოვნების თაობაზე. თავისთავად ბენეფიციარმა კარგად იცოდა რა, რომ მასა და მყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ორი ექსპერტის მიერ უნდა ყოფილიყო სერთიფიკატი გაცემული, თუმცა ვინაიდან ბანკმა მოსთხოვა მხოლოდ ერთის წარდგენა, იგი ასეც მოიქცა. შესაბამისად გამხსნელმა ბანკმაც მოახდინა ანგარიშსწორება ბენეფიციართან და წარუდგინა აკრედიტივის თანხის ანაზღაურება აპლიკანტს. აპლიკანტმა არ მიიღო თანხის გადახდაზე ბანკის მოთხოვნა წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, რადგან დოკუმენტაცია ითვალისწინებდა ორი ექსპერტის მიერ გაცემულ სერთიფიკატს, ხოლო ვინაიდან სახეზე გვქონდა ერთი სერთიფიკატი, აქედან გამომდინარე არ გადაუხადა მის მიერ ბენეფიციარისთვის უკვე გადახდილი თანხა. გამხსნელმა ბანკმა უჩივლა აპლიკანტს გადახდილი თანხების ასანაზღაურებლად, თუმცა წააგო აღნიშნული დავა. ლორდთა პალატამ გადაწყვიტა, რომ აპლიკანტი არ იყო ვალდებული გამხსნელი ბანკისთვის თანხის ანაზღაურებაზე, ვინაიდან ბანკმა თავისი მანდატის ფარგლებში ზუსტად არ იმოქმედა აპლიკანტის ინსტრუქციებით.⁴¹

წარმოდგენილი საქმით ნათლად ჩანს, რომ გამხსნელი ბანკი ან და სხვა ბანკი, რომელიც მოქმედებს აკრედიტივის ფარგლებში, ვალდებულია

⁴¹ Peter Ellinger, Dora Neo, *The Law and Practice of Documentary Letters of Credit*, hart publishing, Portland, USA, 2010, 86.

იმოქმედოს აკრედიტივის პირობების ზუსტი დაცვით და არ გასცდეს მხარეთა მიერ აკრედიტივით შეთანხმებულ პირობებს. ნებისმიერმა მცირე შცდომამაც კი, შესაძლოა გამოიწვიოს დიდი ფინანსური ზარალი.

როდესაც გამხსნელი ბანკი აკრედიტივთან დაკავშირებით იყენებს საკორესპოდენტო ბანკს, რათა შეასრულოს აპლიკანტის ინსტრუქციები, ასეთ შემთხვევაში საკორესპოდენტო ბანკი ასრულებს ორ ფუნქციას: პირველი, ის მოქმედებს გამხსნელი ბანკის სახელით და უზრუნველყოფს მისთვის აკრედიტივის საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებას აპლიკანტის მიმართ და მეორე, ის ასრულებს საკუთარ საკონტრაქტო ვალდებულებას გამხსნელ ბანკთან. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ფუნქციის შესრულებას ვერ უზრუნველყოფს საკორესპოდენტო ბანკი, მაშინ დიდი ალბათობით სასამართლო გამხსნელ ბანკს დააკისრებს მეორე ფუნქციის შესრულების ვალდებულებას.

აპლიკანტის მთავარი ვალდებულებას გამხსნელი ბანკის მიმართ წარმოადგენს იმ თანხის ანაზღაურება, რომელიც ბანკმა დოკუმენტების დამოწმების შემდომ გადაუხადა ბენეფიციარს. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სწორად შეასრულა გამხსნელმა ბანკმა თავის ვალდებულება და თუ რამდენად მოქმედებდა თავისი მანდატის ფარგლებში. აპლიკანტის ვალდებულება აუნაზღაუროს თანხა გამხსნელ ბანკს დაკავშირებულია გამხსნელი ბანკის ვალდებულებასთან აუნაზღაუროს თანხა საკორესპოდენტო ბანკს, მაგრამ აქ სულ მცირე ორი მნიშვნელოვანი განსხვავებაა. პირველი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ გამხსნელი ბანკი აპლიკანტისგან ვერ მოითხოვს თანხის ანაზღაურებას, თუ იგი გადასცდება მის მოთხოვნებს აკრედიტივის დროს, თუმცა გამხსნელი ბანკი მაინც ვალდებული იქნება საკორესპოდენტო ბანკს აუნაზღაუროს თანხა. მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ გამხსნელი ბანკი, რომელიც უარს ამბობს დოკუმენტების დამოწმებაზე, უნდა აცნობოს ამის თაობაზე აპლიკანტს UCP-ით გათვალისწინებული პროცედურების

მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვეღარ გამოთქვამს პრეტენზიას დოკუმენტების შეუსაბამობის თაობაზე თანხის ანაზღაურების შესახებ.

აპლიკანტი ასევე კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ბანკს აკრედიტივის მომსახურების საკომისიო და ყველა შესაძლო ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს ბანკს აკრედიტივით მომსახურების პროცესში. მსოფლიოს მასშტაბით ბანკების კლიენტებთან და საკომიოს ოდენობასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები აქვთ. აკრედიტივის მომსახურების დროს, როგორც წესი აპლიკანტი უხდის გამხსნელ ბანკს საკორესპოდენტო ბანკის მომსახურებებსაც, რომელსაც თავის მხრივ გამხსნელი ბანკი უხდის მას. ყველა საკომისიოს ხარჯი გაწერილია აპლიკანტს და გამხსნელ ბანკს შორის გაფორმებულ აკრედიტივის მომსახურების ხელშეკრულებაში. UCP-ი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ აპლიკანტის მიერ აკრედიტივის განაცხადში სავალდებულოა მიეთითოს, თუ ვის მიერ მოხდება საავიზო თუ სხვა ბანკების მომსახურების გადახდა, შესაბამისად იგი ინსტრუქციაა გამხსნელი ბანკისთვისაც ასეთი ტიპის საკომისიოს განსაზღვრის დროს.⁴² თუ აკრედიტივი დადასტურებულია და მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულებით შეთანხმებულია ბენეფიციარის მიერ საავიზო ბანკისთვის საკომისიოს გადახდა (პრაქტიკაში ასე ხდება ძირითადად), მაშინ აპლიკანტი უთითებს განაცხადში, რომ საავიზო ბანკის მიერ აკრედიტივის დადასტურება მოხდეს მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი გადაუხდის მას შესაბამის მომსახურების საფასურს.

გამხსნელ ბანკს შეიძლება ქონდეს სხვადასხვა ტიპის თანხის ანაზღაურების ურთიერთობები სხვადასხვა აპლიკანტებთან. აღნიშნული დამოკიდებულია ბანკის და კლიენტის ხანგრძლივ ურთიერთობაზე და აპლიკანტის ფინანსურ შესაძლებლობებზე. თანმდევი ხარჯების დასაფინანსებლად აკრედიტივის ხელშეკრულების საფუძველზე, გამხსნელი ბანკი აუცილებლად მოთხოვს აპლიკანტს აკრედიტივის

⁴² Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 105.

თანხის ანგარიშზე განთავსებას. როგორც საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული, ბანკები პირველ რიგში აფასებენ აპლიკანტის ფინანსურ შესაძლებლობებს და ამის შემდგომ უხსნიან აკრედიტივს. თანხების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, გამხსნელმა ბანკმა შესაძლოა მოსთხოვოს აპლიკანტს სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალებები. მართალია, აკრედიტივის პროცესში ბანკისთვის სატრანსპორტო ზედნადები, როგორც საქონლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი აპლიკანტისგან თანხის არგადახდის შემთხვევაში წარმოადგენს გარკვეულ დაცვის მექანიზმს და უზრუნველყოფის საშუალებას, თუმცა ასეთ დროს ბანკები ბოლომდე კომფორტულად ვერ გრძნობენ თავს და ითხოვენ დამატებით გარანტიებს აპლიკანტისგან თანხის გადახდაზე.

გამხსნელი და საავიზო ბანკის ურთიერთობა ბენეფიციართან: ხელშეკრულება გამხსნელ ბანკსა და ბენეფიციარს შორის უმნიშვნელოვანესი საკითხია აკრედიტივით ტრანზაქციის დროს. რეალურად ეს არის ხელშეკრულება, რომელიც შეადგენს აკრედიტივის შინაარსს. აკრედიტივები ადრე ბანკების მიერ გაიცემოდა სატელეგრაფო გზავნილებით ან ბეჭდური წერილების სახით. თანამედროვე ტრანზაქციების დროს უკვე აკრედიტივები გაიცემა ტელექსური ქსელით ან დღეს ყველაზე გავრცელებული SWIFT მესიჯის სახით.⁴³ მთავარი ვალდებულება გამხსნელი ბანკის მიერ გაცემულ ხელშეკრულებაში არის თანხის გადახდის დაპირება, ბენეფიციარის მიერ აკრედიტივის პირობების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტების სანაცვლოდ. აღნიშნული ხელშეკრულების არსებითი პირობებია: აკრედიტივის თანხა გადახდის ვალუტის მითითებით, აკრედიტივის მოქმედების ვადა, გადაზიდვის დაწყების საბოლოო თარიღი და საქონლის მიღების ადგილი, საქონლის აღწერილობა, წარსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალი და წარდგენის ვადები, აკრედიტივის სახე და იმ ბანკის დასახელება, რომლის მიერაც

⁴³ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 109.

განხორციელდება აკრედიტივის თანხის გაცემა. ამასთან აუცილებლად მითითებული იქნება UCP-ის მეშვეობით რეგულირება.

საკითხი, თუ როდის წარმოიშვება ხელშეკრულება გამხსნელ ბანკსა და ბენეფიციარს შორის გამოხმობადი აკრედიტივის დროს არ არის პრაქტიკული მნიშვნელობის, ვინაიდან გამხსნელი ბანკი თავისუფალია თავის მოქმედებაში უკან გამოიხმოს აკრედიტივი ბენეფიციართან შეთანხმების გარეშე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ სავაჭრო პრაქტიკაში თითქმის ყველა აკრედიტივი გამოუხმობადი ხასიათისა და ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თუ რა დროს ჩნდება აკრედიტივის ხელშეკრულება გამხსნელ ბანკს და ბენეფიციარს შორის. ხელშეკრულების დადების მომენტიდან გამხსნელ ბანკს აღარ აქვს უფლება უარი თქვას თავის დაპირებაზე თანხის გადახდასთან დაკავშირებით. ტიპიურ ტრანზაქციაში ბენეფიციარი აკრედიტივის გახსნის თაობაზე შეტყობინებას საკონსულტაციო ბანკისგან ღებულობს, რომელიც მოქმედებს გამხსნელი ბანკის სახელით და არა უშუალოდ გამხსნელი ბანკისგან. ხელშეკრულება შესაძლოა ძალაში შევიდეს შემდეგ ოთხ შემთხვევაში: 1. როდესაც გამხსნელი ბანკი დავალებას აძლევს საკონსულტაციო ბანკს, რათა აცნობოს ბენეფიციარს აკრედიტივის გახსნის თაობაზე; 2. როდესაც საკონსულტაციო ბანკი ბენეფიციარს უგზავნის შეტყობინებას აკრედიტივის გახსნის თაობაზე; 3. როდესაც ბენეფიციარი მიიღებს შეტყობინებას; 4. როდესაც ბენეფიციარი განახორციელებს მოქმედებას აკრედიტივის შესაბამისად.

UCP-ის მე-7 მუხლი განსაზღვრავს, რომ გამოუხმობადი აკრედიტივის დროს გამხსნელი ბანკის ვალდებულებაა გადაუხადოს ბენეფიციარს თანხა იმ მომენტიდან, რა დროსაც იგი გასცემს აკრედიტივს და თუ წარდგენილი დოკუმენტები შეესაბამებიან აკრედიტივის მოთხოვნებს,⁴⁴ თუმცა UCP-ში გაცემის მომენტთან დაკავშირებით არაფერი არ წერია. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლოა გაცემული იყოს აკრედიტივი

⁴⁴ Commentary on UCP600, Article-by-Article Analysis by the UCP 600 drafting group, ICC publication, Paris, France, 2007, 38.

და ამის შესახებ ბენეფიციარმა არაფერი არ იცოდეს, შესაბამისად რა მომენტშიც იგი მიიღებს აკრედიტივის გახსნაზე შეტყობინებას, იმ მომენტიდან ჩაითვლება ხელშეკრულება დადებულიად.

აკრედიტივი არ მოიცავს რაიმე დაპირებას ბენეფიციარისგან გამხსნელი ან საავიზო ბანკის მიმართ, გადაზიდვისთვის საქონლის დატვირთვაზე, ან დოკუმენტების წარდგენაზე. რა თქმა უნდა, ამ მოქმედებების განხორციელებაზე ბენეფიციარს ალბულის ექნება ვალდებულება აპლიკანტთან დადებული სავაჭრო გარიგების საფუძველზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივი სავაჭრო გარიგებისგან დამოუკიდებელი სახელშეკრულებო ურთიერთობაა. გამხსნელ ბანკთან ურთიერთობის დროს, ბენეფიციარმა სავალდებულოა დააკმაყოფილოს აკრედიტივის პირობები, რათა მიიღოს თანხა აკრედიტივის საფუძველზე. გამხსნელ ბანკს ვერ ექნება პრეტენზია, თუ ბენეფიციარი თანხის მისაღებად არ წარადგენს დოკუმენტაციას.

ტრადიციულ სახელშეკრულებო სამართლის თეორიის მიხედვით, ბენეფიციარმა შესაძლოა სადავო გახადოს გამხსნელი ბანკის მიერ გადახდის დაპირება, იმ მოტივით, რომ მას არ გამოუთქვამს აღნიშნულთან დაკავშირებით თანხმობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამართლის მეცნიერთა შორის მრავალი დებატი გაიმართა, სადაც გამოითქვა მხარდამჭერი არგუმენტები ბენეფიციარის მიერ აკრედიტივის თანხმობასთან დაკავშირებით. ერთი ნაწილის მოსაზრებით, აპლიკანტი, რომელიც უდავოდ ეთანხმება აკრედიტივის ხელშეკრულებას, მოქმედებს, როგორც ბენეფიციარის წარმომადგენელი, როდესაც აფორმებს აკრედიტივის მომსახურების ხელშეკრულებას გამხსნელ ბანკთან. მეორე ნაწილის მოსაზრებით, გამხსნელი ბანკი უკეთებს ცალმხრივ შეთავაზებას ბენეფიციარს და ბენეფიციარი ამ შეთავაზების აქცეპტირებას დოკუმენტების ბანკში წარდგენის მეშვეობით ახდენს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დისკუსიის არსი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან აკრედიტივის ხელშეკრულება შემუშავებულია, როგორც (*sui generis*) -

თავისებური, როდესაც საკითხი ბენეფიციარის თანხმობას ეხება. მისი ვალდებულების დამკისრებელი ბუნება გამყარებულია სავაჭრო გამოყენებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საავიზო ბანკი დამოუკიდებლად იღებს გამხსნელი ბანკის ყველა ვალდებულებას, რომ გადაუხადოს ბენეფიციარს დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ.⁴⁵ ამ შემთხვევაში გამყიდველს უკვე აქვს აკრედიტივი, რომელიც მხარდაჭერილია ორი ბანკის მიერ. თუ საავიზო ბანკი, წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გადაუხდის ბენეფიციარს თანხას, გამხსნელი ბანკი ვალდებულია აუნაზღაუროს მას გადახდილი თანხა, არგადახდის შემთხვევაში გამხსნელი ბანკი იქნება პასუხისმგებელი თანხის არგადახდაზე. ხოლო პირიქით თუ საავიზო ბანკი შეუსაბამო დოკუმენტების საფუძველზე გადაუხდის ბენეფიციარს, მაშინ იგი კარგავს უფლებას მოითხოვოს თანხის ანაზღაურება გამხსნელი ბანკისგან.

საერთაშორისო კომერციაში არსებობს მრავალი საქმე, რომელიც მიუთითებს აკრედიტივის ხელშეკრულების ორმხრივ ვალდებულებაზე ბენეფიციარსა და ბანკს შორის. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილება არის მოსამართლე Jenkins LJ-ს მიერ გამოტანილი (საქმე Hamzah Malas & Sons v British Imex Industries Ltd), სადაც მან აღნიშნა: „ჩვენ მივმართეთ მრავალ პასუხისმგებელ პირს, თუ ორგანოს და მარტივად გასაგებია, რომ დადასტურებული აკრედიტივი გულისხმობს შეთანხმებას ბანკსა და საქონლით მოვაჭრეს შორის, რომელიც აკისრებს ბანკს აბსოლუტურ ვალდებულებას თანხის გადახდაზე, მიუხედავად იმისა სამომავლოდ წარმოიშვება თუ არა საქონელთან დაკავშირებით რაიმე სახის დავა. გულმოდგინედ დამუშავებული კომერციული სისტემა აგებულია ისეთ საფუძველებზე, რომ ბანკების მიერ გაცემული აკრედიტივი

⁴⁵ Chow Schoenbaum, International Business Transactions, Problems Cases and Materials, Aspen Publishers, New Yourk, USA, 2005, 253.

ორმხრივი ვალდებულების ხასიათს ატარებს და ჩემს მსჯელობაშიც არასწორი იქნება, რომ გადაუხვიო დამკვიდრებულ პრაქტიკას“. ⁴⁶

ბენეფიციარი აკრედიტივის ურთიერთობაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს. მართალია, როგორც აპლიკანტი ასევე გამხსნელი თუ საავიზო ბანკები თანხის გადახდაზე ვალდებულები არიან ბენეფიციარის წინაშე, თუმცა თავის მხრივ ბენეფიციარსაც გააჩნია ვალდებულებები აპლიკანტის და ბანკების წინაშე. აპლიკანტთან დადებული სავაჭრო გარიგების საფუძველზე, იგი ვალდებულია შეასრულოს აკრედიტივის პირობები, ანუ წარუდგინოს ბანკს შეთანხმებული დოკუმენტთა ნუსხა თანხის მისაღებად. აკრედიტივის ურთიერთობებში იგი ასევე ვალდებულია გადაუხადოს საავიზო ბანკს აკრედიტივით მომსახურების საკომისიო.

საერთაშორისო სავაჭრო და საბანკო ურთიერთობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიღებულ გამოცდილებას და პრაქტიკას. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში (გერმანია, პოლანდია) აკრედიტივთან დაკავშირებული კანონმდებლობა ძირითადად ეყრდნობა და შემუშავებულია დაგროვებული პრაქტიკის საფუძველზე, ხოლო პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში (აშშ, ბრიტანეთი) აკრედიტივთან დაკავშირებული რეგულაციები ძირითადად სასამართლო პრაქტიკას ეყრდნობა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული ურთიერთობების და მხარეთაშორის არსებული ვალდებულებების გარდა, აკრედიტივთან დაკავშირებულ ურთიერთობებში, ბანკებს გააჩნიათ სხვა მრავალი და იმავდროულად საპასუხისმგებლო ვალდებულებები. ბანკის უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენს ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება და მისი აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის დადგენა. ბანკების მიერ დოკუმენტაციის შემოწმების ერთი კონკრეტული ვადა არ არის დადგენილი. UCP-ით განსაზღვრულია 5

⁴⁶ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 111.

(ხუთი) საბანკო დღე. დოკუმენტაციის შემოწმების ვადები უმეტეს შემთხვევაში თავად ბანკებს აქვთ დადგენილი და შესაბამისად არ არის გამორიცხული ეს ვადა UCP-ით დადგენილ ვადაზე ნაკლები იყოს. ბანკებმა აღნიშნული ვალდებულება უნდა განახორციელონ დაგვიანების გარეშე და შემოწმების დამთავრებისთანავე აცნობონ ბენეფიციარს მისი შედეგები. ბანკები ბენეფიციარის შემოწმების დამთავრების დღესვე ატყობინებენ, რათა შეუსაბამობების დადგენის შემთხვევაში აკრედიტივის ვადის გასვლამდე ბენეფიციარს რაც შეიძლება მეტი დრო ქონდეს მათ შესავსებად და ხარვეზის აღმოსაფხვრელად. აღნიშნულ შეტყობინებაში ნათლად უნდა იქნეს მითითებული ყოველი კონკრეტული შეუსაბამობა. რაც შეეხება შეტყობინების გაგზავნის ფორმებს, ეს შეიძლება იყოს ელექტრონული საშუალებით, ტელეფონით ან ფოსტით გაგზავნილი, თუმცა აღნიშნულიც წინასწარ უნდა შეთანხმდეს მხარეთა მიერ და გაიწეროს აკრედიტივის პირობებში.

ბანკის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს ბენეფიციარის მფლობელობაში არსებული დოკუმენტაციის დაბრუნება. თუ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დადგინდება შეუსაბამობები, მიუხედავად იმისა, რომ ბანკმა უნდა აცნობოს აღნიშნული ბენეფიციარს, მას ასევე აქვს ვალდებულება დაუბრუნოს ბენეფიციარს წარდგენილი დოკუმენტები.⁴⁷ შეუსაბამობის დროს ბანკები აპლიკანტისგან ელოდებიან ინსტრუქციებს იმ შეუსაბამობებზე, რაც ბანკმა აღმოაჩინა, მიიღოს დოკუმენტები და დაადასტუროს ისინი, თუ უარყოს და დაუბრუნოს ბენეფიციარს. შესაბამისად ბანკი მოქმედებს აპლიკანტის მითითებით.⁴⁸

კომერციული აკრედიტივის ურთიერთობებში, წარსადგენი დოკუმენტები ხშირად კომერციულ ფასეულობას ატარებენ. ისინი არიან საკუთრების უფლების დამადასტურებლები, რომელიც აძლევს

⁴⁷ Matti S. Kurkela, *Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law*, Oxford University Press, New York, USA, 2008, 165.

⁴⁸ *Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600)*, issued by International Chamber of Commerce, Article 16 (c)

დოკუმენტების მფლობელს საქონელის ფლობის უფლებას. თუ დოკუმენტები უარყოფოლი იქნება, ბენეფიციარს ზარალის თავიდან ასაცილებლად შეეძლება საქონელი სხვა ფორმით გაყიდოს ან საერთოდ სხვაზე გაასხვისოს, შესაბამისად მისთვის მნიშვნელოვანია იმ დოკუმენტების უკან დროული დაბრუნება, რომლებიც ადასტურებენ საქონელზე მის საკუთრებას.

ბანკები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც აკრედიტივით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პირობებს ეხება. ამგვარი ტიპის რეგულაციები გათვალისწინებულია ქვეყნის შიდა ნორმატიული ბაზით და შესაბამისად მისი დარღვევა ანიჭებს მხარეს უფლებას ბანკისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

თანხის ანაზღაურება მხარეებს შორის: (reimbursement agreements)
ხელშეკრულება გაფორმებული გამხსნელ ბანკსა და აპლიკანტს შორის ორი მნიშვნელობის მატარებელია: ერთის მხრივ იგი არის ხელშეკრულება ბანკის მხრიდან კონკრეტულ მომსახურების გაწევაზე, აღნიშნულ შემთხვევაში აპლიკანტი ავალებს გამხსნელ ბანკს აკრედიტივი გახსნას ბენეფიციარის სასარგებლოდ, სადაც მითითებულია აკრედიტივის კონკრეტული პირობები და გაწერილია ბანკის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულებები, ასევე საკომისიო ბანკის მხრიდან მომსახურების სანაცვლოდ.⁴⁹ მეორეს მხრივ ისინი წარმოადგენენ ბანკებისთვის აპლიკანტის დაკვეთით და მოთხოვნით ბენეფიციარისთვის გადახდილი თანხების ანაზღაურების საშუალებას თავად აპლიკანტისგან. როდესაც გამხსნელი ბანკი ასევე არის აპლიკანტის მომსახურე ბანკი, თანხის ასანაზღაურებლად ბანკმა შესაძლოა პირდაპირ ჩამოჭრას თანხები მისი კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან, რომელიც გახსნილი აქვს ამ ბანკში.⁵⁰

⁴⁹ საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციებში, ბანკები აკრედიტივის მომსახურების სანაცვლოდ დებულობენ აკრედიტივის თანხის 3-4% საკომისიოს სახით.

⁵⁰ Jan Dalhuisen, Dalhuisen on International Commercial, Financial and Trade Law, USA, Portland, Oregon, 2004, 469.

აკრედიტივის შეთანხმებები დაფუძნებულია სახელშეკრულებო ურთიერთობებზე მასში ჩართულ მხარეებს შორის. სავაჭრო ხელშეკრულებაში გადახდის პუნქტი უნდა უთითებდეს საქონლის საფასურის გადახდას დოკუმენტური აკრედიტივის მეშვეობით. აპლიკანტი აკრედიტივის დავალების გახსნის დროს გამხსნელ ბანკთან დაკავშირებულია ხელშეკრულებით, რომელიც თავის მხრივ ხელშეკრულებით დაკავშირებულია ბენეფიციართან თანხის გადახდის ვალდებულებით. ასევე გამხსნელი და საავიზო ბანკებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ხელშეკრულებებით აკრედიტივის ურთიერთობებში.⁵¹

აკრედიტივის საფუძველზე გამხსნელი ბანკისგან ბენეფიციარისთვის თანხის გადახდა განხორციელებულია აპლიკანტის დავალებით და მისი სახელით, შესაბამისად აპლიკანტი ვალდებულია ბანკს აუნაზღაუროს მისი დავალებით გადახდილი თანხები. გამხსნელი ბანკის მიერ აკრედიტივის ქვეშ გაღებული ხარჯების ანაზღაურების ხელშეკრულება ძალიან გავს სესხის ხელშეკრულებას, როდესაც ერთი მხრივ აპლიკანტს აღებული აქვს ვალდებულება ბანკისთვის თანხის გადახდაზე და მეორეს მხრივ გაცემული აქვს ბანკის სასარგებლოდ სხვადასხვა თანხის ამოღების მექანიზმები, როგორცაა გირაო, იპოთეკა ან ე.წ. ქეშქოვერი.⁵² შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავის მხრივ გამხსნელი ბანკიც იზღვევს თავს, რათა მისი მიერ აპლიკანტის დავალებით გადახდილი თანხები ამოიღოს თავად აპლიკანტისგან და ამისთვის აკრედიტივის გახსნის დროს თხოვს მას აკრედიტივის თანხის უზრუნველყოფის საშუალებებს.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ როგორც წესი საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის დროს აპლიკანტი და მისი

⁵¹ Lutz-Christian Wolff, *The Law of Cross-Border Business Transactions*, Kluwer Law International, Netherlands, 2013, 172.

⁵² Matti S. Kurkela, *Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law*, Oxford University Press, New York, USA, 2008, 83.

მომსახურე-გამხსნელი ბანკი ერთ ქვეყანაში ოპერირებენ, შესაბამისად ბანკისგან თანხის ანაზღაურების ურთიერთობები აპლიკანტთან რეგულირდება იმ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, სადაც იმყოფებიან მხარეები და შესაბამისად აღნიშნული ურთიერთობა არ ექვემდებარება საერთაშორისო სამართლებრივ რეგულაციას.

ბანკებს შორის ანაზღაურება (bank-to-bank indemnity): გამხსნელ ბანკსა და საავიზო ან დასახელებულ ბანკებს შორის ბენეფიციარისთვის აკრედიტივით გადახდილი თანხების ანაზღაურების ხელშეკრულება განსხვავებული ხასიათისაა. უმეტეს შემთხვევებში ასეთი ტიპის ხელშეკრულებები საერთაშორისო ხასიათისაა (სხვადასხვა ქვეყნების ბანკებს შორის დადებული) და შესაბამისად ისმის კითხვა, თუ რა დოკუმენტის და რომელი ქვეყნის სამართლის საფუძველზე უნდა იყოს რეგულირებული აღნიშნული ხელშეკრულებები.

ბანკებს შორის ურთიერთობა სპეციალური ხასიათს ატარებს, ვინაიდან აქვთ კარგი საკრედიტო რეპუტაცია და წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება. აკრედიტივთან დაკავშირებით ბანკებს შორის შესაძლოა მრავალი პორბლემური საკითხი წარმოიშვას, მაგალითად სწორად დაამოწმა, თუ არასწორად უარყო დოკუმენტების დამოწმება დამოწმებელმა ბანკმა; არის თუ არა ვალდებულების კრიტერიუმში თანხვედრა; საავიზო ბანკი მიიღებს თუ არა თანხის ანაზღაურებას გამხსნელი ბანკისგან და ა.შ.

ბანკებს შორის ურთიერთანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით ბოლო 30-40 წლის განმავლობაში სპეციფიკური პრაქტიკა ჩამოყალიბდა. ზემოთხსენებული ურთიერთობა რეგულირდება UCP-ით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ვერ უზრუნველყოფს ნებისმიერი პრობლემატური საკითხის გადაჭრას. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად საერთაშორისო სავაჭრო პალატის ნაციონალური კომისიის მიერ, მსოფლიო საბანკო ორგანიზაციის მხარდაჭერით მიღებული იქნა URR (ICC uniform rules for bank-to-bank reimbursements under Documentary

credits, ICC publication #525 -1995) როგორც UCP - ის დამხმარე დოკუმენტაცია.

აკრედიტივში, როგორც წესი მითითებულია ბანკებს შორის თანხის ანაზღაურების რეგულირების საკითხები, რომლებიც რეგულირდება UCP-ით. თუ აკრედიტივში არ არის მითითებული რეგულირების საკითხი, მაშინ გამხსნელი ბანკი ვალდებულია წარუდგინოს საავიზო ბანკს ანაზღაურების დამადასტურებელი საგარანტიო წერილი იმ თანხაზე რა თანხითაც იხსნება აკრედიტივი. ასეთი დადასტურება სავალდებულოა იყოს უვადო, რათა არანაირად არ შეიზღუდოს საავიზო ბანკისთვის თანხის ანაზღაურების საკითხი.⁵³

ბანკებს შორის თანხის ანაზღაურების ხელშეკრულება დამოუკიდებელია და არ უკავშირდება აკრედიტივის შეთანხმებას. საავიზო ან დასახელებული ბანკები ამ ურთიერთობაში წარმოადგენენ სუბიექტებს, უშუალოდ ახდენენ ანგარიშსწორებას ბენეფიციართან და შესაბამისად თანხის ანაზღაურების მოთხოვნა აქვთ აკრედიტივის გამხსნელი ბანკისგან. გამხსნელი ბანკის მიერ გაცემული თანხის ანაზღაურების დადასტურება UCC-ის თანახმად აუცილებლად უნდა იყოს გამოუხმობადი ხასიათის და რომელიც არ ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას, მიუხედავად იმისა აკრედიტივში მოხდება ცვლილებების შეტანა თუ არა.⁵⁴ აღნიშნული ურთიერთობა ასევე შესაძლებელია იყოს ერთი ბანკის ქოლგის ქვეშ. ეს ის შეთხვევაა, როდესაც ბანკი წარმოადგენილია ორივე ქვეყანაში თავისი ფილიალებით, რომელი ქვეყნის წარმომადგენლებს შორისაც ხორციელდება აკრედიტივით ანგარიშსწორება. რთულია ასეთ ურთიერთობას ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობა უწოდო, მაგრამ ერთი ბანკის ოფისებს შორის სხვადასხვა ქვეყანაში იქმნება შიდა საბანკო პროცედურები, რომლითაც რეგულირდება აკრედიტივით გადახდილი თანხის

⁵³ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 13.

⁵⁴ UCC – Article 6,7,8.

ანაზღაურების საკითხები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ UCP-UCC შემუშავებული აქვთ ისეთი რეგულირება, რომელიც გამორიცხავს გამხსნელი ბანკის მიერ საავიზო ბანკისთვის თანხის არ ანაზღაურების რისკებს.

მას შემდეგ რაც საავიზო ბანკი ბენეფიციართან განახორციელებს ანგარიშსწორებას და დაამოწმებს მიღებულ დოკუმენტაციას, ეს იწვევს ე.წ „დომინოს ეფექტს“, რაც გულისმობს იმას, რომ ამას უნდა მოყვეს თანხის ანაზღაურების პროცედურები შემდგომი მხარეებისგან გამხსნელი ბანკისგან - საავიზო ბანკისთვის, აპლიკანტისგან - გამხსნელი ბანკისთვის და საბუთების გადაცემის პროცედურები საბოლოო ადრესატამდე-მყიდველამდე. როგორც წესი „დომინოს ეფექტი“ მოქმედებს ბოლომდე, სანამ ყველა მხარის მიერ არ იქნება შესრულებული თავიანთი ვალდებულებები, რასაც საბოლოოდ მივყავართ „პროდუქტის სიკვდილამდე - „moment of death of facility“ რაც ნიშნავს აკრედიტივის პროცესის საბოლოო დასრულებას.⁵⁵

დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორებას აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები.

გამყიდველის უპირატესობები: გამყიდველს აკრედიტივი ანიჭებს მთელ რიგ უპირატესობებს და უქმნის თანხის მიღების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს. აკრედიტივი გამყიდველისთვის საერთაშორისო ვაჭრობაში არის ყველაზე უსაფრთხო და სარწმუნო მეთოდი გაყიდული საქონლის თანხის მიღების, მას შემდეგ რაც აკრედიტივი დადასტურდება საავიზო ბანკის მიერ. აკრედიტივი თავიდან არიდებს გამყიდველს იმ სირთულეებს, რაც შეიძლება თანხის მიღებას უკავშირდებოდეს სხვა ქვეყნის იურისდიქციიდან. რიგ შემთხვევებში

⁵⁵ Matti S. Kurkela, Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law, Oxford University Press, New Yourk, USA, 2008, 115.

მხარეები ერთმანეთს არ იცნობენ და შესაბამისად გამყიდველს უჭირს შეაფასოს მყიდველის ფინანსური შესაძლებლობები, ხოლო აკრედიტივი კი აზღვევს გამყიდველს იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი გადახდისუუნაროა, ვინაიდან აკრედიტივით თანხის გადახდაზე ვალდებულება უკვე გადადის ბანკზე.⁵⁶ თუ აკრედიტივი გამოუხმობადია (როგორც წესი ასეთი აკრედიტივები იდება საერთაშორისო პრაქტიკაში) გამყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე მყიდველს და გამხსნელ ბანკს არ აქვთ უფლება შეცვალონ აკრედიტივის პირობები.

გამყიდველის უარყოფითი მხარეები: გამყიდველისთვის მთელი რიგი უპირატესობების მიუხედავად, აკრედიტივი მისთვისაც გარკვეულ რისკებს შეიცავს. თუ აკრედიტივი გამოთხოვადი ხასიათისაა მაშინ პროცესის მართვის უპირატესობა გადადის მყიდველზე, ვინაიდან დეტალების მოლაპარაკებების დროს შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მყიდველს ცალმხრივად შეუძლია გააუქმოს აკრედიტივი⁵⁷. მთავარი საფრთხე იმ დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენაა, რომლის საფუძველზეც გამყიდველს უნდა აუნაზღაურდეს საქონლის ღირებულება. აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლოა გამოიწვიოს თანხის ანაზღაურების შეყოვნება ან საერთოდ არ ანაზღაურება.

მყიდველის უპირატესობები: თანამედროვე ვაჭრობაში აკრედიტივი ყველაზე მოქნილი გადახდის ფორმაა და შესაბამისად მყიდველის მხარეც გარკვეული უპირატესობებით სარგებლობს. მანამ სანამ გამყიდველი არ წარადგენს სათანადო აკრედიტივით შეთანხმებულ დოკუმენტებს, აკრედიტივზე და მის განხორციელებაზე კონტროლს ინარჩუნებს მყიდველი.

მყიდველის უარყოფითი მხარეები: მიუხედავად დაცვის მექანიზმების, აკრედიტივით ანგარიშსწორება მყიდველისთვის გარკვეულ

⁵⁶ Charles Chatterjee, *Legal Aspects of Trade Finance*, London, UK, Routledge-Haines House, 2006, 7

⁵⁷ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევები თანამედროვე საერთაშორისო აკრედიტივის ტრანზაქციებში აღარ გვხვდება და უფრო ადრეული პერიოდის გადმონათხი აღნიშნული რისკი.

კომერციულ შეზღუდვებს და საფრთხეებს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ გამოუხმობადი აკრედიტივი საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე გავრცელებული ფორმაა, ამ შემთხვევაში აკრედიტივის პირობების შეცვლა შეუძლებელია ყველა მხარის თანხმობის გარეშე. თუმცა სანამ გამყიდველი წარადგენს დოკუმენტებს ბანკში და ტვირთი ჩამოვა მყიდველთან, გამყიდველმა შესაძლოა ანალოგიური ტვირთი უფრო ხელსაყრელ ფასად იშოვოს სხვა მომწოდებლისგან, თუმცა მას შემდეგ რაც აკრედიტივი დადასტურდება საავიზო ბანკის მიერ, მყიდველს აღარ შეუძლია აკრედიტივის ცალმხრივად მოშლა, რათა უკეთეს ფასად იყიდოს ანალოგიური საქონელი, ვინაიდან გამხსნელ ბანკს გადახდაზე უკვე ექნება ვალდებულება აღებული. მეორე და მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა ნაყიდი საქონელი შეესაბამება თუ არა ხელშეკრულების პირობებს, საავიზო ბანკი დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს გამყიდველს თანხას, დოკუმენტების წარდგენის და დადასტურების შემთხვევაში. მყიდველს კი ამ დროს საქონელი ჯერ არ აქვს მიღებული, მაშინ როდესაც გამყიდველს უკვე მიღებული აქვს საქონლის ღირებულება.

ხელშეკრულება თავისი ბუნებიდან გამომდინარე ორმხრივი ან მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობაა. ცალმხრივად სახელშეკრულებო პირობის შეცვლა ეწინააღმდეგება მხარეთა შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც სავაჭრო გარიგების უკან დგას აკრედიტივით ანგარიშსწორება, მაშინ ცვლილებების საკითხი ატარებს კომპლექსურ ხასიათს. დოკუმენტური აკრედიტივი არის მხარეებს შორის დადებული სავაჭრო გარიგების ნაწილი, ისინი ფუნქციურად არიან ერთმანეთთან კავშირში, მაგრამ არსებითად დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისგან. აკრედიტივში ცვლილებების შესატანად აუცილებელია ყველა მხარის თანხმობა, რაც ნიშნავს იმას, რომ როგორც გამყიდველის და მყიდველის, ასევე პროცესში მონაწილე ბანკების თანხმობაცაა საჭირო აკრედიტივში ცვლილებების

შესატანად. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს აკრედიტივი, თუ არის გამოთხოვადი ხასიათის, რაც აძლევს მყიდველს ან გამხსნელ ბანკს დამოუკიდებლად შეიტანოს ცვლილებები მასში. თუმცა ასეთი ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკაში ძალიან იშვიათია, რომელიც გამყიდველის თანხმობის გარეშე გულისხმობს მისთვის გამსაზღვრელი ცვლილებების შეტანას⁵⁸.

ეს ფუნდამენტური წესი გამყარებულია UCP-ით და UCC - ით, კერძოდ: ორივე დოკუმენტში ერთმნიშვნელოვნად მითითებულია, რომ აკრედიტივი არის გამოუხმობადი ხასიათის და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია ბენეფიციარის, საავიზო და გამხსნელი ბანკების თანხმობის გარეშე, თუ არ არის მითითებული აკრედიტივში რომ იგი გამოთხოვადი ხასიათისაა⁵⁹.

აკრედიტივის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში მონაწილე ყველა მხარისთვის, განსაზღვრულია სავაჭრო გარიგების პროცესის წარმატებით დასრულების სამართლებრივი გარანტიები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივის მთლიან პროცესში, მყიდველთან შედარებით გამყიდველი გარკვეულ უპირატესობას ფლობს. მართალია, მყიდველი და მისი მომსახურე ბანკი ანგარიშსწორებას ახორციელებენ, მას შემდეგ რაც ბენეფიციარი წარადგენს სავაჭრო ბანკში აკრედიტივით შეთანხმებულ დოკუმენტაციას და ბანკის მიერ მოხდება მათი დადასტურება. მაგრამ, დოკუმენტური აკრედიტივის დროს, რაზეც მისი სახელწოდებაც მიანიშნებს საქმე გვაქვს დოკუმენტებთან და არა უშუალოდ საქონელთან. შესაბამისად, დოკუმენტების სწორად წარდგენა და ბანკის მიერ დადასტურება გარანტირებულს ხდის გამყიდველისთვის თანხის მიღებას, ეს მაშინ, როდესაც მყიდველს ჯერ საქონელი არ უნახავს, რაც მისთვის გადაცემის დროს შესაძლოა არ იყოს იმ ხარისხის და რაოდენობის

⁵⁸ Matti S. Kurkela, *Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law*, Oxford University Press, New York, USA, 2008, 43.

⁵⁹ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 10; UCC – Article 5; UNC Article 8;

რაზედაც შეთანხმდნენ მხარეები. ეს კი, მყიდველისთვის იწვევს არახელსაყრელ ვითარებაში აღმოჩენას.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დოკუმენტური აკრედიტივი ორივე მხარისთვის საკმაოდ ხარჯიანი მომსახურებაა. მათ, გარდა ბანკებისთვის გადასახდელი საკომისიოსა, უწევთ დამატებითი ხარჯების გაღება დოკუმენტების მოსაგროვებლადაც, რაც საბოლოოდ აკრედიტივის გამოყენებას საერთაშორისო ვაჭრობაში საკმაოდ ძვირ პროდუქტს ხდის. მიმაჩნია, რომ საქართველოში დოკუმენტური აკრედიტივის იშვიათი გამოყენება, გარდა მისი მწირი სამართლებრივი რეგულირებისა, განპირობებულია მისი მომსახურების მაღალი ფასითაც. თუ შევადარებთ სხვა მომიჯნავე უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებას საქართველოში, კერძოდ საბანკო გარანტიას, რომელიც პრაქტიკაში უფრო გამოყენებადია ვიდრე დოკუმენტური აკრედიტივი, გამომდინარეობს საბანკო გარანტიის შედარებით დაბალი მომსახურების ფასით, ვინაიდან საბანკო გარანტიის დროს მონაწილეობს ერთი ბანკი, ხოლო დოკუმენტური აკრედიტივის დროს კი სულ მცირე ორი ან მეტიც კი, რაც თავისთავად თითოეული საბანკო ინსტიტუციის ჩართვის გამო აკრედიტივის პროცესში, აძვირებს აღნიშნულ მომსახურებას.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების მხარეთა საკითხი საკმაოდ პრობლემურია. სირთულეს ქმნის ის, რომ ხელშეკრულების ძირითადი მხარეების (გამყიდველი/ზენეფიცირარი, მყიდველი/აპლიკანტი, გამხსნელი ბანკი, საავიზო ბანკი) გარდა, ხელშეკრულებაში ხშირად მონაწილეობს სხვა საშუამავლო თუ საკონსულტაციო ტიპის ბანკები, რაც ართულებს, როგორც თავად დოკუმენტური აკრედიტივის ფინანსურ და ტექნიკურ, ასევე იურიდიულ საკითხებსაც. კერძოდ, ნებისმიერ ამგვარ ურთიერთობაში ხშირად წარმოიშობა პრობლემა გამოსაყენებელ სამართალთან და ბანკებს შორის ურთიერთანგარიშსწორებასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად

ყველაზე ეფექტური გზა სწორედ ის საერთაშორისო შეთანხმებები და აქტებია, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, რადგან თანამედროვე ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის გამოყენება, ყოველთვის გაართულებს და არაეფექტურს გახდის დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების შესაძლებლობებს. ეს კი თავის მხრივ უფრო გაართულებს ამ საბანკო მომსახურების ხელშეკრულების შემდგომ განვითარებას.

3. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სახეები

აკრედიტივის მონაწილე მხარეების განხილვის შემდგომ მართებულია განვიხილოთ აკრედიტივის ის სახეები, რომელთა გახსნაც თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობაშია შესაძლებელი. დოკუმენტური აკრედიტივიდან გამომდინარე მონაწილე მხარეების უფლებამოსალობების ხილვა აკრედიტივის პირობებშია შესაძლებელი, კერძოდ უმნიშვნელოვანესია განვიხილოთ, თუ რა სახის აკრედიტივის გახსნაზე შეთანხმდნენ მხარეები. აკრედიტივის სახეები UCP-ით არის განსაზღვრული, შესაბამისად უმჯობესია ყოველი მათგანი სათითაოდ განვიხილოთ, ვინაიდან საერთაშორისო სავაჭრო სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სხვადასხვა სახის კომერციული აკრედიტივები.

Revocable and irrevocable credits გამოთხოვადი და გამოუთხოვადი აკრედიტივი: აკრედიტივის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ნებისმიერი სახე გამოუთხოვადი ხასიათისაა, თუ ეს პირდაპირ არ არის მხარეთა მიერ აკრედიტივში მითითებული. ამის აღნიშვნა არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ადრე მოქმედი (UCP 500) სხვაგვარად არეგულირებდა აღნიშნულ საკითხს, რამაც ბევრი გაურკვეველობა გამოიწვია მსოფლიო პრაქტიკაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო რედაქცია (UCP 600) უკვე ნათლად განსაზღვრავს აკრედიტივის გამოუთხოვადობის ბუნებას.

თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში თითქმის ყველა აკრედიტივი გამოუთხოვადი ხასიათისაა, ვინაიდან გამოთხოვადი აკრედიტივი

გამყიდველისათვის დამცავ მექანიზმს არ წარმოადგენს.⁶⁰ გამოთხოვადი აკრედიტივის დროს, გამხსნელ ბანკს უფლება აქვს გააუქმოს აკრედიტივი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამყიდველი დაიწყებს სავაჭრო ხელშეკრულების პირობების შესრულებას. გამხსნელ ბანკს აკრედიტივის გაუქმება გამყიდველის გაფრთხილების გარეშე შეუძლია. შედეგად გამყიდველმა შესაძლოა მიიტანოს საქონელი გადამზიდავთან და საავიზო ბანკისთვის დოკუმენტების წარდგენის დროს შეიტყოს აკრედიტივის გაუქმების თაობაზე. გამოთხოვადი აკრედიტივის დროს საავიზო ბანკი არ იღებს არავითარ ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე. იმ პირობებშიც კი თუ ბენეფიციარი ყველა საჭირო დოკუმენტაციას წარუდგენს საავიზო ბანკს, საავიზო ბანკი უფლებამოსილია არ გადაუხადოს თანხა ბენეფიციარს და გააუქმოს აკრედიტივი.⁶¹ ზემოთხსენებული შემთხვევა საბანკო-სავაჭრო პრაქტიკაში გამომდინარეობს იმ ფაქტორიდან, რომ აკრედიტივის გახსნიდან ბენეფიციარის მიერ დოკუმენტების წარდგენამდე, შესაძლოა აპლიკანტს შეექმნას ფინანსური პრობლემები, შესაბამისად ბანკი საკუთარ თავზე აღარ იღებს თანხის გადახდის ვალდებულებას აპლიკანტისგან თანხის აუნაზღაურებლობის შესაძლო რისკიდან გამომდინარე და აუქმებს აკრედიტივს. აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე გამოთხოვადი აკრედიტივი გამოუთხოვად აკრედიტივთან შედარებით პრაქტიკაში ნაკლებად გამოყენებადი⁶².

განსხვავებით UCP-ი 500-სგან UCP-ი 600 ითვალისწინებს მხოლოდ გამოუთხოვად აკრედიტივს და განსაზღვრავს, რომ როდესაც მხარეები თანხმდებიან დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორებაზე, ავტომატურად იგულისხმება, რომ აკრედიტივი გამოუხმობადი ხასიათისაა. გამოუთხოვადი აკრედიტივი გულისხმობს გამხსნელი და საავიზო ბანკის ვალდებულებას, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების

⁶⁰ Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 22.

⁶¹ Nelson Enonchong, The Independence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, Oxford, UK, 2011, 17.

⁶² ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. გამომცემლობა სტუ. თბ. 2010, გვ.878

საფუძველზე აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში, უპირობოდ მოახდინოს ბენეფიციართან ანგარიშსწორება. გამოუთხოვადი აკრედიტივის შეცვლა ან გაუქმება დაუშვებელია საავიზო და გამხსნელი ბანკის, ასევე ბენეფიციარის თანხმობის გარეშე. გამოუთხოვადი აკრედიტივი შესაძლებელია გაცემული იქნას ბანკის მიერ, თუმცა თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში ამგვარი სახით იგი უკვე აღარ გამოიყენება.

Confirmed and Unconfirmed Credits დადასტურებული და დაუდასტურებელი აკრედიტივი: როდესაც დოკუმენტური აკრედიტივი დაუდასტურებელი ხასიათისაა, შემტყობინებელი ბანკი მოქმედებს, როგორც გამხსნელი ბანკის აგენტი. დაუდასტურებელი აკრედიტივის დროს ბენეფიციარის წინაშე გადახდის ვალდებულებას იღებს უშუალოდ გამხსნელი ბანკი და არა მის ქვეყანაში განთავსებული დასახელებული ან შემტყობინებელი ბანკები. მიუხედავად ზემოთხსენებული შემთხვევისა, შემტყობინებელი ბანკისათვის საბუთების წარდგნა სავალდებულოა. შესაბამისად ბენეფიციარი ერთგვარად არახელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდება საბუთებში ხარვეზის აღმოჩენის ან სხვა მიზეზით გადახდის პროცესის გართულების გამო, ვინაიდან გამხსნელი ბანკი არ მდებარეობს მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში და შესაბამისად გაართულების მისთვის თანხის მიღებას.

ზემოთხსენებული პრობლემური საკითხი სიღრმისეულადაა წარმოჩენილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო გადაწყვეტილებაში - Panoustos v Raymond Hadley Corporation of New York. აღნიშნულ საქმეში ვინაიდან დოკუმენტური აკრედიტივი დაუდასტურებელი ხასიათის იყო, დასახელებულმა ბანკმა ბენეფიციარს წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ გადაუხადა თანხა. პროცესზე დასახელებულმა ბანკმა განაცხადა, რომ ბენეფიციარისათვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ აკრედიტივის გახსნით ბანკი თანხის გადახდაზე არანაირ ვალდებულებას არ იღებდა. აღნიშნული გამომდინარეობდა იქიდან, რომ აკრედიტივის

დადასტურება არ მომხდარა შემტყობინებელი ბანკის მიერ და ასეთ შემთხვევაში მოქმედებდნენ, მხოლოდ როგორც გამხსნელი ბანკის აგენტები⁶³.

ამის საპირისპიროდ დოკუმენტური აკრედიტივის პროცესში დადასტურებული აკრედიტივი მაქსიმალურად აზღვევს გამყიდველს. დადასტურებული აკრედიტივის შემთხვევაში გამხსნელი ბანკის საკორესპოდენტო ბანკი, რომელიც განთავსებულია გამყიდველის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, ადასტურებს აკრედიტივს და იღებს ყველა ვალდებულებას გამყიდველის წინაშე. ასეთ შემთხვევაში გამყიდველს მხოლოდ საავიზო ბანკთან აქვს ურთიერთობა, რაც მისთვის თანხის მიღების საიმედო გარანტიაა.

მართებულია განვიხილოთ დადასტურებული აკრედიტივის უპირატესობები კონკრეტული გადაწყვეტილების საფუძველზე. *Forestal Mimosa Ltd v Oriental Cerdit LTD* გადაწყვეტილება ეხება დადასტურებულ აკრედიტვს. ბენეფიციარმა წარუდგინა საავიზო ბანკს დოკუმენტები, რომლის გადახდის ვადა შეადგენდა 90 დღეს, თუმცა გამხსნელმა ბანკმა აპლიკანტის ინსტრუქციების საფუძველზე მოგვიანებით უარი თქვა სატრანსპორტო კონოსამენტის მიღებაზე აღმოჩენილი შეუსაბამობების გამო, შესაბამისად საავიზო ბანკმა უარი განაცხადა ბენეფიციარისთვის თანხის გადახდაზე, გადახდის ვადის დადგომისას. ბენეფიციარმა საავიზო ბანკის მიმართ შეიტანა სარჩელი დადასტურებული აკრედიტივის საფუძველზე თანხის გადახდის მოთხოვნით. ლონდონის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საბუთებში შეუსაბამობებზე აპელირება აპლიკანტის განაცხადის საფუძველზე უადგილოა, ვინაიდან საავიზო ბანკმა დაადასტურა რა აკრედიტივი შესაბამისად იკისრა ვალდებულება მიღებული დოკუმენტების საფუძველზე გადაეხადა თანხა ბენეფიციარისათვის. მოსამართლის განმარტებით „თავად საავიზო ბანკია

⁶³ Paul Todd, *Bills of Lading and Banker's Documentary Credits*, Fourth Edition, London, UK, 2007, 38.

ბენეფიციარის წინაშე თანხის გადახდაზე ანგარიშვალდებული და აღნიშნული ვალდებულება გამოუხმობადი და დამოუკიდებელი სახის ვალდებულებაა გამხსნელი ბანკის თუ მყიდველის ნებიმისმიერი პოზიციისა.⁶⁴

აკრედიტივის დადასტურება მოითხოვს საავიზო ბანკისგან ბენეფიციარის წინაშე მის გამოუხმობად ვალდებულების აღებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ გამხსნელი ბანკი გადახდისუუნარო გახდება, საავიზო ბანკს უფლება არ აქვს უარი თქვას ბენეფიციარს თანხის გადახდაზე, ან მოსთხოვოს მას გადახდილი თანხის უკან დაბრუნება გამხსნელი ბანკის ვერ ანაზღაურების შემთხვევაში. გამოუთხოვადი დადასტურებული აკრედიტივი საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე გამოყენებადი და მოქნილი დოკუმენტური აკრედიტივის სახეა. აღნიშნული სახის აკრედიტივი ორივე მხარისათვის რისკების დაცვის მექანიზმს ქმნის.

Sight credits - დაუყოვნებლივ აღსრულებადი აკრედიტივი: დოკუმენტური აკრედიტივი ასევე განსხვავდება იან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ბენეფიციარისთვის თანხის გადახდა. დაუყოვნებლივ აღსრულებადი აკრედიტივი ყველაზე მარტივი გადახდის ფორმის აკრედიტივია. გამხსნელი ბანკი შეთანხმებული დოკუმენტაციის მიღებისთანავე (აკრედიტივის დადასტურების შემთხვევაში საავიზო ბანკი) ვალდებულია დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს ბენეფიციარს საქონლის ღირებულება.

UCP-ის მიხედვით სავალდებულოა მხარეებმა წინასწარ განსაზღვრონ და მიუთითონ აკრედიტივის სახე. დაუყოვნებლივ აღსრულებადი აკრედიტივის შემთხვევაში ბანკი, როგორც კი დაადგენს დოკუმენტების შესაბამისობას და მათ აკრედიტივთან სისწორეს, ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს ბენეფიციართან

⁶⁴ Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, 39.

ანგარიშსწორება. ზემოთხსენებული მიზეზის გამო ბენეფიციარისათვის აღნიშნული სახის აკრედიტივი მეტად კომფორტული და ხელსაყრელია.

Deferred Payment Credits - გადავადებული გადახდის აკრედიტივი:
გადავადებული გადახდის აკრედიტივით ბენეფიციარი შეთანხმებული ორიგინალი დოკუმენტების გამხსნელი ან საავიზო ბანკისთვის წარდგენის შემდგომ მიიღებს თანხას აკრედიტივით შეთანხმებულ პერიოდში. აღნიშნული პერიოდი საჭიროა ბანკისთვის, რათა კარგად შეამოწმოს ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტების აუთენტურობა და შესაბამისობა აკრედიტივით შეთანხმებულ პირობებთან.

ხშირად საერთაშორისო ვაჭრობაში, მყიდველს თანხის გადასახდელად გარკვეული დრო ჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ტრეიდერია, აღნიშნული დრო ჭირდება საქონლის გადასაყიდად. ასევე საერთაშორისო ვაჭრობაში აპრობირებული მეთოდია, როდესაც მყიდველი მისაღები საქონლის უზრუნველყოფით თავიანთი მომსახურე ბანკებისგან იღებენ აკრედიტივით გადასახდელი თანხის დაფინანსებას და საქონლის გადაყიდვის შემდგომ ფარავენ ბანკის დავალიანებას. ამიტომაც გადავადებული აკრედიტივით სარგებლობა საკმაოდ გავრცელებული და მოსახერხებელი პროდუქტია ტრეიდერებისათვის და ბროკერებისთვის.⁶⁵

საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში ხშირად ხდება, როდესაც შემტყობინებელი ან საავიზო ბანკები გამყიდველისგან ფასდაკლებით თავად ყიდულობენ გადავადებული აკრედიტივის თანხის მიღების მოთხოვნას. აღნიშნულ შემთხვევაში გამყიდველი დაუყოვნებლივ ღებულობს ამ ბანკისგან საქონლის ღირებულებას დაკლებული ფასით, ხოლო თანხის მიღებაზე მოთხოვნის უფლება კი რჩება იმ ბანკს, რომელმაც აღნიშნული მოთხოვნა შეიძინა. ამ შემთხვევაში, მართალია, გამყიდველმა ფასდაკლებული ღირებულებით გაყიდა საქონელი, თუმცა თანხის დაუყოვნებლივ განაღდება უღირდა ნაკლები მოგებით საქონლის

⁶⁵ Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 314.

გაყიდვა, ხოლო ის ბანკი, რომელმაც შეიძინა თანხის მოთხოვნის მიღების უფლება გამხსნელი ბანკისგან, რათქმაუნდა მოითხოვს სრული გადავადებული აკრედიტივის თანხას, სადაც ფასდათმობით ნაყიდი ფასისა და საქონლის პირველად ღირებულებას შორის სხვაობა იქნება ბანკის მოგება, რის გამოც განახორციელა აღნიშნული მოთხოვნის შექმნა. შესაბამისად პრაქტიკაში ძალიან ხშირია გადავადებული აკრედიტივის გამოყენება.

აღნიშნული ტიპის აკრედიტივს საავიზო ბანკისთვის ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი თვისება აქვს, მაშინ როდესაც საავიზო ბანკი ახდენს ანგარიშსწორებას ბენეფიციართან მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის და ვალიდურობის დადასტურების შემდეგ. თავის მხრივ საავიზო ბანკისთვის თანხის ანაზღაურების ვალდებულება გააჩნია გამხსნელ ბანკს, თუმცა თუ გადავადებული აკრედიტივის პერიოდში აღმოჩნდება, რომ ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტები შეიცავს თაღლითობის ფაქტებს (fraud), გამხსნელი ბანკის მიერ აღარ მოხდება თანხის ანაზღაურება საავიზო ბანკისთვის, რაც ამ უკანასკნელისათვის მეტად დამაზიანებელია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბანკო პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება არის Banco Santander SA v. Bayfern LTD. აღნიშნულ საქმეზე დოკუმენტური აკრედიტივი მხარეთა შეთანხმებით გადავადებული სახის იყო, სადაც საავიზო ბანკმა (Santander) ფასდაკლებით იყიდა გამყიდველისგან აკრედიტივის თანხის მიღების უფლება, თუმცა გამხსნელი ბანკისგან თანხის გადახდამდე აღმოჩნდა, რომ ბენეფიციარმა წარდგენილი დოკუმენტები გააყალბა და თაღლითურად წარადგინა. აქედან გამომდინარე გამხსნელმა ბანკმა არ აუნაზღაურა თანხა საავიზო ბანკს. სასამართლომ დაადგინა, რომ გამხსნელი ბანკისთვის თაღლითობის ფაქტი უდავოდ წარმოადგენდა დაცვის მექანიზმს თანხის არ გადახდაზე, თუმცა საავიზო ბანკის მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე ვერ იქნებოდა გაზიარებული, ვინაიდან

აკრედიტივის ფასდაკლებით ყიდვა მან დამოუკიდებლად გადაწყვიტა და არავითარი შეთანხმება ამის თაობაზე გამხსნელ ბანკთან არ ქონია, სანტანდერი თავისი მანდატის ფარგლებში მოქმედებდა⁶⁶.

გადავადებული გადახდის აკრედიტივი თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში მეტად გავრცელებული ფორმაა. იგი აძლევს შესაძლებლობას მასში ჩართულ მხარეებს ეფექტურად ისარგებლონ იმ პერიოდით სანამ გადახდის ვადა დადგება. გამყიდველს შეუძლია ფასდაკლებით დაუთმოს თანხის მოთხოვნის უფლება ბანკს და მყისიერად გაინაღდოს თანხა, ხოლო თავის მხრივ ბანკმაც მიიღოს სარგებელი თანხის მოთხოვნის უფლების ყიდვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფორმის აკრედიტივის მთავარი უარყოფითი მხარე ბენეფიციარის მიერ დოკუმენტების თაღლითურად მოპოვება და წარდგენა წარმოადგენს, რაც ზემოთმოყვანილმა სასამართლო გადაწყვეტილებამაც დაადასტურა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მიუხედავად დოკუმენტური აკრედიტივის ნაკლებ პოპულარობისა, აღნიშნული სახის აკრედიტივი საკმაოდ მიმზიდველია ვაჭრობით დაკავებული სუბიექტებისათვის. გადავადებული აკრედიტივის დროს, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ აკრედიტივის უზრუნველყოფით ბანკებში წვდომა ქონდეთ ფინანსურ რესურსზე აკრედიტივს მომსახურების საკომისიოს ფასად, რაც მნიშვნელოვანწილად იაფი პროდუქტია ვიდრე კომერციული კრედიტი საქართველოში. აღნიშნული კი კარგ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საბრუნავი საშუალებებისთვის.

Acceptance Credits-მისაღები აკრედიტივი: მისაღები აკრედიტივი გულისხმობს გამხსნელი ბანკისგან თამასუქის მიღებას და აკრედიტივის თანხის ანაზღაურებას მითითებულ ვადაში. თამასუქის მიმღები იმთავითვე ვალდებულია ბენეფიციარისათვის თანხის გადახდაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის აკრედიტივის დროს ბანკები არ არიან ვალდებული გაუგზავნონ შეტყობინება თანხის ანაზღაურებაზე

⁶⁶ Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, 40

ბენეფიციარს.⁶⁷ ამის საპირისპიროდ ინგლისის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ბანკი ვალდებულია თამასუქი გაუგზავნოს ბენეფიციარს, ვინაიდან მათ შორის ფორმდება ხელშეკრულება თამასუქის მიღების დადასტურების შესახებ. აღნიშნული კი საშუალებას აძლევს ბენეფიციარს სხვა ბანკებს შესთავაზოს თამასუქის თანხის ანაზღაურება ფასდაკლებით, განაღდების მომენტისთვის ფულის ღირებულებიდან გამომდინარე და არ ელოდოს თამასუქის განაღდებას სამომავლო თარიღით. აღნიშნული მოდელი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე რეგულირებად მსოფლიოში⁶⁸.

ამგვარი სახის აკრედიტივის დროს გამხსნელი ან საავიზო ბანკი იღებს თამასუქს სხვა დოკუმენტებთან ერთად და მათი შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ბენეფიციარს სამომავლო თარიღით. Sight credit-სგან განსხვავებით, თანხის გადახდა გადავადებულია სამომავლო თარიღამდე, რომელსაც თამასუქის დაფარვის ვადად მოიხსენებენ. აღნიშნული მოდელი ბენეფიციარისათვის ნაკლებად მომგებიანია, თუმცა აკრედიტივში თამასუქის დროს ბენეფიციარს უფლება აქვს არ დაელოდოს გადახდის დროს და ფასდაკლებით გაყიდოს იგი სხვა ბანკზე ან ფინანსურ დაწესებულებაზე⁶⁹.

Negotiation Credits-მოლაპარაკებადი აკრედიტივი: ასეთი ტიპის აკრედიტივი საშუალებას აძლევს ბანკს თავად აწარმოოს მოლაპარაკება ბენეფიციართან თანხის მოცულობასა და გადახდის ვადებზე⁷⁰.

მოლაპარაკებადი აკრედიტივის ფარგლებში ბენეფიციარი წარუდგენს დოკუმენტებს (draft) დასახელებულ ბანკს. ბანკი იძენს დოკუმენტებს ბენეფიციარისგან და უგზავნის გამხსნელ ბანკს.

⁶⁷ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 8.

⁶⁸ Charles Proctor, The Law and Practice of International Banking, USA, Oxford University Press, 2010, 448.

⁶⁹ Nelson Enonchong, The Independence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, oxford, UK, 2011, 19.

⁷⁰ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 2.

მოლაპარაკებადი აკრედიტივის დროს გამხსნელი ბანკი ყიდულობს დოკუმენტებს დასახელებული ბანკისგან, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის პირობებს. ამ პერიოდში აკრედიტივთან დაკავშირებით მოლაპარაკების წარმოება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. ასეთ დროს გამხსნელი ბანკი ვალდებულია მიიღოს დოკუმენტები და თუ ბენეფიციარი წარადგენს დოკუმენტებს დასახელებულ ბანკთან აკრედიტივის ვადის ამოწურვამდე, მაშინ გამხსნელი ბანკი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს თანხა.⁷¹ უნდა აღინიშნოს, რომ მისაღები და მოლაპარაკებადი აკრედიტივები თანამდროვე სავაჭრო პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.

Transferable Credit-გადაცემადი აკრედიტივი: სავაჭრო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება, როდესაც გამყიდველი წარმოადგენს ბენეფიციარს აკრედიტივის ურთიერთობებში, თავად არის დამაკავშირებელი და გასაყიდ საქონელს იღებს ერთი ან რამოდენიმე მომწოდებლისგან. მას აქვს უფლება საქონლის მიმწოდებელს გადასცეს აკრედიტივის თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ. UCP-ის ტერმინოლოგიით დამაკავშირებელს (ე.წ. შუარგოლს) ეწოდება პირველი ბენეფიციარი და იმ მომწოდებლებს ვისაც გადასცემს აკრედიტივს მეორე ბენეფიციარი. გადაცემადი აკრედიტივი, როგორც წესი იმავე პირობებით იქმნება რაც ძირითადი აკრედიტივი. ბენეფიციარისთვის აკრედიტივის დროს მნიშვნელოვანია, რომ მყიდველისათვის დაფარული იყოს მეორე ბენეფიციარის ვინაობა და გადასახდელი თანხების ვინაობა. ამით პირველი ბენეფიციარი იცავს თავის კომერციულ ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მყიდველმა პირდაპირ დაამყაროს კავშირი მეორე ბენეფიციართან და შუარგოლი გამოთიშონ ტრანზაქციიდან.

იმისათვის, რათა პირველ ბენეფიციარს გაუმარტივდეს აღნიშნული აკრედიტივის გამოყენება, UCP-ის 38 მუხლი ითვალისწინებს აკრედიტივის თანხის ნაწილ-ნაწილ მომწოდებლისათვის გადახდის

⁷¹ Chow Schoenbaum, International Business Transactions, Problems Cases and Materials, Aspen Publishers, New Yourk, USA, 2005, 254.

შესაძლებლობას. იქიდან გამომდინარე, რომ მეორე ბენეფიციარი უცნობია თანხის გადამრიცხავი ბანკისათვის, რათა დაცული იქნას ბანკის ინტერესები, გადაცემადი აკრედიტივის თანხების გადახდა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. გადაცემად აკრედიტივში უმნიშვნელოვანესია კონფიდენციალურობის დაცვა ბანკების მიერ, რათა დაცული იყოს შუარგოლი-პირველი ბენეფიციარის ფინანსური ინტერესი.

სასამართლო გადაწყვეტილებაში Jackson v Royal Bank of Scotland ნათლად არის ასახული კონფიდენციალურობის მნიშვნელობა. აღნიშნულ საქმეზე ბანკმა შეცდომით გაუგზავნა საბუთები აპლიკანტს და გამოაშკარავა პირველი ბენეფიციარის ფასნამატი. შედეგად აპლიკანტმა გადაწყვიტა ურთიერთობა პირდაპირ მეორე ბენეფიციართან დაემყარებინა, რათა უფრო დაბალ ფასად შეესყიდა საქონელი და პირველი ბენეფიციარი ამოეგდო ტრანზაქციიდან. პირველმა ბენეფიციარმა შეიტანა სარჩელი ბანკის წინააღმდეგ. სასამართლომ მარტივად დაადგინა კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტი. ბანკი საკუთარ პოზიციის იმით ამყარებდა, რომ პირველ ბენეფიციარისთვის არ მიუყენებია ზიანი ფასნამატი ინფორმაციის გაშიფვრით, ვინაიდან ფასნამატი აპლიკანტისათვის სამომავლოდ მაინც გახდებოდა ცნობილი. მოსამართლე Potter L. J- მ განმარტა შემდეგნაირად: „ბანკის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება გამომდინარეობს იმ საჭიროებიდან, რომ ბანკმა დაიცვას თავის კლიენტი მისი მომგებიანობის ინფორმაციის გავრცელებისგან და იმ საფრთხისგან, რომ მისი გამჟღავნება გამოიწვევს მყიდველის პირდაპირ სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას ბენეფიციართან. უფლება პირველი ბენეფიციარის, რომ გადაცემად აკრედიტივის დროს, შეცვალოს ინვოისის ფასი და ახალი ინვოისი წარუდგინოს ბანკს აპლიკანტისთვის გადაცემადი აკრედიტივის მნიშვნელოვანი ნაწილია. კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე,

პირველ ბენეფიციარს უფლება აქვს დაფაროს მისი მომგებიანობის ინფორმაცია⁷².

აღნიშნული აკრედიტივის ფორმა მეტად მნიშვნელოვანი და პრაქტიკული გამოყენებისაა თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობებში და აქედან გამომდინარე ბანკებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყოველი პროცედურის ზედმიწევნით დაცვა. თავის მხრივ აკრედიტივის ეს ფორმა საკმაოდ მომგებიანია ბენეფიციარისთვისაც, ვინაიდან ბენეფიციარი თანამედროვე ვაჭრობაში ხშირად ატარებს ე.წ ტრეიდერის ფუნქციას და ხშირ შემთხვევებში თავად არ წარმოგვიდგება იმ საქონლის მწარმოებელი, რომელსაც თავად ყიდის ბაზარზე.

განასხვავებენ გადაცემადი აკრედიტივის სამ მნიშვნელოვან ფუნქციას: 1. უზრუნველყოს დაცული გადახდის მექანიზმი არა მხოლოდ გამყიდველისთვის არამედ პირველი ბენეფიციარისთვისაც; 2. მისცეს საშუალება პირველ ბენეფიციარს დაფაროს რეალური გამყიდველის ვინაობა აპლიკანტთან; 3. პირველმა ბენეფიციარმა აპლიკანტისაგან დაფაროს ტრანზაქციის შედეგად მიღებული მოგება.

აღნიშნული საქმიდან ნათლად ჩანს, რომ პირველი ბენეფიციარის მიერ ინფორმაციის გამჟღავნებამ აიძულა აპლიკანტი პირდაპირი კავშირი დაემყარებინა მეორე ბენეფიციართან. ის ფაქტი რომ აპლიკანტმა იცოდა მეორე ბენეფიციარის ვინაობა, არ ამსუბუქებს ბანკის ვალდებულებას შუარგოლის ფასნამატის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

როდესაც აკრედიტივი ბენეფიციარის სასარგებლოდ გაიცემა, აკრედიტივის სახით მას აქვს ხელშესახები აქტივი, რომლის საფუძველზეც შეუძლია სესხის აღება. გამსესხებლებმა იციან, რომ თუ გამყიდველი დააკმაყოფილებს აკრედიტივის პირობებს, ბანკი ვალდებულია გადაუხადოს მას თანხა. გამსესხებლისათვის აკრედიტივი ფასიანი აქტივია, რომელსაც შეუძლია სესხის უზრუნველყოფა და თუ გამყიდველს დასჭირდება სესხი მომწოდებლებისთვის თანხის გადასახდელად,

⁷² Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, 46.

გამსესხებლები წინასწარ გადაუხდიან თანხას ბენეფიციარს და სანაცვლოდ მიიღებენ უფლებას აკრედიტივის თანხის მიღებაზე.⁷³

Back to Back Credits: ბენეფიციარისთვის გადაცემადი აკრედიტივის ალტერნატივა არის ის, რომ მის სასარგებლოდ გახსნილი აკრედიტივის გამოყენებით დაავალოს თავის ბანკს მიმწოდებლისთვის გახსნას ახალი აკრედიტივი. ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ორი აკრედიტივი. ახალი და ორიგინალი აკრედიტივის პირობები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი მომწოდებლისგან მიღებული საბუთები შეესაბამებოდეს ორიგინალი აკრედიტივის პირობებს. ბენეფიციარი ახალი აკრედიტივის პირობების წარდგენით ღებულებს თანხას. გადაცემადი აკრედიტივის დროს ბანკი ორიგინალი აკრედიტივის ფარგლებში მოქმედებს, თუმცა ახალი აკრედიტივის გამხსნელი ბანკი არ მოქმედებს ორიგინალი აკრედიტივის ფარგლებში და მოქმედებს დამოუკიდებლად ახალი გახსნილი აკრედიტივის მანდატით. ახალი გახსნილი აკრედიტივი დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა გამხსნელ ბანკსა და ბენეფიციარს შორის, რომელიც ამ შემთხვევაში გამოდის როგორც აპლიკანტი, ხოლო მისი მომწოდებელი ბენეფიციარი. ძირითად შემთხვევებში მსგავსი ტიპის აკრედიტივი გამოიყენება მაშინ, როდესაც მხარეთა ადგილსამყოფელ ქვეყნებს შორის აკრძალულია ვაჭრობის განხორციელება.⁷⁴

Revolving Credits - განახლებადი აკრედიტივი: ზოგიერთ სავაჭრო გარიგებაში, დროის გარკვეულ მონაკვეთში აკრედიტივით შესაძლოა დასაფინანსებელი გახდეს რამდენიმე გადაზიდვა. შესაბამისად საჭიროა ყოველ მოწოდებულ ჯერზე მოხდეს მოწოდებული საქონლის ღირებულების გადახდა, რაც იწვევს ნაწილ-ნაწილ გადახდებს.

⁷³ Walter Baker and John F.Dolan, User's Handbook for Documentary Credit, under UCP600, ICC publication, Paris, France, 2008, 81.

⁷⁴ Nelson Enonchong, The Independence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, oxford, UK, 2011, 21.

განახლებადი აკრედიტივით განსაზღვრულია ის ჯამური თანხა, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს ყველა მოწოდებულ რაოდენობაზე.⁷⁵

Red Clause Credits - აკრედიტივი წითელი დათქმით: მხარეთა შეთანხმებით სავაჭრო ურთიერთობებში აკრედიტივი წითელი დათქმით (წითელი შესწორებით) გამოიყენება თანხის ავანსის სახით გადასახდელად. მისი ბუნებიდან გამომდინარე აღნიშნული ტიპის აკრედიტივს საავანსო აკრედიტივადაც მოიხსენიებენ. ტერმინი წითელი აკრედიტივი მომდინარეობს ძველი ისტორიული დროიდან, როდესაც მომსახურე ბანკს ავანსის გაცემაზე წარედგინებოდა წერილი აუცილებლად წითელი მელნით დაწერილი.⁷⁶ აღნიშნული ტიპის აკრედიტივი წარმოიშვა ავსტრალიას, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკას შორის ბეწვით ვაჭრობის დროს.⁷⁷ წითელი დათქმით აკრედიტივის დროს ბანკი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს თანხა, სანამ საქონელი დაიტვირთება გადაზიდვისთვის, იმ პირობით, რომ დოკუმენტებს ბენეფიციარი წარმოადგენს დატვირთვის შემდეგ. ეს საშუალებას აძლევს გამყიდველს, რომელსაც ესაჭიროება თანხა გადაუხადოს თავის მომწოდებლებს, ნედლეულის შესაძენად და სხვა ოპერაციების შესასრულებლად. ამიტომაც ესაჭიროება გასაყიდი საქონლის თანხის ავანსად მიღება. აკრედიტივი, როგორც წესი მაინც ითვალისწინებს გარკვეული დოკუმენტების წინასწარ წარდგენას, მაგალითად როგორცაა საწყობში საქონლის განთავსების საბუთი. თუ ბანკი გადაუხდის გამყიდველს თანხას, მას თანხა უნდა აუნაზღაუროს მყიდველმა მიუხედავად იმისა გამყიდველი გაუგზავნის თუ არა საქონელს. ამიტომაც ასეთი ტიპის აკრედიტივი რისკის შემცველია მყიდველისათვის. ამ ტიპის აკრედიტივი მოითხოვს გარკვეული ნდობის არსებობას მყიდველსა და გამყიდველს შორის, შესაბამისად თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში,

⁷⁵ Nelson Enonchong, *The Indipendence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees*, Oxford University Press, oxford, UK, 2011, 20.

⁷⁶ Тавасиев А. Эриашвили Н. Банковское дело. М. издательство юнити .2004 г. стр. 425

⁷⁷ Ali Malek QC, David Quest, Jack: *Documentary Credits*, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 34.

როდესაც გამყიდველი და მყიდველი იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყნებში და რიგ შემთხვევებში საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს, რა თქმა უნდა ნდობის ხარისხი მეტად დაბალია.

Standby Letter of Credit: დოკუმენტური აკრედიტივი თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობაში წარმოგვიდგება, როგორც ყველაზე უსაფრთხო გადახდის ფორმად, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ მეტად მოქნილი საბანკო პროდუქტის მოხმარება მხარეებისთვის დამატებითი ხარჯების გაღების აუცილებლობას იწვევს, მით უფრო, როდესაც ტრანზაქციაში რამოდენიმე ბანკია ჩართული, აღნიშნული კი როგორც წესი აძვირებს ბიზნეს ოპერაციებს.⁷⁸ თუმცა როდესაც გამყიდველსა და მყიდველს შორის ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდება ნდობა, მხარეები გადადიან აკრედიტივის უფრო მარტივ გამოყენებით ფორმებზე, მაგ: ღია ანგარიში, როდესაც მყიდველი პირდაპირი საბანკო გადარიცხვის გზით ურიცხავს გამყიდველს თანხებს პერიოდულად მიწოდებული საქონლის პარტიების შესაბამისად. გამყიდველი შესაძლოა დათანხმდეს აღნიშნულ ფორმატს, თუმცა მაინც მოითხოვს გარკვეულ დაზღვევის მექანიზმებს, იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი არ გადაუხდის თანხებს. სწორედ ამიტომ პრაქტიკაში ხშირია SLC-ი სერვისის გამოყენება. SLC-ი არის პროდუქტი ტრადიციული კომერციული/დოკუმენტური აკრედიტივის ფორმით, მაგრამ ფუნქციით გავს მოთხოვნამდე საბანკო გარანტიას.⁷⁹ SLC მოქმედებს იგივე სამართლებრივ ჩარჩოში, როგორც დოკუმენტური აკრედიტივი.⁸⁰

ტრადიციული დოკუმენტური აკრედიტივისგან განსხვავებით, რომლის მეშვეობითაც მყიდველი უხდის გამყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულებას, SLC ძირითადად გამოიყენება მხარეების მიერ

⁷⁸ Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 311.

⁷⁹ Nelson Enonchong, The Independence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, oxford, UK, 2011, 22.

⁸⁰ Xiang Gao, The Fraud Rule in the Law of Letter of Credit, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002, 5.

თავიანთი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მხარის მიერ დარღვეული იქნება მათზე დაკისრებული ვალდებულება.⁸¹ ეს ის შემთხვევაა გამყიდველი არ მიაწვდის მყიდველს შეთანხმებულ საქონელს, ან მყიდველი არ გადაუხდის გამყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულებას.

მყიდველი მიმართავს გამხსნელ ბანკს, რათა გამყიდველის სასარგებლოდ გახსნას SLC- ი იმ მოცულობის თანხაზე, რა მოცულობის ვაჭრობაც დაგეგმილი აქვთ მხარეებს კონკრეტული დროის პერიოდში. SLC - ის დროს მთავარი წარსადგენი დოკუმენტი არის ე.წ „ბენეფიციარის სერთიფიკატი“ რომელიც ადასტურებს, რომ არ მიუღია მიწოდებული საქონლის ღირებულება გამყიდველისგან ან გამყიდველმა დაარღვია მასზე დაკისრებული ვალდებულება (მაგ. სამშენებლო ურთიერთობებში). მყიდველმა შესაძლოა მოსთხოვოს გამყიდველს სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენა მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის დასამტკიცებლად. აღნიშნული საბუთის წარდგენისას ბანკი ურიცხავს თანხას ბენეფიციარს.

მიუხედავად SLC - ის დოკუმენტურ აკრედიტივთან მსგავსებისა, SLC - ი ძირეულად განსხვავდება კომერციული აკრედიტივისგან. მაშინ როდესაც დოკუმენტური აკრედიტივის არსია ბანკმა გადაუხადოს ბენეფიციარს თანხა ტვირთის გადამზიდვისთვის გადაცემის და ბანკში შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდგომ, ანუ კონკრეტული ვალდებულების შესრულების შემდგომ მყიდველის სასარგებლოდ, SLC – ის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკმა გადაუხადოს ბენეფიციარს თანხა არა თავისი ვალდებულების შესრულების გამო, არამედ ერთ-ერთი მხარის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად SLC –ი წარმოგვიდგება, როგორც ერთგვარი შესრულების საბანკო გარანტია.

⁸¹ Chow Schoenbaum, International Business Transactions, Problems Cases and Materials, Aspen Publishers, New Yourk, USA, 2005, 303.

SLC-ი ტიპიური საბანკო გარანტიისგანაც თვისობრივად განსხვავდება, ვინაიდან იგი წარმოგვიდგება როგორც პირდაპირი ვალდებულება გადახდის „სპეციალური“ დოკუმენტების წარდგენის შემდგომ, რომელიც ადასტურებს ვალდებულების დარღვევას, ხოლო საბანკო გარანტია არის მეორადი ვალდებულება, რომელიც მოითხოვს ვალდებულების დარღვევის დადასტურებას.⁸²

SLC - ი არის გარკვეულწილად ჰიბრიდი კომერციულ აკრედიტივსა და საბანკო გარანტიას შორის. SLC-ის წარმოშობის ფესვები ამერიკულია, სადაც ადგილობრივ ბანკებს შიდა რეგულაციიდან გამომდინარე ეკრძალებათ გარანტიების გაცემა. შესაბამისად აღნიშნული პროდუქტი შეიქმნა იმისთვის, რომ ბანკებს შესაძლებლობა მისცემოდათ მათი კლიენტებისთვის დაეზღვიათ მესამე პირების მიერ შესასრულებელი ვალდებულებები. SLC - იმ ფართო გავრცელება პოვა ამერიკის ფარგლებს გარეთაც, რომლებიც საქმიანობდნენ ამერიკული ბანკების ფილიალებთან ამერიკის გარეთ სხვადასხვა ქვეყნებში.⁸³

როგორც დოკუმენტურ აკრედიტივზე ასევე SLC-ზეც მოქმედებს დამოუკიდებლობის ვალდებულება და იგი დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობაა მყიდველს და გამყიდველს შორის დადებულ გარიგებასთან მიმართებით. გარკვეულწილად SLC-ი ბევრ კომპონენტში წააგავს საბანკო გარანტიას, როდესაც ბანკის მიერ თანხის გადახდა განხორციელდება მყიდველზე მას შემდეგ რაც ის წარმოადგენს მტკიცებულებას ბენეფიციარის მხრიდან ვალდებულების დარღვევაზე.

მთავარი განსხვავება SLC-სა და კომერციულ კრედიტს შორის არის ის, რომ ბანკი ვერ ღებულობს საკუთრების უფლების დოკუმენტს, როგორც თავდაცვის მექანიზმს ბანკისთვის, შესაბამისად არ ფლობს არანაირ უზრუნველყოფას და მფლობელობას საქონელზე, შესაბამისად ბანკი გამოდის მყიდველის დაუცველი კრედიტორი, თუ მყიდველი არ

⁸² Mary Beth Matthews, Steve H. Nickles, Payments Law in a Nutshell, St. Paul, USA, 2015, 329

⁸³ Charles Proctor, The Law and Practice of International Banking, second edition, oxford university press, Oxford, UK, 2015, 505.

განათავსებს თანხებს წინასწარ ბანკში ან არ წარადგენს სხვა სახის უზრუნველყოფას.⁸⁴

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამერიკული SLC-ი არის განსხვავებული ევროპული ტიპის დამოუკიდებელი გარანტიისგან,⁸⁵ თუმცა ვფიქრობ, რომ მცდარი შეხედულებაა, ვინაიდან ორივე შემთხვევაში იქმნება ერთი მნიშვნელოვანი დაცვის მექანიზმი, რაც რომელიმე მხარის მიერ თავისი ვალდებულების დარღვევის შემდგომ SLC - ის ამოქმედების ფუნქციას გულისხმობს, განსხვავებით დოკუმენტური აკრედიტივისგან. შესაბამისად ამერიკულიც და ევროპული წარმოადგენენ კონცეფტუალურადაც და სამართლებრივათაც მსგავს მექანიზმს.

SLC-ის დროს არსებობს სამი დამოუკიდებელი სახელშეკრულებო ურთიერთობა, კერძოდ მთავარი გარიგება დადებული მხარეებს შორის, ზარალის ანაზღაურების ხელშეკრულება დადებული გამყიდველსა და გამხსენლ ბანკს შორის და თავად აკრედიტივი გამყიდველსა და მყიდველს შორის.

UCP-ი არეგულირებს, როგორც დოკუმენტურ აკრედიტივს, ასევე SLC-საც. თუმცა როდესაც განვაზოგადებთ ამ დოკუმენტს, აღმოვაჩინოთ, რომ UCP-ი არაფერს ამბობს SLC-ზე, რადგან ყველა მისი დებულება მიუთითებს დოკუმენტების შესაბამისობის დადგენიდან თანხის გადახდაზე და არაფერს ამბობს ვალდებულების დარღვევის შემდგომ თანხის გადახდაზე.⁸⁶ URDG-ი უფრო მეტად ეხება და არეგულირებს SLC - ის საკითხებს, თუმცა SLC-ის პროცედურების დოკუმენტურ აკრედიტივთან ბევრმა მსგავსებამ განაპირობა ისეთი რეგულაციების შემოღების საჭიროება, რომელიც გამოიყენებდა UCP-ის რეგულაციებს SLC - თან დაკავშირებით. სწორედ ამისთვის შეიქმნა (International Standby

⁸⁴ Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, 51.

⁸⁵ Matti S. Kurkela, Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law, Oxford University Press, New York, USA, 2008, 38.

⁸⁶ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 346.

Practices (ISP98), published by the Institute of International Banking Law & Practice in 1998), რათა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზები.

როგორც UCP - ი და URDG-ი, ISP98-იც ანალოგიურად იზიარებს აკრედიტივთან დაკავშირებულ ისეთ ფუნდამენტურ დებულებებს, როგორცაა მისი დოკუმენტური ხასიათი, დამოუკიდებლობა და გამოუხმობადობა. James E Burne, რომელმაც პირველად გააკეთა ოფიციალური კომენტარი ISP98-ისთან დაკავშირებით ამბობს, „რომ აღნიშნული წესები არ განმარტავს SLC - ს, ვინაიდან ზუსტი განსხვავება არ არსებობს კომერციულ აკრედიტივსა და SLC -ს შორის. SLC - ი არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არ არის კომერციული აკრედიტივი. ამ დოკუმენტში standby letter of credit-ს და standby's სხვადასხვა მნიშვნელობები გააჩნიათ. SLC-ი არის აკრედიტივის ისეთი ფორმა, რომელიც სავაჭრო პრაქტიკაში მიღებულია, როგორც დოკუმენტური აკრედიტივი, მაგრამ standby უკვე გაიგივებულია მოთხოვნამდე გარანტიასთან“⁸⁷.

უნციტრალის პროექტი გაეროს კონვენცია, მიზნად ისახავს ჰარმონიზაცია მოახდინოს საერთაშორისო SLC-სთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართალსა და დამოუკიდებელ გარანტიებს შორის. კონვენცია ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით. აკრედიტივის ურთიერთობების სრულად დაფარვისათვის, აუცილებელია მხარეთა ადგილსამყოფელი ქვეყნები იყვნენ აღნიშნული კონვენციის წევრნი. UCP-ი ძალაში შედის მხარეთა მიერ მის მარეგულირებელ დოკუმენტად მითითების შემდეგ. ამის საპირისპიროდ კონვენცია ძალაშია სახელმწიფოთა მიერ რატიფიკაციის შემდეგ. კონვენცია UCP-ისთან შედარებით უპირატესი სამართლებრივი ინსტრუმენტია, ვინაიდან მოიცავს იმ მარეგულირებელ ნორმებს, რომელიც ვერ ჩაიწერება UCP-ში.

⁸⁷ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 347.

SLC-ის დროს ამერიკელი ექსპორტიორი მიმართავს პირდაპირ იმპორტიორის ბანკს მის ადგილსამყოფელ ქვეყნაში, რათა გასცეს გარანტია მის სასარგებლოდ. უცხოური ბანკი, როგორც წესი მზადაა აღნიშნული თხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ ამერიკული ბანკი აიღებს გამხსნელი ბანკის წინაშე ვალდებულებას თანხის ანაზღაურებაზე. ამ აღებულ ვალდებულებას ეწოდება SLC. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ უცხოური ბანკი ბენეფიციარისთვის თანხის გადახდის შემთხვევაში, რეგრესის წესით დაუყოვნებლივ აინაზღაურებს თანხას ამერიკული ბანკისგან, ხოლო ბანკი კი გადახდილ თანხას მიიღებს გამყიდველისგან-ექსპორტიორისგან. ამ შემთხვევაში SLC - ი მოქმედებს, როგორც კონტრ გარანტია. ტერმინი SLC-ი გამოიყენება ორი განსხვავებული მნიშვნელობით: ამერიკული ტერმინოლოგიით არის დამოუკიდებელი გარანტიის ხელშეკრულება ბანკსა და ბენეფიციარს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული შეუთავსებლობა ამერიკული კონცეფციის გარანტიასთან, რომელიც არის აქსესორული ხასიათის დაცვის მექანიზმია. ასევე ტერმინი SLC-ი გამოიყენება სპეციალური სახის გარანტიის დროს, კერძოდ გადახდის გარანტია, რომელიც დოკუმენტური აკრედიტივია.⁸⁸

Payment Guarantees vs Standby Letters of Credit: გარანტია ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას გადახდის ვალდებულების დაცვისთვის დაკავშირებული სავაჭრო ხელშეკრულებასთან, ლიზინგის ხელშეკრულებასთან, სამშენებლო ხელშეკრულებასთან, სესხის ხელშეკრულებასთან და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ასეთ გარანტიებს გადახდის გარანტიები ეწოდებათ, მაგრამ ამასთანავე SLC-იც ფართოდ არის გავრცელებული ამერიკის საბანკო პრაქტიკაში. ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა მოთხოვნამ გადახდის გარანტიებზე და SLC-ზე, რათა უზრუნველყონ სავაჭრო ტრანზაქციები, ტრადიციული დოკუმენტური აკრედიტივის ნაცვლად. განსხვავება არის, ის რომ ტრადიციული კომერციული აკრედიტივის

⁸⁸ Roeland Bertrams, *Bank Guarantees in International Trade*, third revised edition, Kluwer Law International, Hague, Netherlands, 2004, 19.

დროს გამოყენება და გადახდა ხდება მოცემული ვალდებულების შესრულებისთანავე, რომელ პროცესშიც ჩართულია ყველა მონაწილე მხარე. ამის საპირისპიროდ გადახდის გარანტიის ბენეფიციარი უპირველესად გადახდის ვალდებულების შესრულებას ჯერ მყიდველისგან-აპლიკანტისგან ელოდება. SLC-ის გაცემის შემთხვევაშიც, როგორც წესი მიეთითება UCP - ი მარეგულირებელ ნორმად, თუმცა URDG-ი და ISP98-ი მითითებაც თანაბრად შეიძლება.

ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი გადახდის გარანტიების/SLC-ის მოხმარების ზრდის არის ის, რომ სავაჭრო ტრანზაქციის დროს მომსახურების საფასური არის ნაკლები ვიდრე სტანდარტული დოკუმენტური აკრედიტივის დროს. ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობებში, გამყიდველისთვის საკმარისია ქონდეს ერთი SLC - ი, რომლითაც დაზღვეული იქნება მყიდველის არ გადახდის პირობა, მაშინ როდესაც ტრადიციული აკრედიტივის შემთხვევაში უნდა გაიცეს ყოველი გადაზიდვის დროს. SLC-ის შემთხვევაში ბანკი ბევრად ნაკლებ რესურს ხარჯავს ვიდრე დოკუმენტური აკრედიტივის დროს, ვინაიდან შესამოწმებელი დოკუმენტები ბევრად მოცულობითი ხასიათისაა. SLC-ის შემთხვევაში მყიდველისათვის რისკი უფრო მაღალია ვიდრე დოკუმენტური აკრედიტივის დროს, ვინაიდან დოკუმენტთა ნუსხა უფრო ნაკლები და მწირია.

Independent Guarantees v Documentary Credits: დამოუკიდებელ გარანტიებს და დოკუმენტურ აკრედიტივს აქვთ ბევრი საერთო ნიშანთვისება მაგ.: მათი კომერციული შინაარსი, საერთაშორისო ფუნქცია და სტრუქტურა, წარმოშობის სამართლებრივი ბუნება, დამოუკიდებლობის პრინციპი, ბენეფიციარის მიერ თანხის მოთხოვნამდე დაკმაყოფილების მექანიზმი, ფორმალური ბუნება ბანკების მიერ დოკუმენტების შემოწმების დროს და ა.შ. მათი მრავალი საერთო

ნიშნთვისების გამო, დამოუკიდებელი გარანტიები და SLC-ი ძირითადად ამერიკული და ინგლისური სამართლით რეგულირდებიან.⁸⁹

თუმცა საკითხები, რომლებიც წარმოიშვება გარანტიის კონტექსტში არის სრულიად განსხვავებული დოკუმენტურ აკრედიტივის წესებთან შედარებით. დოკუმენტური აკრედიტივი არის საქონლის თანხის ანგარიშსწორების სახეობა და მისი გადახდა ხდება აკრედიტივით შეთანხმებული პირობების შესრულებისთანავე, მაშინ როდესაც გარანტია წარმოადგენს მეორად დაცვის მექანიზმს და მიზნად ისახავს კომპენსაციის გადახდას იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალის მიერ მოხდება ვალდებულების დარღვევა. დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში, თანხის გადახდა მყიდველის ინტერესებსაც ემსახურება, ვინაიდან სანაცვლოდ მიიღებს იმ საქონელს რისი მიღებაც სურდა სავაჭრო გარიგების საფუძველზე. ამ ორ ინსტიტუტს შორის, განსხვავება ბანკში წარსადგენ დოკუმენტის ბუნებაშიც მდგომარეობს. დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში ბენეფიციარის მიერ წარდგენილ სავაჭრო დოკუმენტებს გააჩნიათ ნამდვილი კომერციული ღირებულება, მაშინ როდესაც გარანტიის დროს წარდგენილ დოკუმენტებს მხარის ვალდებულების შეუსრულებლობის შემდგომ არ გააჩნიათ არანაირი კომერციული ფასი და წარმოადგენენ მხოლოდ დარღვეული ვალდებულების დამადასტურებელ ინფორმაციას. დოკუმენტური აკრედიტივის დროს დოკუმენტები ასევე წარმოადგენენ ერთგვარ ბანკისთვის დამცავ მექანიზმს, ვინაიდან მათი ფლობა ნიშნავს საქონლის განკარგვის უფლებასაც, მაშინ როდესაც ეს არ მოქმედებს გარანტიის დროს და ამ შემთხვევაში ბანკები უფრო დიდი რისკის ქვეშ დგანან.⁹⁰

მოცემულ ქვეთავში განხილულია დოკუმენტური აკრედიტივის პრაქტიკაში ყველა არსებული სახე, რომელიც გამოიყენებოდა ადრეულ პერიოდში, თუ გამოიყენება თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაშიც.

⁸⁹ UCC-ის მე-5 მუხლი ფარავს, როგორც დოკუმენტურ აკრედიტივს ასევე SLC.

⁹⁰ Roeland Bertrams, *Bank Guarantees in International Trade*, third revised edition, Kluwer Law International, Hague, Netherlands, 2004, 69.

თითოეული მათგანი ხასიათდება განსხვავებული ფუნქციებით, შესაბამისად აკრედიტივის პირობების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია სწორად იქნას შერჩეული აკრედიტივის სახე. მხარეებს შორის დადებული კონკრეტული სავაჭრო გარიგების სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეები ათანხმებენ აკრედიტივის ყველა პირობას, მათ შორის მის სახესაც, რომელიც შესაძლოა იყოს ერთდროულად რამოდენიმე ტიპის. ასე მაგალითად, თანამედროვე სავაჭრო ეპოქაში, აკრედიტივთა უმრავლესობა დადასტურებული და გამოუხმობადი სახისაა, მაგრამ ამასთან შეიძლება იყოს გადაცემადი ან განახლებადი სახისაც.

საერთაშორისო აკრედიტივის სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია აკრედიტივის სახეებს, ვინაიდან მისგან გამომდინარეობს ბანკების და სხვა მხარეების უფლება მოვალეობები. აკრედიტივის პროცესის შეუფერხებლად და დროულად დასრულებისთვის, აუცილებელია მხარეებმა სწორად შეარჩიონ აკრედიტივის სახე, რათა მაქსიმალურად დაიზღვიონ თავი ტრანზაქციის შესაძლო რისკებიდან.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სახეთა მიმოხილვა ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მრავალფეროვანნი არიან ისინი პრაქტიკაში. მათი შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული სამართლისთვის. აუცილებელია მოხდეს დოკუმენტური აკრედიტივის თითოეული სახეობის ღრმა გაანალიზება და დაისახოს გზები მათი ქართულ სამართალში დამკვიდრებისა. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართული საბანკო პრაქტიკა უკვე იცნობს რამდენიმე სახის აკრედიტივს და ცდილობს მათი მომხმარებლისათვის შეთავაზებას. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რისკების დივერსიფიცირების ნაკლებობის გამო, კომერციული ბანკები ხშირად მაღალ საკომისიოს ითხოვენ ამა თუ იმ აკრედიტივის სახეობის გამოყენებისას, რაც აფერხებს არამარტო არსებული აკრედიტივის სახეობათა გამოყენებას, ასევე ახალი აკრედიტივის სახეების რეცეფიცირებას და მის შემდგომ განვითარებასაც.

თავი II. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ფუნდამენტური პრინციპები

1. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის დოკუმენტური ბუნება:

დოკუმენტური აკრედიტივის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა მისი დოკუმენტური ხასიათი, რაც გულისხმობს, რომ აკრედიტივის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა მხარე დაკავშირებულია დოკუმენტების მოძრაობასთან და არა თავად საქონელთან რაზეც დადებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის ძირითადი გარიგება, სადაც აუცილებლად განსაზღვრული უნდა იყოს ანგარიშსწორების ფორმად აკრედიტივის გამოყენება.

აღნიშნული პრინციპი უფლებას ართმევს მყიდველს წაუყენოს გამხსნელ ბანკს რაიმე სახის პრეტენზია იმ გამყიდველთან დადებული ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რის საფუძველზეც წარმოიშვა აკრედიტივი. აპლიკანტი თავისთავად ვალდებულია უზრუნველყოს გამხსნელი ბანკისთვის თანხის ანაზღაურება. შესაბამისად აკრედიტივის პირობებში ზუსტად და დეტალურად უნდა იყოს გაწერილი იმ დოკუმენტთა ჩამონათვალი, რომელიც თანხის მისაღებად ბენეფიციარმა უნდა წარუდგინოს ბანკს. თავად გამხსნელი ბანკიც მოქმედებს მხოლოდ აკრედიტივის მანდატის ფარგლებში და თანხას უხდის ბენეფიციარს იმ დოკუმენტების წარმოდგენის სანაცვლოდ, რომლებიც განუხრელად შეესაბამებიან აკრედიტივის პირობებს. მხოლოდ ამ წესის შესრულების და დაცვის შემდგომ აქვს უფლება გამხსნელ ბანკს მოსთხოვოს აპლიკანტს თანხის ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი (თაღლითობის ფაქტების გამოკლებით), რომ საერთაშორისო პრაქტიკაში აკრედიტივთან დაკავშირებული დავების

უმრავლესობა დაკავშირებულია წარდგენილი დოკუმენტების გარემოებებთან.⁹¹

გამხსნელი ბანკი უგზავნის შეტყობინებას გამყიდველის ქვეყანაში განთავსებულ საავიზო ბანკს, რათა მან მის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნის თაობაზე შეატყობინოს ბენეფიციარს. საავიზო ბანკი შესაძლებელია იყოს გამხსნელი ბანკი წარმოდგენილი სხვა ქვეყანაში, ან გამხსნელი ბანკის საკორესპოდენტო ბანკი. თუ გამხსნელ ბანკს ბენეფიციარის ქვეყანაში არ ყავს საკორესპოდენტო ბანკი, მაშინ გამხსნელი და საავიზო ბანკები ურთიერთობას ამყარებენ სხვა შუამავალი ბანკების მეშვეობით.

ადრეულ პერიოდში შეტყობინების გაგზავნა ბენეფიციარისთვის წერილის მეშვეობით ხდებოდა, ამიტომაც ეწოდებოდა აკრედიტივს „Letter of Credit“. ახლანდელ ეპოქაში გამხსნელი ბანკი საავიზო ბანკს შეტყობინებას უგზავნის ელექტრონულად დაცული საერთაშორისო ინტერნეტბანკინგის სამესიჯო სისტემით, რომლის ოპერირებასაც ახორციელებს (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication SWIFT). თუ გადარიცხვები აშშ დოლარშია, მაშინ გამოყენებული იქნება CHIPS in New York (Clearing House for Interbank Payment Systems), რომელსაც ფლობს მსხვილი საერთაშორისო ბანკები. ამ ორგანიზაციის სათაო ოფისი ნიუ-იორკშია განთავსებული. პატარა ბანკებს შეუძლიათ მიუერთდნენ აღნიშნულ სისტემას და ქონდეთ თავიანთი ანგარიში გადარიცხვების საწარმოებლად.⁹²

შეტყობინების მიღების შემდგომ საავიზო ბანკი აცნობებს ბენეფიციარს მის სასარგებლოდ აკრედიტივს გახსნის თაობაზე და თუ რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს ბენეფიციარმა აკრედიტივით გათვალისწინებული თანხის მისაღებად.

⁹¹ Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, USA, Oxford University Press, 2010, 452.

⁹² Martin Davies, David V.Snyder, *International Transaction in Goods*, USA, Oxford University Press, 2014, 4.

ზოგიერთი ბანკი არ არის SWIFT-ის წევრი. იმისათვის რათა წვდომა ქონდეთ ბანკებს საერთაშორისო გადარიცხვის სისტემებთან, პატარა ბანკები ხსნიან ანგარიშებს დიდ ბანკებში და ახდენენ უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორებას. პატარა ბანკების ამგვარი სახით მომსახურე ბანკებს ეწოდება „clearing banks“. იმისათვის, რომ გამყიდველმა მიიღოს უცხოურ ვალუტაში გადახდა, მას უნდა ქონდეს გახსნილი ანგარიში ბანკში, რომელსაც თავის მხრივ ექნება ანგარიში უცხოურ ვალუტაში „clearing banks“-ში, როგორც წესი ასეთი ბანკის ადგილსამყოფელი იქნება ის ქვეყანა სადაც ანგარიშსწორების ვალუტა არის ეროვნული ფული. მყიდველის ბანკმა და გამყიდველის ბანკმა, შესაძლოა გამოიყენოს ერთი და იგივე „clearing banks“ ბანკი, თუ არა მაშინ ორი „clearing banks“ ბანკი გამოიყენებს ლოკალურ გადახდის სისტემას (როგორც წესი მართული ამ ქვეყნის ეროვნული ბანკის მიერ), რათა მიიღონ ლოკალური ვალუტის გადახდა მყიდველის „clearing banks“-იდან გამყიდველის „clearing banks“-ში. საერთაშორისო ვაჭრობაში ბანკების გრძელი ჯაჭვია ჩართული. ჯაჭვის ბოლოს, გამყიდველის ბანკი შეატყობინებს ბენეფიციარს, რომ მიიღო უცხოურ ვალუტაში ჩარიცხვა.⁹³

იმისათვის, რათა ბანკები SWIFT-ის მეშვეობით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, განახორციელონ გადარიცხვები ან უზღავნონ შეტყობინებები, პირველ რიგში ორმა ბანკმა უნდა გააფორმოს ერთმანეთში საკორესპოდენტო გაცვლის ხელშეკრულება და SWIFT-ის ელექტრონული ავტორიზაციის გასაღები, რომელსაც ეწოდება „authenticator keys“. როდესაც გამყიდველის ლოკალური ბანკი მიიღებს SWIFT-ის შეტყობინებას, სადაც მითითებულია, რომ საზღვარგარეთის საკორესპოდენტო ბანკმა გახსნა აკრედიტივი, მიმღები ბანკი გამოიყენებს თავის ავტორიზაციის გასაღებს ელექტრონული ხელმოწერის დასადასტურებლად და შეტყობინების დასადასტურებლად. ბანკები ენდობიან მსგავსი ტიპის შეტყობინებას.

⁹³ Walter Baker and John F. Dolan, User's Handbook for Documentary Credit, under UCP600, ICC publication, Paris, France, 2008, 26.

აღნიშნული შეტყობინება მოიცავს ყველა დეტალს აკრედიტივის თაობაზე და უკვე დასახელებული/საავიზო ბანკი ადგენს აკრედიტივის წერილს და ატყობინებს ბენეფიციარს მის სასარგებლოდ აკრედიტივს გახსნის თაობაზე. UCP-ი ავალდებულებს ბენეფიციარის ბანკს დაადასტუროს აკრედიტივის აუთენტურობა და მისი შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. სწორედ SWIFT-ის ქსელი უადვილებს ბანკს შეასრულოს აღნიშნული ვალდებულება⁹⁴.

UCP-ი დეტალურად ადგენს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც ბენეფიციარმა უნდა წარუდგინოს ბანკს, რომელმაც უნდა შეამოწმოს აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობა და სიზუსტე მხარეებს შორის აკრედიტივით შეთანხმებული დოკუმენტების ჩამონათვალთან.

სატრანსპორტო დოკუმენტები: UCP-ის 19-25 მუხლები ადგენენ სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო გადაზიდვის დოკუმენტების ჩამონათვალს. ესენია სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვები. ეს პუნქტები დეტალურად განსაზღვრავს ასეთი დოკუმენტების წარდგენის რეგულაციებს, მათ შინაარსს და იმ პირობებს, თუ რა შემთხვევაში უნდა მიიღოს საავიზო ბანკმა დოკუმენტები.

აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო ზედნადები არის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ბენეფიციარმა/გამყიდველმა უნდა წარადგინოს ბანკში. მყიდველს აუცილებლად ჭირდება სატრანსპორტო ზედნადები, რათა მის ქვეყანაში საქონლის ჩასვლისას წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე მიიღოს მის მიერ შეძენილი საქონელი. აღნიშნული დოკუმენტი ასევე აუცილებელია გამხსნელი ბანკისთვისაც, ვინაიდან იგი წარმოადგენს ბანკისთვის დამატებითი თავის დაზღვევის მექანიზმს. მას შემდეგ რაც გამხსნელი ბანკი აუნაზღაურებს ბენეფიციარს საქონლის ღირებულებას, მას უჩნდება თანხის ანაზღაურების მოთხოვნა მყიდველზე/აპლიკანტზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არ ან ვერ

⁹⁴ Walter Baker and John F.Dolan, User's Handbook for Documentary Credit, under UCP600, ICC publication, Paris, France, 2008, 52.

გადაუხდის ბანკს აკრედიტივის თანხას, მაშინ საქონელს სატრანსპორტო ზედნადების საფუძველზე გადამზიდავისგან მიიღებს გამხსნელი ბანკი და შედეგად მოიპოვებს ტვირთზე საკუთრების უფლებას. საერთაშორისო პრაქტიკაში, ბანკები საქონელს ასხვისებენ ადგილობრივ ტრეიდერებზე რათა მოახდინონ თავიანთი თანხების განაღდება.⁹⁵

მყიდველისათვის სატრანსპორტო ზედნადები მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს არა მარტო იმიტომ, რომ მის საფუძველზე მიიღებს შეძენილ საქონელს (რომლის თანხაც უკვე მიღებული აქვს გამყიდველს აკრედიტივის საფუძველზე), არამედ წმინდა ინფორმაციული თვალსაზრისითაც. აკრედიტივში წარმოდგენილი დოკუმენტები, წარმოადგენს მყიდველის საუკეთესო საშუალებას, რათა მათ საფუძველზე მიიღოს საქონლის შესახებ ინფორმაცია, მანამ სანამ მოახდენს აკრედიტივის თანხის გადახდას და ჩამოვა საქონელი მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში. მაგ.: თუ საქონლის გადაზიდვა ხორციელდება გემით, მყიდველი სატრანსპორტო ზედნადების საშუალებით იგებს, რომ ტვირთი უკვე გადამზიდავის ხელშია, რაც აძლევს მას იმის დასტურს, რომ გამყიდველმა ტვირთი გადამზიდავთან მიიტანა. თუმცა სატრანსპორტო ზედნადები არ აძლევს მყიდველს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ტვირთი რა მდგომარეობაშია და რამდენად შეესაბამება შეთანხმებულ ხარისხს და სტანდარტებს, ასევე კონტეინერში საერთოდ დევს, თუ არა საქონელი. თავისთავად საქონლის შემოწმება არც გადამზიდავის ვალდებულებაში შედის.

დოკუმენტური აკრედიტივის ფარგლებში სატრანსპორტო დოკუმენტს აქვს სამი მთავარი ფუნქცია: 1. სატრანსპორტო დოკუმენტით დასტურდება, რომ გამყიდველმა გადამზიდავს გადასცა-ჩააბარა საქონელი. ეს აძლევს ბანკს და მყიდველს თანხის გადახდამდე ფაქტის დადასტურების საშუალებას. 2. სატრანსპორტო დოკუმენტი წარმოადგენს საკუთრების ფლობის და განკარგვის დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც

⁹⁵ Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 282.

ბანკი დაზღვეულია თანხის არ გადახდისაგან. 3. სატრანსპორტო დოკუმენტი ასევე ატარებს გადაზიდვის ხელშეკრულების ფუნქციას გამყიდველს და გადამზიდავს შორის⁹⁶.

ისტორიულად სატრანსპორტო დოკუმენტი საერთაშორისო ვაჭრობაში იყო საზღვაო სატრანსპორტო კონოსამენტი, ვინაიდან კონტინენტაშორისი ვაჭრობა ხორციელდებოდა საზღვაო გადაზიდვებით. თანამედროვე საერთაშორისო კომერციის და საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების განვითარებამ, გარდა საზღვაო გადაზიდვისა, ვაჭრობაში საკმაოდ მოთხოვნადი გახადა სახმელეთო, საჰაერო და სარკინიგზო გადაზიდვები. ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო ვაჭრობაში ერთი საქონლის გადაზიდვის დროს გამოიყენება რამოდენიმე გადაზიდვის სახეობა, ე.წ. შერეული გადაზიდვები, ასეთ დროს გადამზიდავები გასცემენ მულტი სატრანსპორტო დოკუმენტებს. საერთაშორისო ვაჭრობის და გადაზიდვების ასეთმა განვითარებამ გავლენა იქონია UCP-ზეც, რომლის საბოლოო ვარიანტიც სატრანსპორტო დოკუმენტების ნაწილში სრულად სახეცვლილია მისი წინამორბედი ვერსიებისგან განსხვავებით.

Bill of Lading: სატრანსპორტო კონოსამენტი არის დოკუმენტი, რომელიც გაიცემა საზღვაო გადამზიდავის ან მისი აგენტის მიერ, იმის დასადასტურებლად, რომ მან მიიღო ტვირთი და განახორციელებს გადაზიდვას კონოსამენტში მითითებული გადაზიდვის პირობით. სატრანსპორტო კონოსამენტი არის სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს ტვირთის გადატანას ერთი ადგილიდან მეორე ადგილას.⁹⁷

სატრანსპორტო კონოსამენტში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს გადამზიდავის ვინაობა და რეკვიზიტები. მხოლოდ ასეთი სატრანსპორტო კონოსამენტია მისაღები ბანკისთვის, ვინაიდან იგი ამავე

⁹⁶ Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 210.

⁹⁷ Commentary on UCP600, Article-by-Article Analysis by the UCP 600 drafting group, ICC publication, Paris, France, 2007, 91.

დროს ატარებს გადაზიდვის ხელშეკრულების ფუნქციას. აქედან გამომდინარე ნათლად უნდა უთითებდეს დოკუმენტი გადაზიდვას. სატრანსპორტო კონოსამენტი ასევე აუცილებლად უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. UCP-ის მე-3 მუხლი ნათლად აყალიბებს, თუ რა ფორმითაა შესაძლებელი ხელმოწერის განხორციელება. კერძოდ, დოკუმენტი შესაძლოა ხელმოწერილი იყოს ხელით, დარტყმული ქონდეს კომპანიის ბეჭედი ან უფლებამოსილი პირის ფაქსიმილია, ან ნებისმიერი სხვა ელექტრონული, თუ მექანიკური საშუალებით, რომლითაც დადგინდება ხელმოწერის აუთენტურობა.⁹⁸

სატრანსპორტო ზედნადები უნდა უთითებდეს ხომალდზე ტვირთის დატვირთვის ფაქტს, კონკრეტული ხომალდის სახელს და რეკვიზიტებს. მხოლოდ იმის მითითება, რომ საქონელი მიიღო გადაზიდვამ არ არის საკმარისი დასტური მყიდველისთვის, ვინაიდან იგი დარწმუნებული უნდა იყოს თანხის გადახდამდე, რომ აკრედიტივით განსაზღვრული საქონელი უკვე გამზადებულია გადაზიდვისთვის კონკრეტულ ხომალდზე თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

გარდა ზემოთაღნიშნული ინფორმაციისა, სატრანსპორტო კონოსამენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პორტების ადგილმდებარეობის თაობაზე, სად ხდება საქონლის დატვირთვა და რა დანიშნულების ადგილზე უნდა მოხდეს საქონლის ჩამოტვირთვა. ასევე აუცილებელია მდებარეობის მითითებასთან ერთად, კონოსამენტი შეიცავდეს ინფორმაციას გადაზიდვის დაწყების და დასრულების თარიღის თაობაზე. ბენეფიციარი ვალდებულია აკრედიტივის ფარგლებში ბანკში წარადგინოს სატრანსპორტო ზედნადების ორიგინალები. თუმცა საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დოკუმენტების მოძრაობისას სხვა მხარეებისთვისაც (გამხსნელი ბანკი, აპლიკანტი) საჭიროა ორიგინალი დოკუმენტების მიღება. სწორედ ამიტომაც UCP-ით დადგენილია ბენეფიციარის მიერ მინიმუმ 3 ორიგინალი ზედნადების წარდგენა ბანკში,

⁹⁸ Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 214

თუ მხარეების მიერ აკრედიტივის პირობებით სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული. ეს აუცილებელია აკრედიტივში მონაწილე ყველა მხარისათვის, ვინაიდან როგორც აღინიშნა სატრანსპორტო დოკუმენტი იმავდროულად ატარებს საქონელზე საკუთრების უფლების მოპოვების ფაქტს და შესაბამისად მისი გამოყენება საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს დოკუმენტის მფლობელის მიერ ორიგინალის წარდგენას.

როდესაც მხარეები გარიგებას CIF-FOB პირობებით დებენ, მყიდველს ჭირდება მტკიცებულება რომ გამყიდველმა შეასრულა თავის ვალდებულება და საქონელი დაუტვირთა გადამზიდავს. გადამზიდავისთვის საქონლის გადაცემისას გადამზიდავი გასცემს სატრანსპორტო ზედნადებს, რაც წარმოადგენს საქონლის მიღების დასტურს გადამზიდავისგან და შესაბამისად ტვირთზე მფლობელობის მოპოვებას. არა გადაცემადი სატრანსპორტო კონოსამენტ-ს (non-negotiable) შეუძლია დაადასტუროს გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღება, მაგრამ როდესაც მყიდველი საქონლის გადაყიდვას ჯერ კიდევ მისი გზაში ყოფნის დროს გადაწყვეტს, მაშინ კომერციაში მხარეებისთვის გადაცემადი (negotiable bill) სატრანსპორტო ზედნადები უფრო მოსახერხებელია.⁹⁹

მულტი კომბინირებული სატრანსპორტო დოკუმენტები არის იმ ტიპის დოკუმენტები, როდესაც საქონლის გადაზიდვა ხდება ორი ან მეტი სახეობის გადაზიდვით. მაგ.: საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო ან/და სახმელეთო. ასეთი ტიპის სატრანსპორტო დოკუმენტების შემცველობა თითქმის იდენტურია სატრანსპორტო კონოსამენტისა. მასში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, როგორც გადამზიდავის ვინაობა და ადგილმდებარეობა, ასევე საქონლის გადატვირთვის ადგილი, რომელიც საბოლოო დანიშნულების ადგილამდე მიიტანს აკრედიტივით გათვალისწინებულ საქონელს.

საჰაერო, სარკინიგზო და სახმელეთო სატრანსპორტო დოკუმენტაციაც ანალოგიური მნიშვნელობის და ფუნქციის მატარებელია,

⁹⁹ Paul Todd, Bills of Lading and Banker's Documentary Credits, Fourth Edition, London, UK, 2007, 61.

როგორც ზემოთ განხილული საზღვაო სატრანსპორტო კონოსამენტი. აღნიშნული დოკუმენტები წარმოგვიდგება, როგორც ტვირთის მიღების დასტური, საკუთრების უფლების დოკუმენტი და გადაზიდვის ხელშეკრულება. აკრედიტივის ფარგლებში UCP-ი ანალოგიურად განსაზღვრავს ასეთი ტიპის გადაზიდვებისთვის სატრანსპორტო ზედნადებების ინფორმაციის შემცველობას, რაც გათვალისწინებულია საზღვაო სატრანსპორტო კონოსამენტისთვის, იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც თან ახლავს სხვადასხვა სახის გადაზიდვებს.

აკრედიტივის დროს ბანკები ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებისას, დიდ ყურადღებას უთმობენ არა თითოეული დოკუმენტების აკრედიტივის პირობებთან შემოწმებას, არამედ მათ შედარებას, რათა დაადგინონ ინფორმაციების უტყუარობა. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ საქონელი, თავისი მახასიათებლებით და რაოდენობით ზუსტად იყოს მითითებული სატრანსპორტო ზედნადებში, როგორც კომერციულ ინვოისში, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი ბანკი არ დაამოწმებს ასეთ დოკუმენტებს, რომლებიც თანხვედრაში არ იქნება ერთმანეთთან, განსაკუთრებით სატრანსპორტო დოკუმენტებში საქონელთან დაკავშირებული შეუსაბამობები¹⁰⁰.

სატრანსპორტო დოკუმენტაცია უმნიშვნელოვანესი როლის მატარებელია დოკუმენტური აკრედიტივის პროცესში. იგი არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც ერთის მხრივ იძლევა ინფორმაციას მყიდველისთვის შეთანხმებული საქონლის გადაზიდვის თაობაზე და მეორეს მხრივ არის აკრედიტივის პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის დაზღვევის გარანტორი, რომელიმე მხარისგან მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე ბანკები ზედმიწევნით ამოწმებენ სატრანსპორტო დოკუმენტაციას, რათა არ გაიპაროს რაიმე სახის უზუსტობა.

¹⁰⁰ Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 236

სადაზღვევო დოკუმენტაცია: მყიდველისათვის სავაჭრო ტრანზაქციის დროს შესაბამისი ხარისხის და რაოდენობის საქონლის მიტანასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია მისი უვნებლად მიწოდება. საერთაშორისო გადაზიდვები ყოველთვის დაკავშირებულია ბუნებრივ თუ ტექნიკურ რისკებთან, რის შედეგადაც საქონელი შესაძლოა დაზიანდეს სრულად ან ნაწილობრივ. სწორედ ამ რისკების გათვალისწინებითაც, აკრედიტივის დროს საქონლის დაზღვევას და სადაზღვევო დოკუმენტაციის ბანკში წარდგენას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა.

აკრედიტივის პროცესში UCP-ის 28-ე მუხლი განსაზღვრავს სადაზღვევო დოკუმენტების შემცველი ინფორმაციების წარდგენის წესებს. საქონლის დაზღვევა მნიშვნელოვანია მყიდველისთვის, რათა ტვირთის გადაზიდვის პროცესში თავიდან აიცილოს საქონლის დაზიანების ან დაკარგვით მიყენებული ზიანი. შესაბამისად მყიდველი ყოველთვის ითხოვს სადაზღვევო დოკუმენტაცია გაცემულ იქნას ავტორიტეტული სადაზღვევო კომპანიის მიერ.

სადაზღვევო პოლისის ვადა მხარეების მიერ წინასწარ არის შეთანხმებული. UCP-ი ადგენს, რომ დაზღვევის ვადა უნდა შეადგენდეს იმ ვადას რა ვადაც მაქსიმალურად ჭირდება ტვირთის გადაზიდვას დანიშნულების ადგილამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს დოკუმენტაცია.

ვალუტა სადაზღვევო დოკუმენტაციაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან გამყიდველი და მყიდველი ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში იმყოფებიან და მათი ვალუტაც განსხვავებულია. ვალუტის კურსის ცვალებადობა შესაძლოა ზიანის მომტანი გამოდგეს მყიდველისათვის, ამიტომ UCP - ი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაზღვევის თანხა უნდა იყოს იმ ვალუტაში რა ვალუტაშიც გახსნილია აკრედიტივი. დაზღვევის თანხის ოდენობა ზემოთხსენებულ შემთხვევაში სავალდებულოა შეადგენდეს CIF/CIP მიწოდების პირობების

ღირებულების მინიმუმ 110 %-ს. აღნიშნული წესი კარგ გარანტიას წარმოადგენს მყიდველისთვის, რადგან ასეთ შემთხვევაში მისი ტვირთი გარანტირებულად დაცულია.¹⁰¹

კომერციული ინვოისი: კომერციული ინვოისი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, სადაც განსაზღვრულია მხარეებს შორის შეთანხმებულ საქონელთან დაკავშირებული რიგი გარემოებები. საქონლის ფასი განისაზღვრება სწორედ კომერციული ინვოისით, რის ფარგლებშიც იხსნება აკრედიტივი (არანაკლებ ინვოისში მოცემული საქონლის ფასისა). კომერციულ ინვოისში ასევე მითითებულია საქონლის რაოდენობა და მახასიათებლები. გამყიდველი ვალდებულია კომერციულ ინვოისში მითითებული საქონელი და რაოდენობა მიაწოდოს გადამზიდავს. ამასთან სავალდებულოა სატრანსპორტო დოკუმენტაციაში მითითებული საქონლის მახასიათებლები დაემთხვეს კომერციულ ინვოისში მითითებულ მახასიათებლებს და შემდგომ წარდგენილ იქნას ბანკში. თუ საქონლის რაოდენობა მითითებული კომერციულ ინვოისში აღემატება აკრედიტივში მითითებულ რაოდენობას, ბანკი უფლებამოსილია მიიღოს ან არ მიიღოს აღნიშნული დოკუმენტი.¹⁰²

კომერციული ინვოისი გაიცემა გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე. ბანკებისა და გადამზიდავების მიერ, მხარეების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია კომერციულ ინვოისში გარკვევით იყოს მითითებული მათი სახელები და რეკვიზიტები. გამყიდველი საავიზო ბანკისგან თანხის მისაღებად წარადგენს ორიგინალ დოკუმენტაციას, თუ აკრედიტივის პირობებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საავიზო ბანკში წარდგენილ უნდა იქნას მინიმუმ ერთი ორიგინალი. ორიგინალი დოკუმენტები ხელმოწერილი და ბეჭედ

¹⁰¹ Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, USA, Oxford University Press, 2010, 454.

¹⁰² Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 18.

დარტყმული უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ. მხარეთა მიერ შესაძლოა განისაზღვროს ასლების წარდგენის ალტერნატივა.¹⁰³

კომერციული ინვოისი სავალდებულოა შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებში გაწერილ მონაცემებს. როგორც წესი აღნიშნული არ წარმოადგენს ბენეფიციარისთვის პრობლემას, ვინაიდან მის მიერ გაცემული პირველადი ინვოისი, მარტივად შეუძლია დაამთხვიოს აკრედიტივის პირობებს. კომერციული ინვოისის აკრედიტივთან შეუსაბამობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს თანხის გაცემა.¹⁰⁴

UCP-ი ადგენს, რომ კომერციულ ინვოისში საქონლის/მომსახურების აღწერილობა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებს. თუ აკრედიტივით გათვალისწინებულია რამოდენიმე ინვოისის ეგზემპლარი, მაშინ ორიგინალი და ასლები იდენტური უნდა იყოს ერთმანეთთან, ხოლო თუ ორიგინალში შევა ცვლილებები, ასლების ვალიდურობისთვისაც აუცილებელია მათშიც იდენტური ცვლილებების შეტანაც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვიხილოთ კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე (Oei v Citibank), აკრედიტივით გათვალისწინებული იყო ერთი ორიგინალი და ოთხი ასლი კომერციული ინვოისის წარდგენა, რომელშიც უნდა ყოფილიყო მითითებული საქონლის დასახელება - „Levi jeans 501-0191, New, Originals, made in USA labels”. ორიგინალი ინვოისი, რომელიც ბანკს წარედგინა მოიცავდა შემდეგ დასახელებას „Levi 501-0191, New, Originals, made in USA labels” ხოლო სიტყვა (jeans) ხელით იყო მიწერილი, თუმცა ასლებს ასეთი ტიპის აღნიშვნა არ ქონდა გაკეთებული. მოსამართლე Mukasey J-იმ ინვოისი დეფექტიანად ცნო¹⁰⁵.

¹⁰³ Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce, Article 17.

¹⁰⁴ Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, USA, Oxford University Press, 2010, 455.

¹⁰⁵ Ebenezer Adodo, *Letters of Credit, The law and practice of Compliance*, Oxford University press, oxford, UK, 2014, 185.

საქმიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული უმნიშვნელო დეტალის გათვალისწინებაც კი აკრედიტივის დროს. აკრედიტივი თავისი არსიდან გამომდინარე დაფუძნებულია სიზუსტეზე და მხარეთა მიერ ზუსტ მოქმედებებზე მათ მიერ შეთანხმებულ პირობებთან მიმართებაში.

საქმეზე (Courtaulds North America Inc v North Carolina National Bank) აკრედიტივი ითვალისწინებდა კომერციული ინვოისის წარდგენას სამ ეგზემპლიარად საქონლის სახელის მითითებით (100% Acrylic Yarn). მოსამართლემ დაადგინა, რომ ინვოისი არ შეესაბამებოდა აკრედიტივის პირობებს, ვინაიდან საქონლის სახელწოდება მითითებული იყო „imported Acrylic Yarn“. აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ კომერციულ ინვოისში მითითებული განსხვავებულ სახელზე დაყრდნობით მიიღო.¹⁰⁶

ზემოთხსენებული გადაწყვეტილებით ნათლად არის გადმოცემული საქონლის სახელწოდების სიზუსტის მნიშვნელობა, მხარეთა მიერ სავაჭრო გარიგებით და აკრედიტივის ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებთან. საქონელი სავაჭრო ურთიერთობის მთავარი ობიექტია, შესაბამისად სავალდებულოა საქონელის დასახელება სწორად იქნას მითითებული, როგორც კომერციულ ინვოისში, ასევე აკრედიტივში. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს იქიდან, რომ ბანკი ვერ ახდენს შეფასებას ყოველი კონკრეტული საქონლის ჩანაწერის სიზუსტეზე. ამიტომ ყველა მხარის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, უმჯობესია მხარეთა შორის შეთანხმებული პირობები ნათლად და ზუსტად იქნას ასახული, როგორც აკრედიტივში, ასევე კომერციულ ინვოისში.

დამატებითი დოკუმენტაცია: მხარეთა მიერ დამატებით შესაძლოა განისაზღვროს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც საბაჟო თუ საგადასახადო მიზნებისთვის საჭიროა საქონლის მისაღებად. საქონლის წარმოშობის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, თუ რომელ ქვეყანაში იქნა წარმოებული საქონელი, მნიშვნელოვანია მყიდველისთვის, მაშინ

¹⁰⁶ Ebenezer Adodo, Letters of Credit, The law and practice of Compliance, Oxford University press, oxford, UK, 2014, 186.

როდესაც მისი ადგილსამყოფელი ქვეყანა მიერთებულია რეგიონალურ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებს და სარგებლობს გარკვეული პრეფერენციებით ბენეფიციარის ადგილსამყოფელ ქვეყანასთან. თუ საქონელი დაკავშირებულია საკვებ ან ჯანმრთელობის პროდუქტებთან, მყიდველის ქვეყანამ შესაძლოა მოითხოვოს ფიტოსანიტარიის სერტიფიკატი გაცემული გამყიდველის ქვეყნის შესაბამისი ორგანოსგან, შესაბამისად მყიდველი აუცილებლად მოითხოვს აკრედიტივით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალში ამ დოკუმენტის წარდგენას. საერთაშორისო ვაჭრობაში არსებობს პროდუქცია, რომლის ექსპორტზე გატანას ჭირდება სახელმწიფოს თანხმობა და შესაბამისი საექსპორტო ლიცენზიის გაცემა. შესაბამისად აკრედიტივის დროს სავალდებულოა აღნიშნული დოკუმენტაციის მიმაგრება¹⁰⁷.

მყიდველისათვის უმნიშვნელოვანესია დროულად მიიღოს გამყიდველისგან შეთანხმებული პროდუქცია. მართალია ბენეფიციარის მიერ სწორად წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტაცია იძლევა გარკვეულ გარანტიას და ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მან გადასცა საქონელი გადასაზიდად გადამზიდავს, თუმცა გადამზიდავის ვალდებულებაში არ შედის ტვირთის ზუსტი რაოდენობის დათვლა და ხარისხობრივი მდგომარეობის შემოწმება.

შესაბამისად მყიდველისათვის იზრდება რისკი, გამყიდველის მხრიდან არაკეთილსინდისიერად მოქცევის ან თაღლითობის შემთხვევაში მიიღოს ნაკლები საქონელი. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი მყიდველი ითხოვს დამატებით დოკუმენტებს აკრედიტივის დროს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის ინსპექტირებას და სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას საქონლის მიღებადმე და ანგარიშსწორებამდე. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია შეფუთვის ფურცელი (packing list), რომელიც იძლევა ინფორმაციას შეფუთვის სახეობის და რაოდენობის თაობაზე, თუმცა არაფერს ამბობს მის ხარისხობრივ მდგომარეობაზე. საერთაშორისო

¹⁰⁷ Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 282.

ვაჭრობაში საქონლის ხარისხის შესამოწმებლად აპრობირებული დოკუმენტია საქონლის შემოწმების აქტი (survey report), რომელიც წარმოადგენს ინფორმაციას, თუ რა ვითარებაში იმყოფებოდა საქონელი გადამზიდავისთვის გადაცემის მომენტში. აღნიშნულ პროცედურას ახორციელებს ნეიტრალური კომპანია, რომელიც დაკავშირებული არ არის არც გამყიდველთან და არც გადამზიდავთან და იძლევა ობიექტურ ინფორმაციას საქონლის მდგომარეობის თაობაზე. ბუნებრივია ასეთი ტიპის მომსახურება დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, თუმცა საჭირო ინფორმაციას ამლევს მყიდველს საქონლის შესახებ. უკანასკნელი დოკუმენტების წარდგენა წინასწარ თანხმდება მხარეების მიერ და განისაზღვრება აკრედიტივის პირობებში.¹⁰⁸

დოკუმენტ ბრუნვა: როგორც წესი ზემოთხსენებული დოკუმენტები აკრედიტივის გამოყენების დროს მხარეებს შორის წინასწარ თანხმდება. აუცილებელია განვიხილოთ დოკუმენტების შეგროვების პროცესი.

სტანდარტული ტრანზაქციის დროს ინსპექტორი ტვირთს გადამზიდავთან მისვლისთანავე ამოწმებს და ამზადებს დასკვნას ტვირთის ხარისხობრივი მაჩვენებლის შესახებ. სადაზღვევო კომპანია გასცემს საქონელზე დაზღვევის სერთიფიკატს. გადამზიდავი იძლევა სატრანსპორტო ზედნადებს, მხოლოდ მას შემდეგ რაც მას მიუვა ტვირთი. გამყიდველი აგროვებს ყველა დოკუმენტს, ამზადებს ექსპორტის და სხვა სახის სანებართვო დოკუმენტაციას, თან ურთავს კომერციულ ინვოისს და შეფუთვის საბუთს.

დოკუმენტაციის შეგროვების შემდგომ გამყიდველს საბუთები მიაქვს ბანკში. თუ ბანკი საავიზო ბანკია და დოკუმენტები თანხვედრაშია აკრედიტივის პირობებთან, იგი ახორციელებს ანგარიშსწორებას გამყიდველთან. ასეთ შემთხვევაში გამყიდველი გადის ურთიერთობის ველიდან, ვინაიდან მას უკვე მიღებულია თანხა. ამ ეტაპზე დოკუმენტების და ტვირთის მფლობელის სტატუსი გადადის თავად საავიზო ბანკზე,

¹⁰⁸ Ali Malek QC, David Quest, Jack: Documentary Credits, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009, 241

რომელიც იღებს ტვირთის დაკარგვის რისკს. თუ ბანკი დასახელებული ან შემტყობინებელი სტატუსით მოქმედებს, მაშინ იგი უგზავნის დოკუმენტებს გამხსნელ ბანკს და დამოწმების შემთხვევაში ღებულობს თანხას გამხსნელი ბანკისგან. თუ ბანკი შემტყობინებელი ან დასახელებულია მაშინ იგი ურიცხავს თანხას გამყიდველს, ხოლო თუ ბანკი საავიზოა, მაშინ იგი თავისთვის იტოვებს თანხას, რომელიც უკვე გადაუხადა გამყიდველს.

ამის შემდგომ გამყიდველის მსგავსად, საავიზო ბანკიც გადის აკრედიტივს ურთიერთობის ფარგლებიდან და დოკუმენტების და ტვირთის ფლობა გადადის უკვე გამხსნელ ბანკზე. დოკუმენტების მიღების შემდგომ გამხსნელი ბანკი მათი დადასტურების შემთხვევაში ახდენს ანგარიშსწორებას საავიზო ბანკთან და თავის მხრივ უკვე გადასცემს დოკუმენტების საბოლოო ადრესატს - მყიდველს/აპლიკანტს. დოკუმენტების მიღებისას მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს აკრედიტივის თანხა გამხსნელ ბანკს და ამის შემდგომ გამხსნელი ბანკიც გადის აკრედიტივის ურთიერთობის არეალიდან. ახლა უკვე გამყიდველის განკარგულებაშია ის დოკუმენტები, რომლის საბოლოო ადრესატიც თავადაა და რის საფუძველზეც უნდა მიიღოს გადამზიდავისგან ნაყიდი საქონელი. ამ შემთხვევაში უკვე ტვირთის დაკარგვის რისკი გადმოდის მყიდველზე, რომელსაც ჯერ ფიზიკურად ტვირთი ხელთ არ აქვს. სანამ ზემოთგანხილული დოკუმენტბრუნვა მიმდინარეობს, მხარეებს შორის გადამზიდავი ახორციელებს საქონლის გადაზიდვას მისი მყიდველის ადგილსამყოფელ ქვეყანამდე. ტვირთის ჩამოსვლისას მყიდველი გადასცემს შესაბამის დოკუმენტაციას გადამზიდავს და ღებულობს მის კუთვნილ საქონელს.¹⁰⁹

EUCP¹¹⁰ წარმოადგენს UCP-ის დამატებას და მოქმედებს მასთან ერთად აკრედიტივის მოქმედების დროს. იგი არ ადგენს აკრედიტივის

¹⁰⁹ V.Gerard Comizio, International Banking Law, USA ST.Paul, 2016, 29.

¹¹⁰ UCP-დამატება, რომელიც განმარტავს აკრედიტივის დროს საბუთების ელექტრონულად წარდგენის წესებს.

ელექტრონულად წარმოების საკითხებს, არამედ ეხება აკრედიტივის საფუძველზე ბენეფიციარის მიერ ბანკში დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენის საკითხებს. ჯერ-ჯერობით აღნიშნული საკითხი თანამედროვე ვაჭრობაში სრულყოფილად არ მუშაობს, გამომდინარე დოკუმენტების წარდგენის უსაფრთხოებისა და სხვადასხვა ქვეყნებში გაუმართავი და ერთიანი სისტემის არარსებობის გამო, თუმცა როდესაც ქვეყნები ერთიან ელექტრონულ სისტემას შეიმუშავებენ, ელექტრონულად საბუთების წარდგენას მრავალი უპირატესობა ექნება, რეალური დოკუმენტების წარდგენასთან შედარებით¹¹¹. ბენეფიციარს საშუალება ექნება საბუთები ელექტრონულ ფორმატში საავიზო ბანკის ნაცვლად პირდაპირ წარუდგინოს გამხსნელ ბანკს, რომელიც თავის მხრივ შეამცირებს საბუთების დამოწმების ვადებს, შეამცირებს აკრედიტივის მომსახურების ხარჯებს და ასევე შეამცირებს დოკუმენტების შეუსაბამობების გამოვლენის რისკებსაც.

ელექტრონული ჩანაწერების განმარტება ადგენს სამ ძირითად ელემენტს. პირველი აღწერს ელექტრონული ჩანაწერის კონცეფციას, კერძოდ ელექტრონული დოკუმენტის შექმნას, მის გაგზავნას და მიღებას და მათ შენახვას ბაზაში. უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მეორე ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს მთავარ ფაქტორს: ელექტრონული დოკუმენტის აუთენტურობას, როგორც უტყუარ წყაროს გამომგზავნისგან და ფაქტის უტყუარ მტკიცებულებას. მესამე ფაქტორი დოკუმენტის ელექტრონულად შემოწმების შესაძლებლობაა, რათა ზუსტად და სწრაფად მოხდეს აკრედიტივის პირობების შესაბამისობის დადგენა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ელექტრონული საბუთების წარდგენა საკმაოდ კომპლექსური პროცესია და ნაკლები ნდობით სარგებლობს თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში.

მხარეები აკრედიტივის გამოყენებისას თუ შეთანხმდებიან დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენის ფორმატზე, მაშინ

¹¹¹ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 338.

კონკრეტულად უნდა შეთანხმდნენ რა ფორმატში იქნება წარმოდგენილი დოკუმენტები. თუ ასეთი ჩანაწერი არ არის აკრედიტივის პირობებში, მაშინ ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება შექმნილი იქნას ნებისმიერ ფორმატში.¹¹² ამ კონტექსტში აუცილებელია მხარეების მიერ შეთანხმებული იყოს ელექტრონული დოკუმენტის წარდგენის ადგილი. თუმცა ელექტრონული საბუთების მიღებაზე ბენეფიციარმა ბანკისგან უნდა მიიღოს შეტყობინება, რომელიც დაადგენს სწორად არის თუ არა წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტაცია და რამდენად შეესაბამება იგი მხარეთა შეთანხმებულ პირობებს ელექტრონულად დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებით. ბანკის მიერ საბუთების შესაბამისობის ვადის ათვლა დაიწყება ამ პროცედურის დასრულების შემდგომ.¹¹³

თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში, აკრედიტივთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს UCP-ის დამატება eUCP, რომელიც არეგულირებს დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენის პროცედურებს. ასევე გაეროს (Uncitral - ის მიერ მიღებული) 1995 წლის კონვენცია stand-by letters of credit and independence guarantees.

აღსანიშნავია, რომ ზემოთგანხილული დოკუმენტების მოძრაობის მექანიზმი ატარებს არა მხოლოდ ტექნიკურ ფუნქციას, არამედ უაღრესად მნიშვნელოვანი სამართლებრივი სტატუსი გააჩნია აკრედიტივის ურთიერთობაში. აკრედიტივის დოკუმენტები ვის ხელშიცაა, მასვე გააჩნია საქონლის ფლობის უფლება. ეს გარემოება კი საკვანძო დამზღვევ ფუნქციას ატარებს ნებისმიერ მხარისათვის, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე დაარღვევს აკრედიტივით შეთანხმებულ პირობას.

აკრედიტივის მთავარი ნიშანთვისებაა მისი დოკუმენტური ბუნება. აკრედიტივის პროცესის დროს საქმე გვაქვს დოკუმენტებთან და არა უშუალოდ საქონელთან ან მომსახურებასთან. შესაბამისად ის

¹¹² eUCP Article 4.

¹¹³ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 339.

დოკუმენტები, რომლებიც განხილულია წინამდებარე ქვეთავში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროდუქტის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის. განხილული მასალის და გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული დოკუმენტის შედგენა აკრედიტივის დროს მოითხოვს დიდ სიზუსტეს, ვინაიდან მათში ასახულ ინფორმაციაზე დამოკიდებული ბანკის მიერ აკრედიტივის თანხის გადახდა ბენეფიციარისთვის. ნებისმიერმა უმნიშვნელო შეცდომამ თუ მიზანმიმართულმა მოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბანკის მიერ დოკუმენტების უარყოფა მათი შეუსაბამობის საფუძველზე აკრედიტივის პირობებთან, რაც ავტომატურად იწვევს თანხის გადაუხდელობის მთელ ჯაჭვს დაწყებული აპლიკანტიდან დამთავრებული ბენეფიციარამდე.

ამიტომ აკრედიტივის დროს აუცილებელია სწორად იყოს გაწერილი ყველა ის ინფორმაცია, რათა შემდგომ ბანკებმა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები. ამის საფუძველი კი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დეტალურად აყალიბებს აკრედიტივის დოკუმენტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც ასევე ზედმიწევნით გადატანილი უნდა ქონდეს ბანკებს თავიანთ შიდა რეგულაციებში და მკაცრად იცავდეს მათ.

ნათელია, რომ აკრედიტივის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ანგარიშსწორების ფორმის, ყველაზე მნიშვნელოვანი სპეციფიკა, მის დოკუმენტურ ბუნებაში მდგომარეობს. ეს სპეციფიკურობა მისი სახელწოდებიდანაც ნათლად ჩანს. თანამედროვე საერთაშორისო საბანკო სამართალში სწორედ „დოკუმენტური აკრედიტივის“ ცნებითაა დამკვიდრებული მომსახურების ეს სახე. ამიტომაც, ვფიქრობთ, სწორედ დოკუმენტაციის ზუსტი ჩამონათვალი და ამ დოკუმენტაციის შინაარსის შესწავლა უნდა იქცეს დოკუმენტური აკრედიტივის კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ არეალად. რაც უფრო ზუსტი და ნათელი იქნება წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მით უფრო ადვილად მოხდება აკრედიტივის განაღდება. ეს კი პირდაპირ ხელს შეუწყობს დოკუმენტური

აკრედიტივის ხელშეკრულების განვითარებას და ამ მომსახურების ტიპს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მხარეებისთვის.

2. „ზუსტი შესატყვისობის პრინციპი“ საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივში - Doctrine of Strict Compliance

როგორც უკვე აღინიშნა აკრედიტივი დაკავშირებულია დოკუმენტებთან და არა იმ საქონელთან, რომელთა დაკავშირებითაც იხსნება იგი. გამომდინარე მისი დოკუმენტური ბუნებიდან, საერთაშორისო კომერციული აკრედიტივის სამართალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დოკუმენტთა ზუსტ შესატყვისობის პრინციპს მხარეთა მიერ აკრედიტივით შეთანხმებულ პირობებთან მიმართებაში. პრაქტიკაში ბენეფიციარის მიერ ბანკში წარდგენილ დოკუმენტებში აკრედიტივის პირობებთან შეუსაბამობები საკმაოდ ხშირია. აკრედიტივის ფარგლებში წარდგენილი დოკუმენტების ორი მესამედი მინიმუმ ერთ შეუსაბამობას მაინც შეიცავს საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში და შესაბამისად ხშირ შემთხვევაში ბანკები უარს აცხადებენ ბენეფიციარისათვის თანხის გადახდაზე¹¹⁴. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს სტატისტიკა არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან აკრედიტივით შეთანხმებულ წარსადგენ დოკუმენტთა სია საკმაოდ დიდია, რომლებიც თავის მხრივ მრავალ დეტალური ინფორმაციას შეიცავს.

ხშირ შემთხვევაში ბანკის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობები უმნიშვნელო ხასიათისა და მხარეებს (მყიდველი-გამყიდველი) მიუხედავად ხარვეზისა შესაძლოა სურდეთ ტრანზაქციის დასრულება. ბიზნესისათვის გარიგების დასრულება გაცილებით მომგებიანია, ვიდრე სასამართლო დავა. UCP-ი აძლევს ბანკებს საშუალებას, მაგრამ არ ავალდებულებს, ასეთი ტიპის შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში მისი ინიციატივით გამართოს მყიდველთან კონსულტაციები.

¹¹⁴ Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 257.

ტრანზაქციის დასრულება ბანკისთვისაც მომგებიანია, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებს იგი საკომისიოს. უმეტეს შემთხვევებში მყიდველი უარს აცხადებს აღმოჩენილ უმნიშვნელო დარღვევებზე და შესაბამისად პროცესის გაგრძელებისკენ იხრება, იმიტომ რომ არასაბანკო მხარეებს (მყიდველი-გამყიდველი) სურთ ტრანზაქციის დასრულება¹¹⁵.

ზუსტი შესაბამისობა არ ნიშნავს აკრედიტივის პირობების სიტყვა-სიტყვით თანხვედრას. შესაბამისობის საკითხი დგინდება შინაარსიდან და არა მექანიკური განმარტებიდან გამომდინარე. მაგ.: თუ აკრედიტივი ითხოვს წარმოშობის სერტიფიკატს (Holland) და წარდგენილი იქნება სერტიფიკატი, სადაც ეწერება (Netherlands), არ უნდა იქნას შეუსაბამოდ მიღებული, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ორი სიტყვა ერთი და იგივე მნიშვნელობისაა¹¹⁶.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი აკრედიტივის ბენეფიციარის მიერ განაღდებისა, გულისხმობს მის მიერ სრულყოფილი დოკუმენტების წარდგენას საავიზო ბანკში, რომელთა შინაარსი და აუთენტურობა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს აკრედიტივით შეთანხმებულ პირობებთან. ბანკს არ აქვს უფლებამოსილება, არც ვალდებულება და შესაბამისი ცოდნა რათა შეამოწმოს დოკუმენტების სიზუსტე მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებასთან და საქონელთან შესაბამისობაში. აღნიშნულ შემთხვევაში ბანკი ვერ გაცდება თავის მანდატს და ვერ შეაფასებს დოკუმენტების შესაბამისობას საქონელთან. თუმცა მის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს შეამოწმოს, თუ რამდენად სრულყოფილად და შესაბამისი ფორმით წარმოადგინა ბენეფიციარმა დოკუმენტები¹¹⁷.

მას შემდეგ რაც გამყიდველი გადასცემს საქონელს გადამზიდავს, იგი აგროვებს აკრედიტივით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტს და

¹¹⁵ Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 259.

¹¹⁶ Nelson Enonchong, The Indipendence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees, Oxford University Press, oxford, UK, 2011, 84.

¹¹⁷ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Jeffrey Wool, Transnational Commercial Law, Second Edition,UK, Oxford University Press, 2012, 388.

ამზადებს წერილს „draft“. ეს წერილი მიმართულია ბანკისადმი, სადაც მითითებულია ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის მიღებაზე¹¹⁸.

ბენეფიციარისთვის თანხის ანაზღაურების საკითხი, ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება წარდგენილი დოკუმენტაცია აკრედიტივის პირობებს. ბანკი ამოწმებს სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა ის დოკუმენტი, რაც აკრედიტივითაა გაწერილი. ამოწმებს იმ აუცილებელ ინფორმაციას რაც დოკუმენტში უნდა იყოს მითითებული. რაიმე შეუსაბამობის ან უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში ბანკი დოკუმენტებს უკან უბრუნებს ბენეფიციარს. ბანკი არ არის ვალდებული შეამოწმოს დოკუმენტების სამართლებრივი ასპექტები. UCP-ი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კომერციული ინვოისების, სატრანსპორტო და სადაზღვევო დოკუმენტაციების სიზუსტეს.

ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს დროულად აცნობოს ბენეფიციარს აღმოჩენილ შეუსაბამობებზე. ამ მიმართულებით UCP-ი გვთავაზობს მნიშვნელოვან რეგულაციებს. უპირველესად, თუ ბანკი გამოავლენს შეუსაბამობებს და არ გადაუხდის თანხას გამყიდველს, იგი ვალდებულია ამის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს გამყიდველს. აღნიშნული შეტყობინება უნდა შეიცავდეს ხარვეზების დეტალურ ჩამონათვალს და შესაბამისად ყველაზე სრწაფი ტელეკომუნიკაციის საშუალებით უნდა იქნას გაგზავნილი ბენეფიციართან¹¹⁹. აღნიშნული შეტყობინების გაგზავნა ბანკს შეუძლია მხოლოდ ერთხელ, შესაბამისად რაიმე დეტალის გამორჩენის შემთხვევაში ბანკს ერთმევა უფლება დამატებით რაიმე მოითხოვოს გამყიდველისგან.

UCP-ის მე-14 მუხლი განსაზღვრავს ბანკის მიერ დოკუმენტების შემოწმების მაქსიმალურ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5

¹¹⁸ Lynn M. Lopucki, Elizabeth Warren, Daniel Keating, Ronald J. Mann, Commercial Transactions, A Systems Approach, Aspen publishers, New York, USA, 2006, 536.

¹¹⁹ Ralph H. Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 260.

საბანკო დღეს¹²⁰. საბანკო დღე ნიშნავს იმ დღეს როდესაც ბანკი მუშაობს მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში. აღნიშნული 5 დღიანი ვადა განსხვავდება ამერიკის UCC -ი რეგულაციისგან, რის მიხედვითაც ბანკი ვალდებულია გონივრულ ვადაში მოახდინოს დოკუმენტაციის შემოწმება. გონივრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 ბიზნეს დღეს. უმნიშვნელო ტექნიკური ხარვეზების დროს, ბანკი თავის შეხედულებისამებრ დაამოწმებს დოკუმენტებს ან არ მიიღებს და უკან უბრუნებს ბენეფიციარს ხარვეზის გამოსასწორებლად. ბანკი უფლებამოსილია შეუსაბამობებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიაროს აპლიკანტთან, თუმცა იგი უნდა ჩაეტიოს 5 საბანკო დღის ვადაში, როგორც დოკუმენტების შემოწმების ასევე მყიდველთან შეუსაბამობებზე კონსულტაციებისთვის და ამ ვადის ბოლომდე აცნობოს ბენეფიციარს შესაბამისი გადაწყვეტილება თანხის გადახდის ან გადაუხდელობის და მისი მიზეზების თაობაზე. უმნიშვნელოვანესია, რომ კომერციულ ინვოისში და სატრანსპორტო ზედნადებში საქონლის დასახელება, რაოდენობა და მახასიათებლები ზუსტად შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია არ დაამოწმოს დოკუმენტები და არ განახორციელოს ანგარიშსწორება ბენეფიციარის სასარგებლოდ.

UCP-ი ზუსტად განსაზღვრავს ბანკის დოკუმენტების შემოწმების და გამყიდველისთვის შეტყობინების გაგზავნის ვადის დარღვევას. თუ გამხსნელი ან საავიზო ბანკი ამ ვადაში არ განახორციელებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ერთის მხრივ შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში არ ამცნობს გამყიდველს ამის თაობაზე და მეორეს მხრივ ერთი შეტყობინების უფლებაში სრულად არ მიუთითებს შეუსაბამობების თაობაზე, ბანკს აღარ ექნება უფლება ამტკიცოს დოკუმენტების შეუსაბამობების შესახებ. შესაბამისად ბანკებს ერთი შანსი აქვთ შეატყობინონ გამყიდველს შეუსაბამობების თაობაზე. აღნიშნული ლოგიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ გამყიდველმა მიიღოს ინფორმაცია,

¹²⁰ Commentary on UCP600, Article-by-Article Analysis by the UCP 600 drafting group, ICC publication, Paris, France, 2007, 62.

თუ რომელი დოკუმენტია აკრედიტივის პირობებთან შეუსაბამო, რათა გაანალიზოს, რამდენად აღმოფხვრადია აღნიშნული ხარვეზები აკრედიტივის ვადის ამოწურვამდე. შეტყობინების ვადა არ მოქმედებს დოკუმენტების თაღლითობის შემთხვევაში.

თუ გამხსნელი ან საავიზო ბანკი დაუდევრად და უყურადღებოდ შეამოწმებს დოკუმენტებს და განახორციელებს გადახდას, ასეთ შემთხვევაში აპლიკანტისგან ვეღარ მოითხოვს თანხის ანაზღაურებას¹²¹. თუმცა Isaac-ი და Barnett-ს აქვთ მოსაზრება, რომ თუ ბანკი დეტალურად და ყურადღებით შეამოწმებს დოკუმენტებს და აღმოჩნდება, რომ დოკუმენტები ხარვეზიანია, ბანკს შეუძლია მოთხოვოს აპლიკანტს თანხის ანაზღაურება, ვინაიდან მას არ დაურღვევია თავისი ვალდებულება.¹²²

აკრედიტივის მთავარი მიზანია გამყიდველისათვის თანხის მიღების უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა მიმდინარეობს თუ არა დავა მყიდველსა და გამყიდველს შორის სავაჭრო გარიგების გარკვეული პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. მხარეებს შორის სავაჭრო გარიგების საფუძველზე წამოჭრილი დავის საფუძველზე გამხსნელი ბანკის მიერ თანხის არ გადახდა ჩაითვლება მისი პირდაპირი ვალდებულების დარღვევად ბენეფიციარის წინაშე და საფრთხეს უქმნის აკრედიტივს, როგორც ლეგიტიმურ კომერციულ ეფექტურ ინსტრუმენტის ფუნქციონირებას.¹²³

პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენს დოკუმენტების წარდგენის დროს ბენეფიციარის მიერ ისეთი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც გათვალისწინებული არ არის აკრედიტივით. UCP - ი ასეთ შემთხვევაში განმარტავს, რომ ბანკებმა უნდა უარყონ და არ უნდა მიიღონ ისეთი დოკუმენტები, რომლებიც არ არის აკრედიტივით გათვალისწინებული.

¹²¹ Ebenezer Adodo, *Letters of Credit, The law and practice of Compliance*, Oxford University press, oxford, UK, 2014, 133.

¹²² Michael Isaac Michael Barnett, *International Trade Finance, Letter of Credit*, 2007, 660.

¹²³ Mary Beth Matthews, Steve H. Nickles, *Payments Law in a Nutshell*, St. Paul, USA, 2015, 335.

ე.წ ზუსტი შესატყვისობის დოქტრინა (doctrine of strict compliance), პირველად დაამკვიდრა ვისკონტის ლორდთა პალატის სასამართლომ ერთ-ერთი სასამართლო განხილვის დროს: „არ არსებობს ოთახი დოკუმენტებისთვის, რომელიც ზუსტად იდენტურად შექმნის მათ. ბანკის ფილიალი საზღვარგარეთ, რომელიც ვერ ერკვევა აკრედიტივით დაფინანსებულ ბიზნეს ტრანზაქციის დეტალებზე, ვერ აიღებს თავის თავზე იმის გადაწყვეტილებას, თუ რა დოკუმენტი იქნება კარგი ან ცუდი ტრანზაქციისთვის. თუ ბანკი შეასრულებს იმას რაც ევალება აკრედიტივის დროს, მაშინ იგი დაცული იქნება, ხოლო თუ გადაუხვევს თავის უფლებამოსილებას და დაიწყებს დოკუმენტების სამართლებრივ შეფასებას, მაშინ ბანკი მოქმედებს თავისი რისკით და თავის თავზე იღებს ტრანზაქციის განხორციელების რისკებს“¹²⁴

დოკუმენტების ზუსტი შესატყვისობის მოთხოვნები გულისხმობს ფორმალურ და ლიტერატურულ (სიტყვა-სიტყვით) თანხვედრას აკრედიტივის პირობებთან¹²⁵. აღნიშნული დოქტრინის მთავარი პრინციპია: დოკუმენტი ზუსტად შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებს, ბანკებს არანაირი ვალდებულება არ ეკისრებათ განსაზღვრონ დოკუმენტების სამართლებრივი საფუძვლები; არ არის საკმარისი თითოეული დოკუმენტების შედარება აკრედიტივის პირობებთან, აუცილებელია მათი ერთმანეთთან შედარება ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად.¹²⁶ თუ ბანკი დაამოწმებს დოკუმენტებს იგი ვალდებულია „prima facia“ დაშვებით პირდაპირ აუნაზღაუროს თანხა ბენეფიციარს, ხოლო თუ აღმოაჩენს შეუსაბამობებს, ბენეფიციარს უფლება აქვს კვლავ წარადგინოს დოკუმენტები აკრედიტივის ვადის ამოწურვამდე. ზუსტი შესატყვისობის პრინციპი არ ზღუდავს ბენეფიციარის მოთხოვნის

¹²⁴ Viscount Sumner of the House of Lords in „Equitable Trust Co. of New Yourk v. Dawson Partners Ltd. (1927) 27Li.L.Rep.49,52; Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 287.

¹²⁵ Matti S. Kurkela, Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law, Oxford Univesity Press, New Yourk, USA, 2008, 120.

¹²⁶ Matti S. Kurkela, Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law, Oxford Univesity Press, New Yourk, USA, 2008, 122.

უფლებას თანხის მიღებაზე. ბენეფიციარი წინასწარ წერილობით ინფორმირებულია, თუ რა საბუთები უნდა წარადგინოს ბანკში, ხოლო თუ ბანკი არ დაამოწმებს დოკუმენტებს მას უფლება აქვს ხელახლა წარუდგინოს ბანკს უკვე ხარვეზ გამოსწორებული დოკუმენტები.

დოკუმენტების წარდგენის შემდგომ ბანკი ვალდებულია დაკვირვებულად და დეტალურად შეამოწმოს მათი შესაბამისობა აკრედიტივის პირობებთან. უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივის სამართალი და საბანკო პრაქტიკა არ ცნობს ბანკის მიერ დოკუმენტების შემოწმებისას დაუდევრობას ან ამ პროცესის უგულვებელყოფას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტები არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი და არ შეესაბამება აკრედიტივის პირობებს ან წარმოდგენილი დოკუმენტები არის ყალბი და ხარვეზიანი. ბანკი აგრეთვე ვალდებულია სწორად და სრულყოფილად მიაწოდოს ინფორმაცია აპლიკანტს, როდესაც დოკუმენტები არ შეესაბამება აკრედიტივის პირობებს. გამხსნელი ბანკი ყურადღებით ისმენს აპლიკანტის მოსაზრებებს და პოზიციებს შეუსაბამო დოკუმენტებთან დაკავშირებით და დეტალურად გადასცემს მას ბენეფიციარს. ბანკი რომელიც, შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, არ დაეკისრება თანხის ანაზღაურების მოთხოვნა შეუსაბამო დოკუმენტების გამო, ხოლო თუ იგი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას UCP-ის მე-16 მუხლის შესაბამისად დაკარგავს შეუსაბამო დოკუმენტების გამო თანხის გადახდაზე უარის თქმის უფლებას.¹²⁷

მოდით განვიხილოთ სხვადასხვა შემთხვევები კონკრეტული გადაწყვეტილებების საფუძველზე. საქმეზე (J.H. Rayner Co Ltd v Hambros Bank Ltd) დოკუმენტური აკრედიტივი ითვალისწინებდა, რომ გადახდა უნდა განხორციელებულიყო ბენეფიციარის მიერ წარდგენილი კომერციული ინვოისის და სატრანსპორტო ზედნადების საფუძველზე, სადაც მითითებული იქნებოდა საქონლის დასახელება (Coromandel

¹²⁷ Ebenezer Adodo, Letters of Credit, The law and practice of Compliance, Oxford University press, oxford, UK, 2014, 149.

groundnuts), მაგრამ გამყიდველმა წარმოადგინა სატრანსპორტო ზედნადები, სადაც საქონლის დასახელებად მითითებული იყო (machine-shelled groundnut kernels), ხოლო კომერციულ ინვოისში კი (Coromandel groundnuts) აკრედიტივის პირობების შესაბამისად. ბანკმა უარი განაცხადა თანხის ბენეფიციარისთვის გადახდაზე, დაადგინა რა საქონლის სახელწოდების შეუსაბამობა სატრანსპორტო კონოსამენტში აკრედიტივის პირობებთან. ბენეფიციარმა ბანკის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი. როგორც აღმოჩნდა ბენეფიციარის მიერ სატრანსპორტო ზედნადებში მითითებული საქონლის სახელწოდება სავაჭრო პრაქტიკაში ყოფილა საქონლის მნიშვნელობის იდენტური, რაც აკრედიტივის პირობებით იყო გათვალისწინებული. სასამართლომ უარყო ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის გადახდაზე, ვინაიდან დარღვეულად ცნო შესაბამისობის დოქტრინა, რაც უმთავრესია აკრედიტივის მექანიზმში, მით უფრო დარღვევას ადგილი ქონდა სატრანსპორტო ზედნადებში. სასამართლომ ასევე გაიზიარა ბანკის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ საერთო ტექნიკურ ტერმინებთან დაკავშირებული ამ საქონლით მოვაჭრე ვაჭრებს შორის წარმოდგენები არა არსებითი იყო ბანკისთვის. მოსამართლემ განმარტა, რომ შეუძლებელია ბანკმა იცოდეს სავაჭრო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესები, ტერმინები და ჩვეულებები. მოსამართლეს განმარტებით ბანკი არ არის ვალდებული ეძიოს კონკრეტული ტერმინის მნიშვნელობა. შესაბამისად მოსამართლე Goddard L.J -იმ განაცხადა „მე ვეწინააღმდეგები იმ აზრს, რომ ბანკებმა უნდა იცოდნენ თავიანთი კლიენტების ვაჭრობის სპეციფიკა“.¹²⁸

აღნიშნული გადაწყვეტილება ნათლად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ბანკები მოქმედებენ არა როგორც ექსპერტები კონკრეტული სავაჭრო საქონლის ტრანზაქციის დროს, არამედ სრული სიზუსტით ამოწმებენ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს მხარეთა აკრედიტივით და სავაჭრო გარიგებით შეთანხმებულ პირობებთან. ბანკირები არიან

¹²⁸ Ebenezer Adodo, *Letters of Credit, The law and practice of Compliance*, Oxford University press, oxford, UK, 2014, 164.

ბანკირები, ისინი არ არიან ექსპერტები ვაჭრობის და კომერციის ყველა სფეროში.¹²⁹ შესაბამისად ბენეფიციარის ინტერესებშია უპირველესად ზუსტად დაიცვას აღნიშნული მოთხოვნები და არ მისცეს ბანკებს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციების ორმაგად აღქმის საშუალება, იმ პირობებშიც კი, როდესაც მის მიერ მითითებული ინფორმაცია შესაძლოა შინაარსობრივად იგივეს ნიშნავდეს.

საქმეზე (Overseas Union Bank Ltd v Chua Teng Hwee) დოკუმენტური აკრედიტივი ითვალისწინებდა კომერციულ ინვოისთან და სატრანსპორტო ზედნადებთან ერთად საქონლის დათვალეირების სერთიფიკატს ორ ეგზემპლარად, გაცემული (Moine Comte Co Ltd, Singapore), რომელიც დაამოწმებდა გემზე ზღვის წყალმცენარეების (tengusa) დატვირთვის ფაქტს და საქონლის ხარისხის აღწერას. გამყიდველმა ყველა სხვა დოკუმენტებთან ერთად წარუდგინა საავიზო ბანკს საქონლის დათვალეირების სერთიფიკატი, თუმცა ბანკის მიერ უარყოფილი იქნა დოკუმენტები შეუსაბამობის გამო, შემდეგი ორი მიზეზით: პირველი სერთიფიკატში არ ეწერა საქონლის სახეობა (tengusa) და მეორე სერთიფიკატი მოიცავდა შემდეგ ჩანაწერს, რომ სერთიფიკატი ეხებოდა მხოლოდ საქონლის წონას და არ ასახავდა საქონლის აღწერილობას და იმას, თუ რა საქონელი იყო მოთავსებული ყუთებში. საავიზო ბანკმა არ ჩათვალა აღნიშნული შეუსაბამობები მნიშვნელოვნად და გადაუხადა თანხა გამყიდველს, ხოლო თავის მხრივ კი მოითხოვა თანხის ანაზღაურება გამხსნელი ბანკისგან. გამხსნელმა ბანკმა კი თავის მხრივ მიიჩნია რომ დარღვეული იყო აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის პრინციპი და თანხის გადახდაზე საავიზო ბანკს უარი განუცხადა. საავიზო ბანკმა საქმე აღძრა გამხსნელი ბანკის წინაშე, თუმცა მოსამართლე Winslow J. - იმ დაადგინა, რომ ორივე შეუსაბამობა იყო შესაბამისობის პრინციპის დარღვევა და არ დააკმაყოფილა საავიზო ბანკის სარჩელი თანხის ანაზღაურებაზე. მოსამართლის მსჯელობა იყო

¹²⁹ Burton V. McCullough, Letters of Credit, LexisNexis, San Francisco, USA, 2007, 4-290.

შემდეგი: პირველ შეუსაბამობასთან დაკავშირებით აშკარა იყო საქონლის სახეობის არ მითითება, შესაბამისად სერთიფიკატი არ იძლეოდა ზუსტ ინფორმაციას საქონელზე, ხოლო რაც შეეხება ჩანაწერს მოსამართლემ განმარტა, რომ საქონლის დათვალიერების სერთიფიკატი გულისხმობს დეტალურ დათვალიერებას მითითებულ საქონლისა, რათა დადგინდეს არის თუ არა საქონელი უსაფრთხოდ და კარგ მდგომარეობაში დატვირთული და შეფუთული, შეესაბამება თუ არა მისი ხარისხობრივი და მათ შორის რაოდენობრივი მაჩვენებლები აკრედიტივის პირობებს. ამ მონაცემებით გაცემული სერთიფიკატი იქნება სრულფასოვანი ინფორმაციის მომცემი და შეასრულებს თავის ფუნქციას. ხოლო ის რაც მოცემულ შემთხვევაში გვაქვს არარელევანტურია აღნიშნულ მონაცემებთან და სერთიფიკატი, რომელიც შეიცავს მონაცემებს მხოლოდ წონაზე, მხოლოდ ხარისხზე ან მხოლოდ წარმოშობაზე ვერ ჩაითვლება სრულყოფილად და არ უდნა იქნას გაზიარებული ბანკების მიერ.¹³⁰

აკრედიტივის პროცესი საკმაოდ კომპლექსური სახისაა და მასში გარდა აპლიკანტის და ბენეფიციარისა ჩართულია სულ მცირე ორი ბანკი - გამხსნელი და საავიზო ბანკები. დოკუმენტების შემოწმების დროს საავიზო ბანკი შეუსაბამობასთან დაკავშირებით უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ბენეფიციარის ან აპლიკანტის მოსაზრებებს, არამედ გამხსნელი ბანკისაც, რომელიც აკრედიტივისთვის გადახდილი თანხის ანაზღაურების პირველი წყაროა. მოცემული გადაწყვეტილება ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბანკები დოკუმენტების შემოწმების დროს მოქმედებენ სხვადასხვანაირად, მათი სუბიექტური შეფასებებიდან გამომდინარე.

საქმეზე (Guaranty Trust Co v Van den Berghs Ltd) მიიღველსა და გამყიდველს შორის დაიდო ხელშეკრულება მანილის ქოქოსის ზეთის შესყიდვაზე. აკრედიტივი სხვა დოკუმენტებთან ერთად ითვალისწინებდა სატრანსპორტო ზედნადების და საქონლის

¹³⁰ Ebenezer Adodo, Letters of Credit, The law and practice of Compliance, Oxford University press, oxford, UK, 2014, 167.

პროდუქციის მითითებით საავიზო ბანკისათვის წარმოშობის დოკუმენტის წარდგენას. ბენეფიციარმა ბანკს წარუდგინა დოკუმენტები და სატრანსპორტო ზედნადებში საქონლის დასახელება ნაცლად მანილის ქოქოსის ზეთისა მითითებული იყო, როგორც ქოქოსის ზეთი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის წარმოშობის სერტიფიკატში უკვე პირდაპირ იყო მითითებული საქონლის დასახელება, როგორც მანილის ქოქოსის ზეთი. საავიზო ბანკმა საქონლის სახელწოდებასთან დაკავშირებით დოკუმენტები შეუსაბამოდ ცნო და უარი უთხრა ბენეფიციარს თანხის გადახდაზე. გამყიდველმა სარჩელი შეიტანა ბანკის წინაშე თანხის არგადახდის გამო. სასამართლომ საქმის გამოკვლევის დროს დაადგინა, რომ საქონლის სახელწოდებაზე აკრედიტივი სატრანსპორტო ზედნადებში დეტალურად არ აკეთებდა მითითებას. მოსამართლე Scrutton L.J - იმ განაცხადა: „წარმოდგენილ დოკუმენტებში შეუსაბამო არის სიტყვა „მანილა“, თუმცა ერთობლიობაში ეს ორი დოკუმენტი ნათლად გამოხატავს საქონლის სრულ სახელწოდებას და შესაბამისად იგი შეესაბამება აკრედიტივის პირობებს“. მეორე მოსამართლეს Sargant L.J.-იც დაეთანხმა პირველ მოსამართლეს და განაცხადა: „იმის მტკიცება, რომ სიტყვა მანილა არ იყო წარმოდგენილი სატრანსპორტო ზედნადებში, ვფიქრობ, საკმარისად გამოსწორებული იყო წარმოშობის სერტიფიკატში, სადაც მითითებული იყო (Manila coco-nut oil).¹³¹

დოკუმენტების ზუსტი შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც ბენეფიციარი წარუდგენს ბანკს ორაზროვანი პირობის დოკუმენტებს, სავაჭრო-საბანკო პრაქტიკიდან გამომდინარე ბანკი ვალდებულია დაადასტუროს დოკუმენტების შესაბამისობა და გადაუხადოს თანხა გამყიდველს, თუ დოკუმენტები ავსებენ ერთმანეთს და რომელთა ერთობლივი შინაარსიც შეესაბამება აკრედიტივის პირობებს.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართალში არ არსებობს იმის ზუსტი განსაზღვრებანი, თუ როგორ უნდა იმოქმედოს და

¹³¹ Ebenezer Adodo, Letters of Credit, The law and practice of Compliance, Oxford University press, oxford, UK, 2014, 169.

შეამოწმოს ბანკმა ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი თითოეული დოკუმენტი. ზუსტი შესატყვისობის პრინციპის არსი გამოიხატება იმაში, რომ ერთის მხრივ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კომერციული აკრედიტივით შეთანხმებულ პირობებს, ხოლო მეორეს მხრივ წარმოდგენილი დოკუმენტები და მათი შემცველი ინფორმაცია უნდა იძლეოდეს აკრედიტივის პროცესში მონაწილე ყველა მხარის დაცვის მექანიზმს.

წინამდებარე ქვეთავში განხილული ზუსტი შესატყვისობის პრინციპი და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო გადაწყვეტილებები, ნათლად მიუთითებს, რომ ყოველი სავაჭრო ტრანზაქცია და მასთან დაკავშირებული აკრედიტივი ინდივიდუალური სპეციფიკისაა, სადაც მნიშვნელოვანია, როგორც ინფორმაციის სიზუსტე ასევე დოკუმენტებიდან გამომდინარე შინაარსიც. ზუსტად ამ ორი კომპონენტის ერთობლიობით უნდა განიხილონ ბანკებმა წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმების პროცესი, რათა ერთის მხრივ უზრუნველყონ აკრედიტივის მექანიზმის ეფექტურად დასრულება და ბენეფიციარისთვის თანხის მიცემა, ხოლო მეორეს მხრივ თავი დაიზღვიონ როგორც ერთმანეთთან ურთიერთობის დროს, ასევე დაიცვან აპლიკანტის ინტერესი სრულად, რომ დროულად მიიღოს შეთანხმებული ხარისხის და რაოდენობის საქონელი.

ნათელია, რომ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება უშუალოდ უკავშირდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტეს. ვფიქრობთ, რომ „ზუსტი შესატყვისობის პრინციპი“ („Doctrine of Strict Compliance“) მის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამიტომაც აღნიშნული პრინციპის დოქტრინული შესწავლა ქართული საბანკო სამართლისთვის უდავოდ საშური და აუცილებელი საქმეა, ვინაიდან ზუსტად მოხდეს აკრედიტივის შინაარსის და არსის გაგება და მათი შემდგომი ასახვა ქართულ კანონმდებლობაში.

3. „ავტონომიის პრინციპი” საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივში - Autonomy/Independence of Letter of Credit

როგორც უკე აღვნიშნეთ, აკრედიტივის ფუნდამენტურ პრინციპებს წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობა და ზუსტი შესაბამისობა. ავტონომიის პრინციპი დოკუმენტური აკრედიტივის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებაა. აკრედიტივის კონტექსტში ავტონომიის პრინციპი გულისხმობს მის დამოუკიდებლობას სხვა ნებისმიერი ურთიერთობისგან, განსაკუთრებით იმ გარიგებისგან, რომელიც დადეს მხარეებმა და რის საფუძველზეც წარმოიშვა აკრედიტივი.¹³² სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარეების მიერ ძირითადი გარიგების პირობების დარღვევა გავლენას ვერ იქონიებს აკრედიტივის შესრულებაზე, რაც თავისთავად უმნიშვნელოვანეს დაცვის გარანტიებს ქმნის მხარეების ინტერესების დასაცავად. საავიზო ბანკი ბენეფიციარის მიერ დოკუმენტების წარდგენის დროს, არ არის ვალდებული და არც ამოწმებს თავად საქონელს, ის მხოლოდ ამოწმებს დოკუმენტების შესაბამისობას აკრედიტივის პირობებში გაწერილ დოკუმენტებთან.

ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე (United City Merchants (investments) Ltd vs Royal Bank of Canada) გადმოცემულია ავტონომიის პრინციპის პასაჟი, სადაც ლორდთა პალატის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „თუ გამყიდველის მიერ საავიზო ბანკისთვის წარდგენილი დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის მოთხოვნებს, ბანკი უპირობოდ ვალდებულია თანხა გადაუხადოს გამყიდველს, მიუხედავად იმისა ბანკი შესაძლოა ხედავდეს გამყიდველის მხრიდან ნასყიდობის პირობების გარკვეულ დარღვევას, როდესაც მყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე არ აპირებს საქონლის მიღებას და მისი ღირებულების გამყიდველისთვის გადახდას“.¹³³

¹³² Charles Chatterjee, Legal Aspects of Trade Finance, London, UK, Routledge-Haines House, 2006, 50

¹³³ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 138.

ავტონომიის და დამოუკიდებლობის პრინციპი აუცილებელი პირობაა დოკუმენტური აკრედიტივს სწორად ფუნქციონირებისთვის. თუ აკრედიტივის საგანი ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულების შესრულებაა, მაშინ აკრედიტივი კარგავს თავის უნიკალურ ფუნქციას და იქცევა გარანტიად.¹³⁴ აკრედიტივის უნიკალური თვისება არის ის ფაქტი, რომ გადახდა მაშინვე განხორციელდება, როგორც კი ბენეფიციარი შეასრულებს და წარადგენს დოკუმენტებთან დაკავშირებულ ვალდებულებას.

ბენეფიციარისთვის თანხის გადახდაზე ბანკის მიერ აღებული ვალდებულება, გამომდინარეობს მხარეებს შორის გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულებიდან. მიუხედავად იმისა გამხსნელმა ან საავიზო ბანკმა იცის თუ არა საქონლის დეფექტის შესახებ, რომელიც დაიტვირთა გადასაზიდად, ან საქონელი შეთანხმებულ ვადაზე გვიან დაიტვირთა ან სხვა რაიმე დარღვევის შესახებ, მაინც უნდა მოახდინოს ანგარიშსწორება ბენეფიციართან თუ წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის პირობებს. აკრედიტივთან დაკავშირებით ავტონომიის პრინციპის შექმნა საერთაშორისო ვაჭრობაში გამყიდველის დაცვას ემსახურება. აღნიშნული დაცვა მდგომარეობს იმაში, რომ იგი მიიღებდა გაყიდული საქონლის ღირებულებას სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემდგომ, მიუხედავად ნებისმიერი დავისა, რომელიც შეიძლება ქონოდა მყიდველთან სავაჭრო ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ასეთი ტრანზაქციის დროს, როდესაც დავა არის სავაჭრო გარიგების საფუძველზე, მყიდველმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი მოქმედებები და არა შეუჩეროს გადახდა გამყიდველს აკრედიტივის საფუძველზე, დამკვიდრებული პრინციპის „პირველ რიგში უნდა გადაიხადოს და შემდგომ ედავოს“ თანახმად.¹³⁵

¹³⁴ Ralph H. Folosm, Michael Wallace Gordon, John A. Spanogle Jr., Peter L. Fitzgerald, International Business Transactions, American Casebook Series, Thomson/West, St. Paul, USA, 2005, 309.

¹³⁵ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 139.

ბანკი, რომელიც გასცემს აკრედიტივს კისრულობს გადახდის ვალდებულებას და მოქმედებს როგორც პრინციპალი(ძირითადი მევალე) და არა როგორც აპლიკანტის აგენტი, რომელიც არ არის მოპასუხე აკრედიტივის დავის ფარგლებში, თუმცა შესაძლოა იყოს მოპასუხე სავაჭრო გარიგებიდან გამომდინარე.¹³⁶ ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ბანკები მოქმედებენ როგორც პრინციპალი აკრედიტივის დამოუკიდებლობის საფუძველზე და ბანკების ვალდებულება გადაუხადონ ბენეფიციარს შესაბამისობის დოკუმენტების სანაცვლოდ არ არის დამოკიდებული მისი კლიენტის(აპლიკანტის) თანხმობაზე.

როდესაც გამყიდველი წარადგენს დოკუმენტებს ბანკში, მყიდველმა შესაძლოა გამოთქვას პრეტენზია, რომ გამყიდველმა სრულად არ შეასრულა მათ შორის გაფორმებული სავაჭრო გარიგება, მაგ.: საქონლის ხარისხი არ შეესაბამება პირობებს და მას აქვს საჩივარი ზარალის ანაზღაურებაზე. თუმცა აკრედიტივის მთავარი წესია, რომ ბანკი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს თანხა, მიუხედავად იმისა, რომ ბანკი საქმის კურსშია მყიდველის პრეტენზიებისა მათ შორის დადებული სავაჭრო გარიგების საფუძველზე. ბანკს არ აქვს უფლება დაეყრდნოს მყიდველის პრეტენზიებს და ამის საფუძველზე უარი უთხრას გამყიდველს თანხის გადახდაზე. ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე (Power Curber International LTD v National Bank of Kuwait Sak) ლორდმა (Denning) განმარტა: „აკრედიტივი არის თამასუქის მსგავსი გაცემული საქონლის ფასის სანაცვლოდ. აკრედიტივი არის ფული, რომელიც უნდა იქნას განაღდებული. არ არსებობს მოსაზრება, რომელიც შეაჩერებს მის გადახდას. თამასუქი გაცემულია მყიდველის მიერ გამყიდველის სასარგებლოდ, ხოლო აკრედიტივი გაცემულია ბანკის მიერ გამყიდველის

¹³⁶ Roy Goode, Herbert Kronke, Ewan Mckendrick, Transnational Commercial Law, Text, Cases and Materials, oxford university press, New York, USA, 2007, 368.

სასარგებლოდ, იმ განზრახვით, რომ ვერანაირი კონტრ-პრეტენზია ვერ შეაჩერებს მის აღსრულებას¹³⁷.

დამოუკიდებლობის პრინციპი ავალდებულებს აკრედიტივს პირდაპირ მოემსახუროს მის კომერციულ მიზნებს. აკრედიტივის დადასტურება ხელს აძლევს გამყიდველს გაათავისუფლოს საქონელი მისი მფლობელობიდან, იმის იმედით, რომ მიიღებს მის ღირებულებას, მიუხედავად იმისა უარს იტყვის თუ არა მყიდველი თანხის გადახდაზე. მეორეს მხრივ მყიდველსაც ეცოდინება, რომ თანხის გადახდა მოხდება მას შემდეგ რაც დადასტურდება გამყიდველისგან ტვირთის გამოგზავნა. გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტივი საერთაშორისო ვაჭრობას ემსახურება, სხვადასხვა ქვეყნების სასამართლოები წუხდნენ, რომ არ არსებობდა ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა. შესაბამისად ავტონომიის პრინციპი აღიარებული იქნა ინგლისში, ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში.¹³⁸

UCP-ის მე-4 მუხლი ნათლად აყალიბებს ავტონომიის პრინციპს სადაც განსაზღვრავს, რომ აკრედიტივი თავისი ბუნებით დამოუკიდებელი ტრანზაქციაა ყიდვა-გაყიდვის ან სხვა ხელშეკრულებისგან. გამომდინარე აქედან ბანკი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია განახორციელოს თანხის გადახდა ბენეფიციარისთვის, თუ ამ უკანსკნელმა დოკუმენტები სრულყოფილად წარადგინა.

საერთაშორისო პრაქტიკაში ავტონომიის პრინციპთან დაკავშირებით არსებობს დისკუსია, კერძოდ: თუ ბენეფიციარის მიერ დაფიქსირდა თაღლითობის ფაქტი (FRAUD) და საავიზო ბანკმა შემოწმების დროს ვერ აღმოაჩინა დოკუმენტების სიყალბე, დაადასტურა ისინი და ანგარიშსწორება განახორციელა ბენეფიციართან. თავის მხრივ გამხსნელმა ბანკმაც აკრედიტივის თანხა მიიღო მყიდველისგან, ხოლო

¹³⁷ Nelson Enonchong, *The Independence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees*, Oxford University Press, oxford, UK, 2011, 72.

¹³⁸ Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015, 494.

გამყიდველმა საქონელი ნაკლული გაუზავნა მყიდველს ან საერთოდ არ გაუზავნა, ბუნებრივია ამ შემთხვევაში მყიდველს გაუჩნდება პრეტენზიები გამყიდველთან. თუმცა (UCP)-ის მე-4 მუხლი ამბობს, რომ გამხსნელი ბანკის მიერ აკრედიტის გადახდაზე აღებულ ვალდებულებაზე არ მოქმედებს მყიდველის პრეტენზიები გამყიდველთან დაკავშირებით¹³⁹. ბუნებრივია თუ გამყიდველი თაღლითობს მყიდველის მიმართ, მყიდველს ექნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე, მაგრამ ბანკის აღებულ ვალდებულებაზე ვერ მოახდენს გავლენა მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობა.

მრავალი მეცნიერის აზრით UCP-ი ამ საკითხში ხარვეზიანია, ვინაიდან არ არეგულირბს თაღლითობის შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც ცუდ მდგომარეობაში აყენებს მყიდველს. უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში, აკრედიტის გამოყენების შიდა რეგულაციებთან ერთად აღნიშნული საკითხიც დარეგულირებულია. აღსანიშნავია, რომ ამერიკის (UCC-Uniformed Comercial Code) არეგულირებს აღნიშნულ საკითხს და აძლევს ბანკებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, არ აწარმოონ ანგარიშსწორება აკრედიტის საფუძველზე, როდესაც დოკუმენტების თაღლითობას აშკარა სახე აქვს¹⁴⁰. UCP-ისთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ UCP ეგიდით მიზანმიმართულად აარიდა თავი აღნიშნული საკითხის დარეგულირებას და საკითხის გადაწყვეტა დაუტოვა ქვეყნებს მათი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთაშორისო პრაქტიკაში ამგვარი შემთხვევების სიმრავლემ, სასამართლო აიძულა და სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრდა, რომ გამონაკლისი დაეშვათ თაღლითობასთან დაკავშირებით ასეთი

¹³⁹ Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 299.

¹⁴⁰ Jan Dalhuisen, Dalhuisen on International Commercial, Fiancianl and Trade Law, USA, Portland, Oregon, 2004, 473.

შემთხვევების გამოვლენის დროს, ავტონომიის პრინციპის იგნორირებით ბანკებს მიეცათ უფლება აღარ ეწარმოებინათ ანგარიშსწორება გამყიდველებთან.

Fraud exception - გაყალბების/თაღლითობის გამონაკლისი

Fraud rule - თაღლითობის წესი აკრედიტივის ურთიერთობებში განსაკუთრებული წესია, რადგანაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება მის დამოუკიდებელ ბუნებას¹⁴¹. აკრედიტივის საერთაშორისო მარეგულირებელი აქტები და მათ შორის UCP-ი მკაფიოდ არ განსაზღვრავს თაღლითობის დროს მხარეების უფლება-მოვალეობებს, თუმცა იგი აძლევს უფლებას გამხსნელ ბანკს ან სასამართლოს, რომ შეისწავლოს ფაქტები და შეაჩეროს თანხის გადახდა ბენეფიციარისთვის. ძირითადად დოკუმენტების გაყალბების საკითხები რეგულირდება ქვეყნების შიდა კანონმდებლობით. მაგ.: ბრიტანეთში, ავსტრალიასა და სინგაპურში თაღლითობასთან დაკავშირებული საკითხები პრეცედენტული სამართლით რეგულირდება, მაშინ როდესაც აშშ-ი რეგულირებულია ერთიანი სავაჭრო კოდექსით.¹⁴² თაღლითობასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა და პრობლემა შესაძლოა გაჩნდეს, ვინაიდან აკრედიტივის მარეგულირებელ საერთაშორისო სამართალში სადავო საკითხია, თუ როგორ განვსაზღვროთ თაღლითობის ის ფორმა, როდესაც არგადახდის გამონაკლისი მოქმედებს, როგორ იმოქმედებს თაღლითობა და მის საფუძველზე თანხის არგადახდა მხარეების უფლება-მოვალეობებზე, თაღლითობის მტკიცების ტვირთი ან თაღლითობის ცოდნის ხარისხი ბანკების მიერ.

თვალსაჩინოებისთვის უმჯობესია საკითხი განვიხილოთ კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებმაც სათავე დაუდეს აღნიშნულ გამონაკლისს. უმნიშვნელოვანესი

¹⁴¹ Xiang Gao, *The Fraud Rule in the Law of Letter of Credit*, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002, 29.

¹⁴² Peter Ellinger, *Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit*, hart publishing, Portland, USA, 2010, 139.

გადაწყვეტილება (English case of United City Merchants v Royal Bank of Canada) 1975 წლის ოქტომბერში, (Glass Fibres and Equipment LTD) გამყიდველმა ინგლისურმა კომპანიამ დადო ხელშეკრულება პერუს კომპანიასთან (Vitrorefuerzos SA მყიდველი) ბოჭკოვანი მინის დამამზადებელი მოწყობილობის შეძენის თაობაზე. გადახდა უნდა განხორციელებულიყო გამოუხმობადი აკრედიტივით გაცემული (Banco Continental SA) პერუს ბანკის მიერ და დადასტურებული (Royal Bank of Canada) -ს მიერ. გამყიდველებმა აკრედიტივის პირობებიდან გამომდინარე გადამზიდავს დაავალეს (United City Merchants გადამზიდავი), რომ საქონლის გადაზიდვა განხორციელებინათ ლონდონიდან კალაომდე არაუგვიანეს 1976 წლის 15 დეკემბრამდე. გამყიდველმა დროულად დაამზადა მოწყობილობები და მიუტანა გადამზიდავს საწყობში ტვირთი გადასაზიდად და გადამზიდავის პასუხისმგებელ თანამშრომელს (Baker) დაავალა და აცნობა აკრედიტივით გამოსაწერი სატრანსპორტო ზედნადების დეტალები. მიუხედავად აკრედიტივით შეთანხმებული პირობისა, საქონელი გადასაზიდად დაიტვირთა 16 დეკემბერს და არა 15 დეკემბერს. როდესაც გამყიდველმა თანხის მისაღებად საავიზო ბანკში წარადგინა დოკუმენტაცია, ბანკმა თანხის გადახდაზე უარი განაცხადა, იმ საფუძველით, რომ: წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმებით, ბანკმა აღმოაჩინა, რომ გადაზიდვა არ დაწყებულა 15 დეკემბერს, როგორც ეს ეწერა სატრანსპორტო ზედნადებში და ასევე ატარებდა ჩანაწერს, რომ ტვირთი უკვე იყო ბორტზე (goods were on board the American Accord). ფაქტი იყო ის, რომ გადამზიდავის თანამშრომელმა (Baker)-მა მოტყუებით შეცვალა თარიღი სატრანსპორტო ზედნადებში და ნაცვლად რეალური გადაზიდვის თარიღისა 16 დეკემბერი, დააწერა აკრედიტივით გათვალისწინებული თარიღი 15 დეკემბერი, ისე რომ არ გააფრთხილა გამყიდველი. გამყიდველებმა აღძრეს საქმე საავიზო ბანკის წინაშე თანხის არგადახდის გამო, თუმცა დაცვის მხარემ წარუდგინა სასამართლოს მტკიცებულება, რომ დოკუმენტები იყო გაყალბებული და გადაზიდვის

თარიღის დოკუმენტები არ შეესაბამებოდა რეალურ გადაზიდვის დაწყების თარიღს.¹⁴³

აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს ქვაკუთხედს, რომელმაც ავტონომიის პრინციპთან და თაღლითობის გამონაკლისთან დაკავშირებით ბევრი ფუძემდებლური პრაქტიკა დაამკვიდრა, რაც შემდგომ გავრცელდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში და ასახვა პოვა საერთაშორისო ნორმებში. მოსამართლე Lord Diplock-მა, რომელმაც გამოიტანა აღნიშნული გადაწყვეტილება, ავტონომიის პრინციპთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: „მოსამართლე ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებლობის დოქტრინასთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი, როდესაც გამყიდველი წარუდგენს ბანკს ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მისი თანამონაწილეობით და ქმედებით შეიცავს ისეთ ინფორმაციას და უზუსტობებს, რომელიც მისი შეგნებით და ცოდნით არ შეესაბამება სინამდვილეს“.¹⁴⁴ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დოკუმენტების გაყალბება გადამზიდვის წარმომადგენლის მხრიდან, წარმოადგენდა გამონაკლისს ბანკისთვის თანხის არ გადახდის თაობაზე, თუმცა ლორდთა პალატა აღნიშნულს არ დაეთანხმა. მოსამართლე (Lord Diplock)-ის აზრით, ამ შემთხვევაში თაღლითობის გამონაკლისი არ იმოქმედებდა, ვინაიდან გამყიდველმა არ იცოდა დოკუმენტში უზუსტობის თაობაზე, რომელიც გადამზიდვის წარმომადგენლის მიერ იყო შედგენილი და ჯეროდა, რომ საქონელი დაიტვირთა ზუსტად იმ ვადებში, როგორც აკრედიტივით იყო შეთანხმებული. იგი გამოვიდა პრინციპიდან (*ex turpi causa non oritur actio*)¹⁴⁵, სადაც არაკეთილსინდისიერი გამყიდველი იქნება დაცული ავტონომიის პრინციპის საუბველზე და არ იმოქმედებს ამ შემთხვევაში

¹⁴³ Xiang Gao, *The Fraud Rule in the Law of Letter of Credit*, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002, 122.

¹⁴⁴ Peter Ellinger, *Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit*, hart publishing, Portland, USA, 2010, 140-141.

¹⁴⁵ https://en.wikipedia.org/wiki/Ex_turpi_causa_non_oritur_actio,

თაღლითობის გამონაკლისი, ვინაიდან ეს გამოწვეული იყო მესამე პირის ბრალეულობით.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ დაადგინა, თუ რა შეიძლება იყოს არამატერიალური/არამნიშვნელობის მქონე დარღვევა დოკუმენტებში. აღნიშნული საქმით ნათლად ჩანს, რომ რეალური გადაზიდვის დაწყების თარიღის უზუსტობის გამო, ბანკი არ უხდიდა გამყიდველს თანხას, თუმცა როგორც სასამართლომ დაადგინა, რიგ შემთხვევებში შესაძლოა შეუსაბამოები იყოს უმნიშვნელო, რომელიც არ იმოქმედებს თაღლითობის გამონაკლისზე. ასეთ დროს უზუსტობები ვერ გაათავისუფლებს საავიზო და გამხსნელ ბანკს თანხის გადახდის ვალდებულებისგან. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც დოკუმენტებში უზუსტობებს აქვს ადგილი, მაგრამ არსებული რეალობა მეტ-ნაკლებად მაინც ექცევა აკრედიტივის პირობებში და არსებითად არ არღვევს მას, მაგ.: როდესაც დოკუმენტური აკრედიტივი განსაზღვრავს მაქსიმალურ წონას ან გადაზიდვის დაწყების პერიოდს. აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ თაღლითობის გამონაკლისი იმოქმედებს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველმა გააყალბა წარსადგენი დოკუმენტაცია, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას არ გაუყალბებია, თუმცა წარდგენის დროს იცოდა, რომ დოკუმენტებში მითითებული იყო მცდარი ინფორმაცია.¹⁴⁶ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ საქმეში, გამყიდველმა არ იცოდა დოკუმენტებში არსებული მცდარი ინფორმაციის შესახებ, რომელიც როგორც ავღნიშნეთ ვერ იქნება თაღლითობის გამონაკლისის ასამოქმედებლად საკმარისი.

აქ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თაღლითობის ცოდნის ხარისხი გამყიდველის მიერ დოკუმენტების წარდგენის დროს. გაყალბების ფაქტის არ გამჟღავნებით სასამართლო ადგენს, რომ გამყიდველმა იცოდა სიყალბის შესახებ. აღნიშნულ საქმეში საქმე განსახილველად გადაეცა სასამართლოს, იმიტომ რომ საავიზო ბანკმა უარი განუცხადა ბენეფიციარს

¹⁴⁶ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 142.

თანხის გადახდაზე მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარმა წარადგინა დოკუმენტაცია. შემთხვევები, როდესაც ბანკები უარს ამბობენ თანხის გადახდაზე თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში ძალიან იშვიათია¹⁴⁷. ბანკები, როგორც წესი არ იღებენ თავის თავზე პასუხისმგებლობას, რომ თაღლითობის გამო უარი თქვან გამყიდველისათვის თანხის გადახდაზე. თაღლითობაზე აპელირებით და თანხის გადახდაზე უარის თქმის მოთხოვნით ძირითადად აპლიკანტები მიმართავენ ბანკს. ამ შემთხვევაშიც თუ გამხსნელი ან საავიზო ბანკი არ არიან დარწმუნებულები თაღლითობის საფუძვლებში, ისინი დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე მაინც ახდენენ ანგარიშსწორებას ბენეფიციართან, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სასამართლო მიუთითებს თანხის არგადახდისკენ.

თანხის გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია ამტკიცოს მისი გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილებები ნათლად განმარტავს, რომ იმისათვის რათა უგულვებელყოფილი იქნას ავტონომიის პრინციპი, ამისათვის უნდა არსებობდეს უტყუარი გარემოება ბენეფიციარის მიერ თაღლითობის ჩადენისა და ამის შესახებ ბანკის ცოდნისა. აქედან გამომდინარე თანხის გადახდაზე უარის თქმის დროს ბანკი ვალდებულია ამტკიცოს სასამართლოზე ბენეფიციარის მიერ თაღლითობის ჩადენის ფაქტები, რის საფუძველზეც უგულვებელყო დამოუკიდებლობის პრინციპი და არ გადაუხადა გამყიდველს აკრედიტივით განსაზღვრული თანხა.

ე.წ Sztejn-ი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას აკრედიტივთან დაკავშირებულ თაღლითობის სამართლებრივ რეგულირებაში. იგი კოდიფიცირებული იქნა აშშ-ს ერთიან სავაჭრო კოდექსში და ასევე განვითარებული ქვეყნების თითქმის ყველა შიდა კანონმდებლობაში¹⁴⁸. ფაქტები: (Sztejn მყიდველი) ხელშეკრულება

¹⁴⁷ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 145.

¹⁴⁸ Xiang Gao, The Fraud Rule in the Law of Letter of Credit, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002, 39.

გააფორმა ინდურ კომპანიასთან (Transeal Traders LTD გამყიდველი) ჯაგარის (bristles) შეძენის თაობაზე. საქონლის ღირებულების გადასახდელად მყიდველმა დაავალა (Schroder) გამხსნელ ბანკს, რომ გაეხსნა დოკუმენტური აკრედიტივი გამყიდველის სასარგებლოდ. გამყიდველმა დატვირთა გადამზიდავის გემზე 50 ყუთი საქონელი, მიიღო გადამზიდავისგან აკრედიტივით გათვალისწინებული დოკუმენტები და წარუდგინა დასახელებულ ბანკს (Chartered Bank) თანხის მისაღებად, რომელმაც თავის მხრივ გადაუგზავნა დოკუმენტები გამხსნელ ბანკს აკრედიტივით განსაზღვრული თანხის გადასახდელად. გადახდამდე, მყიდველმა შეიტანა სარჩელი აკრედიტივის და წარდგენილი დოკუმენტების გაუქმებაზე, რათა თავიდან აერიდებინა გამხსნელი ბანკისთვის თანხის გადახდა. მყიდველმა შეიტყო, რომ გამყიდველმა შეთანხმებული საქონლის ნაცვლად ყუთებში ჩაალაგა პროხის ბეწვი და სხვა საქონელი, რათა მოეტყუებინა მყიდველი და სიმულირება მოეხდინა რეალური საქონლის გამოგზავნის. ამასთან ერთად მყიდველი ამტკიცებდა, რომ დასახელებული ბანკი არ იყო დოკუმენტების მფლობელი და იგი არ მოქმედებდა, როგორც საავიზო ბანკი, თუმცა დასახელებული ბანკი აღნიშნულს არ ეთანხმებოდა და ამტკიცებდა, რომ გამყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამებოდნენ აკრედიტივის პირობებს.

(Supreme Court of New York County) მოსამართლე shientag J-მა დაადგინა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შეესაბამებოდა რეალობას, ვინაიდან გამყიდველი წინასწარი შეცნობით მონაწილეობდა თაღლითურ სქემაში, გადაზიდვისთვის დატვირთული საქონელი იყო ნაგავი და დასახელებული ბანკი არ იყო დოკუმენტების კეთილსინდისიერი მფლობელი. სასამართლომ უარყო დასახელებული ბანკის არგუმენტი და გადაწყვიტა დავა მყიდველის სასარგებლოდ აკრედიტივის საფუძველზე თანხის არგადახდის თაობაზე თაღლითობის გამონაკლისის გათვალისწინებით. მოსამართლემ შემდეგი მსჯელობით ჩამოაყალიბა გადაწყვეტილება: „დამოუკიდებლობის დოქტრინიდან გამომდინარე,

მოცემულ საქმეზე დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის მოთხოვნებს და შესაბამისად თანხა უნდა იქნას გადახდილი გამყიდველზე, მიუხედავად სხვა სადავო ფაქტორებისა რაც შეიძლება არსებობდეს მყიდველსა და გამყიდველს შორის. აკრედიტივით ანგარიშსწორების დროს ამ წესის დაცვა არის აუცილებელი, რათა შევინარჩუნოთ აკრედიტივის მექანიზმის ეფექტურობა, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ერთ-ერთი მთავარი და უსაფრთხო ფორმისა. თუმცა, განსახილველ საქმეზე ვფიქრობ, სხვა მოცემულობა გვაქვს. ეს არ არის უთანხმოება გამყიდველს და მყიდველს შორის დაკავშირებული საქონლის გარანტიის ან ხარისხის პრობემების დარღვევასთან. აღნიშნულ ვითარებაში გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ გამყიდველმა მიზანმიმართულად არ დაუტვირთა მყიდველს შეთანხმებული საქონელი. ასეთ ვითარებაში, როდესაც ბანკისათვის თანხის გადახდამდე ცნობილი გახდა თაღლითობის ფაქტის შესახებ, დამოუკიდებლობის პრინციპი, რომელიც ავალდებულებს ბანკს თანხის გადახდას, არ უნდა იქნას გამოყენებული რათა დაცული იქნას არაკეთილსინდისიერი გამყიდველი“.¹⁴⁹

მოსამართლემ აღნიშნული მსჯელობით, არამართო უარყო ბენეფიციარის თაღლითური ფაქტი და დაიცვა მყიდველის ინტერესები, არამედ ამასთანავე დაიცვა გადახდის პროცესში ჩართული გამხსნელი ბანკის ინტერესიც. სატრანსპორტო ზედნადები, აკრედიტივის ბუნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა წარედგინოს ბანკს და არა მყიდველს. ბანკს არ აინტერესებს მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულება, მაგრამ აინტერესებს მხარეთა შორის შეთანხმებული საქონლის არსებობა. შესაბამისად საქონლის თაღლითობის შემთხვევაში, ბანკი მიუხედავად დამოუკიდებლობის პრინციპისა არაა ვალდებული გამყიდველისთვის თანხის გადახდაზე.

¹⁴⁹ Xiang Gao, *The Fraud Rule in the Law of Letter of Credit*, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002, 40.

Sztejn-ი დაეყრდნო აკრედიტივის საერთაშორისო სამართალს და არა სახელშეკრულებო სამართალს.¹⁵⁰ ეს იყო პირველი გადაწყვეტილება, რომელმაც ჩამოაყალიბა სამი მნიშვნელოვანი პრინციპი თაღლითობის გამონაკლისთან დაკავშირებით: პირველი, აკრედიტივის საფუძველზე გადახდა შეიძლება შეჩერებული იყოს მხოლოდ თაღლითობის შემთხვევაში. მეორე, გადახდა აკრედიტივის საფუძველზე შეიძლება შეჩერებული იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც თაღლითობა განხორციელებულია და დადასტურებული. მესამე, გადახდა უნდა განხორციელდეს აკრედიტივის პირობების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არსებობს დადასტურებული თაღლითობა, თუ გადახდის მოთხოვნა განხორციელებულია უფლებამოსილი მომთხოვნის მიერ ან პირის მიერ, რომელიც ანალოგიურ სტატუსით მოქმედებს.

მოთხოვნა რათა გაცემული იქნას აკრედიტივები სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველსაყოფად არის მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო ვაჭრობაში. ეს ინსტრუმენტი სარგებლობს უდიდეს პოპულარობით როგორც იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის, ასევე ბანკირებს შორის, რომლებიც პერმანენტულად ამუშავენ წარდგენილ დოკუმენტებს, რათა დააკმაყოფილონ ბაზრების მოთხოვნა. ამ ინსტრუმენტის პოპულარობის შენარჩუნება დამოკიდებულია მეტწილად სასამართლო პრაქტიკაზე და მათ სურვილზე, რათა აკრედიტივმა გამართულად იფუნქციონეროს.¹⁵¹ ეს გამოიხატა თუნდაც სასამართლოების პირდაპირი ჩარევით თაღლითობის გამონაკლისთან დაკავშირებით, რომელიც დამკვიდრებული იქნა ინგლისური სასამართლოების მიერ. მათ რომ ასე არ გაეკეთებინათ, ინსტრუმენტი დაკარგავდა თავის კომერციულ ეფექტურობას.

¹⁵⁰ Xiang Gao, *The Fraud Rule in the Law of Letter of Credit*, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002, 42.

¹⁵¹ Andrew Haynes, *The Law Relating to International Banking*, Bloomsbury Professional, Great Britain, 2010, 298.

აკრედიტივის დოკუმენტური ხასიათიდან გამომდინარე მხარეებს კავშირი აქვთ მხოლოდ დოკუმენტებთან და არა თავად საქონელთან ან მომსახურებასთან. დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის პირობებს, გამხსნელი ან საავიზო ბანკი ვალდებულია გადაუხადოს ბენეფიციარს თანხა, მიუხედავად იმ პრეტენზიებისა, რომელიც შესაძლებელია ქონდეთ მხარეებს სავაჭრო გარიგებიდან გამომდინარე. ეს დოქტრინა სავაჭრო ურთიერთობებისათვის სასარგებლოა და ხელს უწყობს აკრედიტივის, როგორც მექანიზმის ეფექტურობას. თუმცა ამ პრინციპმა რიგ შემთხვევებში შესაძლოა გამოიწვიოს მძიმე შედეგები. ბენეფიციარი არ არის ვალდებული აჩვენოს ბანკს, რომ მან სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი ვალდებულებები, ბენეფიციარი ვალდებულია წარუდგინოს ბანკს აკრედიტით გათვალისწინებული დოკუმენტები. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი დოკუმენტები ბენეფიციარის მიერ აღმოჩნდება გაყალბებული, მაშინ აკრედიტივის, როგორც დამცავი მექანიზმის ფუნქცია კარგავს აზრს, ვინაიდან ზარალდება, როგორც ბანკი, ასევე მყიდველი. საერთაშორისო აკრედიტივი ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ხარვეზიანი, რაც ხელს აძლევთ არაკეთილსინდისიერ ბენეფიციარებს ისარგებლონ აღნიშნული ხარვეზით.

ავტონომიის პრინციპი, როგორც დოკუმენტური აკრედიტივის უმნიშვნელოვანესი ასპექტი მნიშვნელოვანწილად განმსაზღვრელია იმ ფაქტორისა, რომ მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობაში კომერციული აკრედიტივი ჩამოყალიბდა ყველაზე უსაფრთხო ანგარიშსწორების ფორმად. მიუხედავად ამისა, სამართლებრივად აკრედიტივი იწყება გამყიდველს და მყიდველს შორის სავაჭრო გარიგების დადებით და მხარეთა შეთანხმებით ტრანზაქციაში მისი გამოყენებით, აღნიშნული პრინციპი მეტ სანდოობას მატებს აკრედიტივს, როგორც დამოუკიდებელ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც ყველაზე გავრცელებული ანგარიშსწორების ფორმაა საერთაშორისო ვაჭრობაში.

უნდა აღნიშნოს, რომ ავტონომიის პრინციპში თაღლითობის გამონაკლისი გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ამ პრინციპის შინაარსთან და მიზანთან, თუმცა ღირებულ დამცავ მექანიზმს წარმოადგენს გამყიდველისთვის და ბანკებისთვის. გამყიდველის მხრიდან თაღლითობას ორი ტიპის გამოვლინება ახასიათებს: ერთი როდესაც ადგილი გვაქვს დოკუმენტების გაყალბებასთან და მეორე, როდესაც ადგილი გვაქვს საქონელთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებთან. ორივე შემთხვევა იწვევს უარყოფით შედეგებს მყიდველისთვის და რიგ შემთხვევებში ბანკებისთვისაც და რაც მთავარია დიდ ზიანს აყენებს კომერციული კრედიტის სანდოობას. კლასიკური მაგალითია, როდესაც გამყიდველი შეთანხმებული ფორმით წარადგენს დოკუმენტებს და მიიღებს მის საფუძველზე ბანკისგან თანხას, ხოლო მყიდველი კი შეთანხმებული საქონლის ნაცვლად ღებულობს სხვა საქონელს ან არაფერს. წარდგენილი დოკუმენტების გაყალბება სერიოზულ საფრთხეს უქმნის აკრედიტივს, როგორც კომერციულ მექანიზმს და არღვევს ბალანს მხარეებს შორის რისკების გადანაწილებისა.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის შესწავლისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია „ავტონომიის პრინციპი“. აღნიშნული გულისხმობს მის დამოუკიდებლობას სხვა ნებისმიერი ურთიერთობისგან, განსაკუთრებით იმ გარიგებისგან, რომელიც დადეს მხარეებმა და რის საფუძველზეც წარმოიშვა აკრედიტივი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მხარეების მიერ ძირითადი გარიგების პირობების დარღვევა გავლენას ვერ იქონიებს აკრედიტივს შესრულებაზე, რაც თავისთავად უმნიშვნელოვანეს დაცვის გარანტიებს ქმნის მხარეების ინტერესების დასაცავად. ეს კი დოკუმენტური აკრედიტივის არააქცესორულ ბუნებაზე მიგვანიშნებს და სწორედ ამ ნაწილში უახლოვდება ის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. უდავოა, რომ სწორედ დოკუმენტური აკრედიტივის არააქცესორულობა განაპირობებს მის სიახლოვეს საბანკო გარანტიასთან და მხარეებისათვის მიმზიდველს ხდის ანგარიშწორების ამ ფორმის გამოყენებას. თუმცა

საქართველოში საბანკო გარანტიისგან განსხვავებით, აკრედიტივითან დაკავშირებით საკმაოდ მწირი რეგულირება გაგვაჩნია, სადაც არ არის ასახული მისი ძირეული დამოუკიდებლობის პრინციპის არსი.

თავი III. საერთაშორისო ვაჭრობაში დოკუმენტური აკრედიტივის ტრანზაქციის სპეციფიკა

1. საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციის არსი

როგორც ცნობილია, საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივების გამოყენების ძირითადი არეალი საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებშია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ აკრედიტივის სამართლებრივი ბუნების შესწავლისას უმნიშვნელოვანესია თავად საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების სპეციფიკის შესწავლა, როდესაც ანგარიშსწორების ფორმად განსაზღვრულია დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება.

მთავარი განსხვავება ლოკალურ და საერთაშორისო გარიგებას შორის მდგომარეობს შემდეგში, რომ ლოკალური სავაჭრო გარიგება იდება ერთი ქვეყნის შიგნით არსებულ რეზიდენტ პირებს შორის, მაშინ როდესაც საერთაშორისო ტრანზაქციის მხარეებად წარმოგვიდგება სხვადასხვა ქვეყნის პირები, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა ქვეყნების იურისდიქციებში.

საერთაშორისო ვაჭრობის უმთავრესი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი არის გაეროს ვენის კონვენცია საერთაშორისო საქონლის ვაჭრობაზე (United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, signed in Vienna in 1980). საქართველო სხვა 79 ქვეყანასთან ერთად არის აღნიშნული კონვენციის ხელმომწერი. წევრ სახელმწიფოებს ეწოდებათ „Contracting States” - ხელშემკვერელი მხარეები. საერთაშორისო სავაჭრო გარიგებები დადებული ხელშემკვერელი ქვეყნების მხარეებს შორის რეგულირდება ვენის კონვენციით, თუ მხარეებს შორის სხვა რამ არის შეთანხმებული. CISG-ი არ მოიცავს მხარეთა მიერ სპეციალურ წესებს ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმების

შემუშავებაზე. ხელშეკრულების ფორმირება დამოკიდებულია ოფერტი-აქცეპტის წესებზე¹⁵².

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში, სივრცე და დრო მყიდველსა და გამყიდველს შორის განუზომლად ფართოა. შესაბამისად სავაჭრო ურთიერთობები მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული და სამომავლო მოთხოვნები არასოდეს არ არის ცნობილი¹⁵³. საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქცია კომპლექსური ხასიათის ურთიერთობაა და მრავალი საკითხისგან შედგება. მხარეები ამ შემთხვევაში დიდი მანძილით არიან ერთმანეთისგან დაშორებულები და სხვადასხვა ინტერესები გააჩნიათ. საერთაშორისო სავაჭრო სამართალი იძლევა ამ კითხვებზე პასუხს, როგორც ლოკალური სამართალი, როდესაც მხარეებს რიგი საკითხები არ აქვთ შეთანხმებული და დარეგულირებული.¹⁵⁴ საერთაშორისო სავაჭრო გარიგება შეგვიძლია დავყოთ სამ მნიშვნელოვან ნაწილად: 1) საქონელი (მისი ხარისხი და რაოდენობა); 2) გადახდის მეთოდი და პირობები; 3) ბიზნეს მოდელები, რომლის სახელითაც ხორციელდება ბიზნეს ტრანზაქცია. მოდით განვიხილოთ სამივე ცალ-ცალკე:

საქონელი: საერთაშორისო სავაჭრო საქონელი შეგვიძლია ასევე დავყოთ ორ კატეგორიად: საბითუმო საქონელი, რომლის შესყიდვა ხდება დიდი რაოდენობებით და პარტიებად. ასეთი ტიპის საქონლისთვის როგორც წესი გამოიყენება სარკინიგზო ან საზღვაო გადაზიდვის სახეობები, თუმცა შესაძლებელია შერეული გადაზიდვაც იქნას გამოყენებული. საბითუმო საქონლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ნავთობის ნედლეულია, რომლის შესყიდვაც დიდი ოდენობით ხდება. მეორე ტიპის საქონელს წარმოადგენს საქონელი, რომლის სპეციფიკაციების და რაოდენობის იდენტიფიცირება შესაძლებელია

¹⁵² Larry A. DiMatteo, *International Sales Law*, Cambridge university press, New Yourk, USA, 2014, 204.

¹⁵³ N. Orkun Akseli, *Availability of Credit and Secured Transactions in a time of crisis*, Cambridge university press, Cambridge, UK, 2013, 11.

¹⁵⁴ Martin Davies, David V.Snyder, *International Transaction in Goods*, USA, Oxford University Press, 2014, 2.

ხელშეკრულების დადების მომენტში, რომელიც არ არის დიდი მოცულობის და როგორც წესი ერთი შესყიდვით ხასიათდება, მაგ.: ნახატი ან მანქანა.

გადახდა: საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებაში მყიდველმა უნდა გადაუხადოს გამყიდველს საქონლის ფასი. გადახდის ვალდებულება მოიცავს სამ ელემენტს: 1. ფასის განსაზღვრას; 2. გადახდის ადგილს; 3. გადახდის დროს¹⁵⁵.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ძირითადად გამოიყოფა გადახდის სამი ტიპი: პირველი და ყველაზე მარტივი გადახდის ფორმა არის გაყიდვები კრედიტში (trade credit), როდესაც გამყიდველი უგზავნის ინვოისს მყიდველს და მყიდველი ინვოისის და საქონლის მიღებიდან გარკვეულ პერიოდში უხდის თანხას გამყიდველს. ასეთი ტიპის გადახდის ფორმა გამოიყენება ლოკალურ ტრანზაქციებზე, როდესაც მხარეები მეტნაკლებად იცნობენ ერთმანეთს, გააჩნიათ ერთმანეთის ნდობა და მარტივად ხელმისაწვდომები არიან ერთმანეთისთვის ქვეყნის შიგნით. ამ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ გამყიდველი გარკვეულ რისკს ატარებს, მაგრამ თანამედროვე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბიზნესს ყოველთვის სურს იყოს იქ, სადაც რისკი ნაკლებია¹⁵⁶.

მეორე ტიპის გადახდების ფორმა არის ელექტრონული გადარიცხვა (electronic funds transfer), გადახდის პირდაპირი გზა. აღნიშნული გულისხმობს, რომ მყიდველი დავალებას აძლევს თავის მომსახურე ბანკს თანხა მოხსნას მისი ანგარიშიდან და გადადოს გამყიდველის ბანკში მის ანგარიშზე. ელექტრონული გადარიცხვის მექანიზმი საერთაშორისო ვაჭრობაში სხვადასხვანაირია, თუმცა მათგან ყველაზე გავრცელებულია SWIFT-ი და დოლარის შემთხვევაში CHIPS New York-ი.

¹⁵⁵ Hans van Houtte, FCI Arb, The Law of International Trade, Sweet & Maxwell, London, Great Britain, 2002, 163

¹⁵⁶ Martin Davies, David V. Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 4.

გადახდები ასევე ქმნის პრობლემას თანხის კურსთან და ვალუტასთან დაკავშირებით. გამყიდველს როგორც წესი უნდა თანხები მისი ქვეყნის ადგილსამყოფელის ვალუტაში, მაშინ როდესაც მყიდველს ყოველთვის არ შეუძლია გამყიდველის ვალუტაში ანგარიშსწორება.¹⁵⁷ შესაბამისად ნასყიდობის ხელშეკრულებაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ანგარიშსწორების ვალუტა და კურსის ცვლილების პროცედურები.

გადახდების სისტემა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური გადახდების სისტემები ამცირებენ საქონლის და სერვისების გაცვლის ხარჯებს. გადახდები აუცილებელი ინსტრუმენტია ფულის და კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებისათვის.¹⁵⁸ სუსტი გადახდების ფორმა და სისტემა ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური რესურსების არასწორი გომოყენება, დანაკარგები მონაწილე მხარეებისთვის და რაც ყველაზე არასასურველია გამოიწვიოს მხარეების უნდობლობა ფინანსურ სისტემებისადმი და გადახდების ფორმებისადმი.

საერთაშორისო ვაჭრობაში ტრანზაქციების რისკებიდან გამომდინარე, მხარეთა უსაფრთხოებისათვის ბანკებმა შექმნეს ორი სახის მექანიზმი. პირველი და მარტივი, არის დოკუმენტალური ინკასო, ხოლო მეორე და გაცილებით უსაფრთხო მექანიზმს წარმოადგენს დოკუმენტური აკრედიტივი, რომელიც ყველაზე გავრცელებული გადახდის ფორმა გახდა საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებში¹⁵⁹.

დოკუმენტალური ინკასო (documentary collections D/C) ნაკლებად რთული და უფრო იაფი პროდუქტია ვიდრე დოკუმენტური აკრედიტივი.

¹⁵⁷ Ralph H. Folosm, Michael Wallace Gordon, John A. Spanogle Jr., Peter L. Fitzgerald, International Business Transactions, American Casebook Series, Thomson/West, St. Paul, USA, 2005, 49.

¹⁵⁸ Geoffrey P. Miller, Fabrizio Cafaggi, The Governance and Regulation of International Finance, Edward Elgar Publishing, Cheltenham, UK, 2013, 120.

¹⁵⁹ William F. Fox, International Commercial Agreements, fourth edition, Kluwer law international, Netherlands, 2009, 84.

აღნიშნული ტრანზაქციის დროს, ექსპორტიორი გადასცემს დოკუმენტებს თავის რემიტენტ ბანკს (remitting bank), რომელიც თავის მხრივ უგზავნის დოკუმენტებს იმპორტიორის შემგროვებელ ბანკს (collecting bank) და აძლევს დავალებას თანხის გადახდაზე. იმპორტიორი უხდის თავის ბანკს, რომელიც თავის მხრივ უხდის ექსპორტიორის ბანკს, ხოლო იგი ექსპორტიორს. ამ ტრანზაქციის დროს ბანკების მიერ არ ხდება არც დოკუმენტების შემოწმება და არც გადახდაზე ვალდებულების აღება, ისინი უბრალოდ გამტარის როლს ასრულებენ.¹⁶⁰

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმარტებული დოკუმენტური აკრედიტივის ცნებაში მოცემული მხარეთა ტერმინები ვერ პასუხობს საერთაშორისო დამკვიდრებულ ტერმინთა სტანდარტებს აკრედიტივთან დაკავშირებით. 876-ე მუხლის თანახმად კლიენტის (აპლიკანტის) თხოვნით და განკარგულებით გამხსნელი ბანკი ვალდებულია გადაუხადოს თანხა მესამე პირს (რემიტენს). გარდა იმისა, რომ შინაარსობრივადაც არასწორი ფორმულირებაა მოცემული მუხლში, ტერმინი რემიტენტი, რომელიც ნახსენებია მესამე პირის კონტექსტში არასწორია. აქ იგულისხმება ბენეფიციარი (გამყიდველი), რომელმაც უნდა მიიღოს აღნიშნული თანხა და სწორედ ტერმინი ბენეფიციარი უნდა იყოს ნახმარი აკრედიტივის ცნების ფორმულირებაში. ხოლო ტერმინი რემიტენტი ბანკი საერთაშორისო სტანდარტების და რეგულაციების მიხედვით დოკუმენტალურ ინკასოსთან დაკავშირებული ტერმინია. თავად მუხლის სათაურიც დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივიც გარკვეულწილად დოკუმენტალური ინკასოს გამოხმაურებაა და არ შეეფერება აკრედიტივს. ვფიქრობ დოკუმენტური აკრედიტივი ზუსტი თარგმანია და სწორედ ასე უნდა დამკვიდრდეს იგი ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ხოლო სასაქონლოს ხსენება კი საერთოდ გაურკვეველია ამ კონტექსტში. გარდა ამ ტერმინოლოგიური

¹⁶⁰ Larry A. DiMatteo, *International Contracting Law and Practice*, Kluwer Law International, Netherlands, 2013, 110.

უზუსტობებისა სხვა ტერმინოლოგიური ხარვეზებსაც აქვს ადგილი აქლნიშნულ მუხლში, რომელზეც დეტალურად გვექნება საუბარი დასკვნაში ცნების შინაარსობრივ მხარესთან ერთად.

სანამ განვიხილავთ, დოკუმენტურ აკრედიტივს (L/C), როგორც მესამე ყველაზე უსაფრთხო და კლასიკურ გადახდის მეთოდს, უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული მყიდველის და გამყიდველის პარადიგმა ერთდროულად გაცვალონ საქონელი ფულზე თანამედროვე ვაჭრობაში პრაქტიკულად შეუძლებელია. ნახსენები გადახდის ორი ფორმა თავისი შინაარსით გულისხმობს საქონლის გაყიდვას გარკვეული ნდობით, ვინაიდან მყიდველმა შესაძლოა მიიღოს საქონელი ისე, რომ თანხა ჯერ არ ქონდეს გამყიდველისთვის გადახდილი ან პირიქით. ჩვენ ვცხოვრობთ დღეს სესხის (credit) ეკონომიკაში, რომლის უპირატესობაც არის წახალისოს ვაჭრობა ძველი ტიპური საქონლის-ფულში მყისიერად გაცვლის მოდელისგან. ვალში-ნდობით გაყიდული საქონელი, რა თქმა უნდა რისკის მატარებელია და შესაბამისად რთული გადასაწყვეტია, თუ ვინ უნდა აიღოს თავის თავზე აღნიშნული რისკი.

აღნიშნულ რისკს საერთაშორისო ვაჭრობაში თავის ნიშანთვისებები და გამოვლინებები ახასიათებს. მხარეთა რეპუტაცია, მათი გადახდისუნარიანობა, სასამართლოში შესაძლო დავების, რომელიც ხანგრძლივი ვადით იწელება და დამატებით ხარჯებს მოითხოვს მხარეებისგან. ამ ვითარებას შეგვიძლია ვუწოდოთ გამყიდველი-მყიდველის ნდობის პრობლემა. საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკა იძლევა ამ რისკების გადაჭრის შესაძლებლობას, მაგრამ რა თქმა უნდა ვერ უზრუნველყოფს მხარეთა სრულ უსაფრთხოებას. კომერციული აკრედიტივი იძლევა შესაძლებლობას გარკვეული ხარჯების სანაცვლოდ მაქსიმალურად იქნას რისკები შემცირებული.

თუ მყიდველს და გამყიდველს ერთმანეთთან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის სურვილი აქვთ, როგორც წესი ისინი არ იცნობენ

ერთმანეთს და არ აქვთ არანაირი ეკონომიკური თუ სავაჭრო ურთიერთობა და ინფორმაცია ერთმანეთზე. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ასეთ შემთხვევაში მყიდველის და გამყიდველის ნდობის პრობლემა აქვთ. ამიტომაც, ასეთ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან საქონლის ღირებულების გადახდა განხორციელდეს დოკუმენტური აკრედიტივის მეშვეობით.

მყიდველი მიმართავს თავის მომსახურე ბანკს, რათა გამყიდველის სასარგებლოდ გახსნას აკრედიტივი, სადაც უთითებს აკრედიტივის თანხას და იმ დოკუმენტალურ ინფორმაციას, რომელიც მხარეთა გარიგებით შეთანხმებულია გამყიდველსა და მყიდველს შორის და რომელიც გამყიდველმა უნდა წარადგინოს ბანკში თანხის მისაღებად. მყიდველის მიმართვის შემდგომ ბანკი გამყიდველს უგზავნის შეტყობინებას მის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნის თაობაზე. ეს სასურველი ინფორმაცია გამყიდველს მიუვა არა მის პირად ფოსტაზე ან სხვა პირადი საკომუნიკაციო საშუალებით, არამედ სამომხმარებლო საბანკო არხებით ბანკის მიერ, რომელიც განთავსებული იქნება მის ქვეყანაში. გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს აკრედიტივის მისთვის რესპექტაბელურ ბანკში გახსნა. შესაბამისად ანგარიშსწორებაზე გამყიდველის წინაშე პასუხისმგებელია არა მხოლოდ მყიდველი ან მისი ბანკი, არამედ მისთვის სანდო საავიზო ბანკიც, რომელიც მის ქვეყანაშია განთავსებული და როგორც წესი გამყიდველის მომსახურე ბანკს წარმოადგენს¹⁶¹.

ყოველივე ზემოთაღნიშნული იცავს გამყიდველს თანხის არ გადახდის რისკებისგან. დოკუმენტები, რომლებიც გამყიდველმა უნდა წარადგინოს ბანკში თანხის მისაღებად, არის მყიდველისთვის უმთავრესი დაცვის გარანტია ტვირთის მისაღებად. დოკუმენტების ჩამონათვალში უპირველესია კომორციული, რომელიც სავალდებულოა წარდგენილ იქნას ბანკში და შეიცავდეს საქონელთან დაკავშირებით ყველა დეტალურ

¹⁶¹ Martin Davies, David V.Snyder, International Transaction in Goods, USA, Oxford University Press, 2014, 5.

ინფორმაციას. ასევე უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს სატრანსპორტო ზედნადები. ამ დოკუმენტს სამი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია: პირველი, ის არის დოკუმენტი, რომელიც სრულყოფილად მოიცავს ინფორმაციას ტვირთის თაობაზე, მეორე, არის გადაზიდვის ხელშეკრულების მტკიცებულება, რომელიც ფორმდება გამყიდველსა და გადამზიდავს შორის, მესამე, ის არის გადამზიდავისგან მყიდველისთვის ტვირთის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნული მექანიზმით გამყიდველი-მყიდველის ნდობის პრობლემა პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ვინაიდან გამყიდველისათვის ცნობილია, რომ დოკუმენტების წარდგენის შემდგომ, მყიდველი თუ არ გადაიხდის საქონლის ღირებულებას, ბანკი გადაუხდის მას თანხას, ხოლო გამყიდველმა იცის, რომ თუ დადგენილ ვადაში გამყიდველი არ წარადგენს შეთანხმებულ დოკუმენტაციას, მაშინ აკრედიტივი ანულირდება და შესაბამისად მას არანაირი თანხის გადახდა არ მოუწევს.

ბიზნეს მოდელი: საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქცია, ბიზნეს მოდელის სტრუქტურიდან გამომდინარე შესაძლოა 3 ძირითად ჯგუფად დავყოთ. პირველი, მყიდველები, რომლებიც საქონელს ყიდულობენ საკუთარი მოხმარებისთვის end user-ს. ასეთ მყიდველებად ძირითადად მწარმოებლები გვევლინებიან, რომლებიც თავიანთი წარმოების მოხმარებისთვის ყიდულობენ ნედლეულს. მეორე, მყიდველი და გამყიდველი, რომლებიც ჩართულნი არიან ვაჭრობაში (brokers or traders). საერთაშორისო ვაჭრობაში მრავალი ბროკერი და ტრეიდერი მონაწილეობს, რომლებიც დიდი მოცულობით ნაყიდ საქონელს შემდეგ ყიდიან ან საბოლოო მომხმარებლებზე ან სხვა ტრეიდერებზე და ბროკორებზე. პრაქტიკაში საქონლის გადაყიდვას ასეთი ტიპის მოთამაშეები ახორციელებენ ტვირთის შესყიდვამდე ან მისი შესყიდვის შემდგომ. მესამე, დისტრიბუტორის ტიპის მყიდველი, რომელიც დიდ რაოდენობა საქონელს ყიდულობს არა თავისი მოხმარებისთვის ან მთლიანი მოცულობით სხვაზე გადასაყიდად, არამედ თავადაა

დაკავებული თავისი გაყიდვის არხების მეშვეობით ამ საქმიანობით და საცალოდ ყიდის ბაზარზე (retailers).

სატრანსპორტო ზედნადები გამხსნელი ბანკის ხელში წარმოადგენს ერთგვარ უზრუნველყოფის საშუალებას, თავი დაიცვას მყიდველის მხრიდან თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში¹⁶². იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ბროკერი ან ტრეიდერია, მაშინ მან უნდა გადაყიდოს საქონელი და მიღებული თანხით დაფაროს აკრედიტივის თანხა გამხსნელ ბანკთან. ასეთ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ის, რომ გადახდის მომენტში არ აქვს გადმოცემული სატრანსპორტო ზედნადები ბანკისგან, შესაბამისად ჯერ არ ფლობს ტვირთის მიღების უფლებას. საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში აპრობირებულია ბანკის მიერ მინდობილობის საფუძველზე მყიდველისთვის უფლებამოსილების მინიჭება, რათა ბანკის სახელით გაყიდოს აღნიშნული საქონელი და მიღებული თანხა ჩაირიცხოს პირდაპირ ბანკის ანგარიშზე, საიდანაც ბანკი აკრედიტივით გადახდილ თანხას დაიტოვებს, ხოლო დარჩენილ ნაშეკ თანხას გადასცემს მყიდველს. ასეთ შემთხვევაში, მყიდველი მოქმედებს, როგორც ბანკის აგენტი და მას საბუთები გადაეცემა, როგორც ბანკის წარმომადგენელს. მყიდველი ასეთ დროს არ არის სატრანსპორტო ზედნადების მფლობელი, რაც ანიჭებს მას საქონლის მიღებას და მასზე საკუთრების უფლებას.

აშშ-ში და ინგლისში, გამხსნელმა ბანკმა სარგებელი შესაძლოა მიიღოს აპლიკანტისთვის მინდობილობის გაცემით საქონლის გადასაყიდად, სანამ იგი თანხას აუნაზღაურებს ბანკს. აღნიშნულის შეთანხმება წინასწარაა სავალდებულო მოხდეს ბანკსა და აპლიკანტს შორის. ასეთი მინდობილობების გაცემის პრაქტიკა (სანამ ბანკი გადასცემს დოკუმენტებს აპლიკანტს საქონლის მისაღებად) ფართოდაა გავრცელებული ჰოლანდიასა და გერმანიაში¹⁶³.

¹⁶² Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, second edition, oxford university press, Oxford, UK, 2015, 502.

¹⁶³ Jan Dalhuisen, *Dalhuisen on International Commercial, Fiancianl and Trade Law*, USA, Portland, Oregon, 2004, 469.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის შესწავლის ძირითადი სპეციფიკა ნათლად აისახება თავად საერთაშორისო სავაჭრო გარიგების სამართლებრივ ბუნებაში. სწორედ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების შესწავლა განაპირობებს დოკუმენტური აკრედიტივის განვითარებისთვის ხელშეწყობის წინაპირობებს.

2. საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციის სტრუქტურა დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორებისას

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობებში ყველაზე უსაფრთხო და გავრცელებულ ანგარიშსწორების ფორმად აღიარებულია დოკუმენტური აკრედიტივი, შესაბამისად მართებული იქნება კონკრეტულ მაგალითზე განვიხილოთ საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციის მთლიანი პროცესი, სადაც გადახდის ფორმად გამოყენებულია დოკუმენტური აკრედიტივი.

მხარეებს შორის პირველადი კომუნიკაცია იწყება იმით, რომ მყიდველი უგზავნის წერილს გამყიდველს ელექტრონულ ფოსტაზე, სადაც ითხოვს გამყიდველის კონკრეტულ პროდუქციაზე ფასს და თხოვს მას პროფორმა ინვოისის გადმოგზავნას. მყიდველმა ასევე შეიძლება გამყიდველს მოთხოვოს ინვოისში გადახდის პირობების და გადაზიდვის პირობების მიხედვით (CFR, CIF, FOB)¹⁶⁴ გასაყიდ საქონელზე ფასები. სამართლებრივი თვალსაზრისით ინვოისის ასეთი მოთხოვნა გამყიდველის მხრიდან ვერ ჩაითვლება ფორმალურ შეთავაზებად, იმიტომ რომ ბევრი სხვა არსებითი პირობა რჩება გაურკვეველი, ამიტომ მყიდველი ვერ მიიღებს ამ წინადადებას შეთავაზებად და მის საფუძველზე ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას გამყიდველთან, შემდგომი მოლაპარაკებების და საკითხების დაზუსტების გარეშე.

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმირება, როგორც წესი იწყება მყიდველის მხრიდან ოფერის გაკეთებით და გამყიდველის მიერ მისი მიღებით-დადასტურებით. პირველი კონტაქტი მხარეებს შორის

¹⁶⁴ გადაზიდვის პირობები - INCOTERMS თანახმად.

ინიცირებულია მყიდველის მიერ, რომელიც უგზავნის გამყიდველს წერილს და თხოვს ინფორმაციას შესაძენი საქონლის ფასის შესახებ¹⁶⁵.

მყიდველის წერილის საპასუხოდ, გამყიდველი უგზავნის მოთხოვნილ პროფორმა ინვოისს მას, სადაც მითითებულია გადაზიდვის პირობების მიხედვით ფასები (CFR, CIF, FOB), ტვირთის დაზღვევის ჩათვლით. შესაბამისად გამყიდველი აძლევს წინადადებას მყიდველს და თავაზობს მას პორდუქციას შესაბამის ფასად, გადაზიდვის და დაზღვევის პირობების გათვალისწინებით. მყიდველის დადასტურების შემთხვევაში კი გაუგზავნის კომერციულ ინვოისს. მყიდველი არჩევს მისთვის სასურველ პირობას და უკვე თავად უგზავნის გამყიდველს შესყიდვის ორდერს, რაც უკვე ნიშნავს მისგან ოფიციალურად გაკეთებულ შეთავაზებას პროდუქციის შესყიდვაზე¹⁶⁶.

შეთავაზების კრიტერიუმი (offer) სავაჭრო ხელშეკრულების დროს არ იძლევა მანდატს საქონლის რაოდენობის ან ფასის დასაფიქსირებლად. ეს არის ფასის და რაოდენობის ვერსია შეთავაზებული გამყიდველისთვის, რომელიც მოითხოვს მხარეების მიერ განსაზღვრას და შეთანხმებას¹⁶⁷.

მხარეთა შეთანხმებით, როგორც პროფორმა ინვოისში, ასევე შესყიდვის ორდერშიც გადახდის ფორმად მითითებული იყო დოკუმენტური აკრედიტივი. მხარეები აფორმებენ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებას (საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებას), სადაც ანგარიშსწორების ფორმად უთითებენ აკრედიტის და ყველა აკრედიტის მახასიათებლებს, კერძოდ, თუ რა სახისაა აკრედიტივი, აკრედიტის თანხა, ბენეფიციარის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ზუსტი ჩამონათვალი. საერთაშორისო ვაჭრობაში მხარეები რიგ შემთხვევებში არ აფორმებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას და

¹⁶⁵ Chow Schoenbaum, *International Business Transactions, Problems Cases and Materials*, Aspen Publishers, New Yourk, USA, 2005, 63.

¹⁶⁶ Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, *International Business Transactions, Contracting Across Borders*, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 42.

¹⁶⁷ Clayton P.Gillette, *International Sales Law*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, UK, 2016,33.

შემოიფარგლებიან მხოლოდ კომერციული ინვოისით სადაც გაწერილია ყველა სავაჭრო პირობა. ასეთ შემთხვევაში კომერციული ინვოისი ატარებს სამართლებრივად საერთაშორისო სავაჭრო გარიგების დოკუმენტს.

აკრედიტივი უკვე ნასყიდობის ხელშეკრულებისგან განცალკევებული ხელშეკრულებაა, რომელიც მოიცავს მყიდველის ბანკის დაპირებას გამყიდველისადმი შეთანხმებული დოკუმენტების წარდგენის სანაცვლოდ თანხის გადახდის თაობაზე.

პროცესი იწყება იმით, რომ მყიდველი უკავშირდება თავის ბანკს მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში და თხოვს მას აკრედიტივის გახსნას გამყიდველის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში აკრედიტივის გამხსნელი ბანკისთვის (როგორც მომსახურე ბანკისთვის) ცნობილია მყიდველის ფინანსური მდგომარეობა და თანხმდება აკრედიტივის გახსნაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მყიდველი მიმართავს ბანკს აკრედიტივის გახსნაზე, რომელთანაც მას არ აქვს ურთიერთობა, ბანკი აუცილებლად შეისწავლის მის ფინანსურ შესაძლებლობებს, თუ რამდენად შეუძლია მყიდველს აკრედიტივის თანხის დაფარვა და საჭიროების შემთხვევაში მოთხოვს მას გარკვეულ უზრუნველყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გაუწევს აკრედიტივის მომსახურებას. გამყიდველი გამხსნელ ბანკს წარუდგენს შეკვეთის ორდერს, რათა ბანკმა იცოდეს ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები. ამ ინფორმაციის საფუძველზე ბანკი უთითებს აკრედიტივში იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლის საფუძველზეც მტკიცდება გამყიდველის მიერ ტვირთის გადამზიდავისთვის გადაცემის ფაქტი.

გამომდინარე იქიდან, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს დადასტურებულ აკრედიტივს, მყიდველის გამხსნელი ბანკი უკავშირდება გამყიდველის ადგილსამყოფელ ქვეყანაში თავის საკორესპოდენტო ბანკს და ამცნობს გამყიდველის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნის თაობაზე და თხოვს მის დადასტურებას. დაუდასტურებელი აკრედიტივის დროს, ბანკი ამცნობდა გამყიდველს,

რომ გამხსნელმა ბანკმა მის სასრგებლოდ გახსნა აკრედიტივი და იმოქმედებდა დასახელებული ან შემტყობინებელი ბანკის როლში, შესაბამისად თავად ეს ბანკი არ იქნებოდა ვალდებული გამყიდველის წინაშე თანხის გადახდაზე, რაც ამ უკანასკნელისთვის რისკის შემცველია. თუმცა ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში აკრედიტივი დადასტურებული ხასიათისა, საკორესპოდენტო ბანკი გამხსნელი ბანკის მოთხოვნით ადასტურებს აკრედიტივს და დადასტურებულ გამოუხმობად აკრედიტივს უგზავნის გამყიდველს და ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც საავიზო ბანკი.

საავიზო ბანკი აკრედიტივში უთითებს ყველა იმ საჭირო ინფორმაციას, რომელიც აკრედიტივის პირობებითაა შეთანხმებული. შემდგომ უთითებს იმ დოკუმენტთა ჩამონათვალს რომელიც თანხის მისაღებად უნდა იქნას წარდგენილი გამყიდველის მიერ თარიღების, საქონლის მახასიათებლების და გადამზიდავის სახელწოდების მითითებით. მითითებულია ასევე საავიზო ბანკის ვალდებულება თანხის გადახდაზე და რომ აკრედიტივი UCP-ით რეგულირდება.

აკრედიტივის გარეშე ვერ შედგებოდა მყიდველი და გამყიდველის ურთიერთობა, რომლებიც არ იცნობდნენ ერთმანეთს და არ ქონდათ ინფორმაცია ერთმანეთის ფინანსური შესაძლებლობის შესახებ. სხვა შემთხვევაში ჯერ მყიდველს უნდა გადაერიცხა თანხა და დალოდებოდა საქონელს ან პირიქით ჯერ გამყიდველს უნდა გაეგზავნა საქონელი და დალოდებოდა თანხის მიღებას მყიდველისგან. მოკლედ რომ შევაფასოთ, აკრედიტივმა გადაჭრა ნდობის პრობლემა, რაც ხშირად წარმოიშვება თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში¹⁶⁸.

აკრედიტივის მიღების შემდგომ, ჯერი გამყიდველზეა აწარმოოს საქონელი, შეფუთოს იგი და გადასცეს გადამზიდავ კომპანიას ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვისთვის. თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში

¹⁶⁸ Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 47.

გამყიდველი საერთაშორისო გადამზიდავამდე ტვირთის გადაცემისთვის და საბუთების მომზადებისთვის ქირაობს მომსახურე კომპანიას „freight forwarder“, რომელიც უთანხმდება გადამზიდავ კომპანიას ტვირთის გადაზიდვაზე, აგვარებს ყველანაირ საბაჟო თუ სხვა სახის ფორმალბებს. გამყიდველი მომსახურე კომპანიას მომსახურების სრულყოფილად გაწვევისათვის აწვდის საჭირო დოკუმენტაციას, ე.წ. ინსტრუქციების წერილს. პირველ რიგში გამყიდველი მომსახურე კომპანიას აწვდის აკრედიტივის ხელშეკრულების ასლს, რათა ყველა დოკუმენტის შედგენა განხორციელდეს აკრედიტივის პირობების შესაბამისად. აკრედიტივის ხელშეკრულების ასლის გარდა, გამყიდველი მომსახურე კომპანიას ასევე აწვდის კომერციულ ინვოისს და საქონლის შეფუთვის ფურცელს, რომელიც ადასტურებს, თუ რა თანხა აქვს მისაღები გამყიდველს მყიდველისაგან და რომელიც აღწერს საქონლის შეფუთვისას. დამატებით გამყიდველი მომსახურე კომპანიას აწვდის ყველა იმ საჭირო დოკუმენტაციას, რომელიც აუცილებელია მიღებული იქნას შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისგან, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

აკრედიტივის პირობების შესაბამისად გამყიდველი ან მომსახურე კომპანია იღებს შესაბამისი გამცემი უწყებისაგან საქონლის წარმოშობის დოკუმენტს. ამის შემდეგ, როგორც კი მომსახურე კომპანია შეუთანხმდება საერთაშორისო გადამზიდავს ტვირთის გადაზიდვაზე და შეაგროვებს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, გამყიდველს მიაქვს ტვირთი გადამზიდავ კომპანიასთან (შეთანხმების შემთხვევაში გამყიდველიდან გადამზიდავამდე ტვირთის მიტანა, შესაძლებელია განხორციელოს მომსახურე კომპანიამაც). გადამზიდავის წარმომადგენელი გამყიდველს აძლევს ტვირთის მიღების ფურცელს, სადაც ტვირთი განთავსდება გადამზიდავის საწყობში ან პორტში (გააჩნია რა სახის გადაზიდვაა) და დაელოდება შესაბამის ტრანსპორტს.

როდესაც შესაბამისი ტრანსპორტი მზად იქნება ტვირთის გადასაზიდად (გემი, მატარებელი, თვითმფრინავი, სატვირთო მანქანა),

ტვირთის გადამზიდავი მომსახურე კომპანიის მეთვალყურეობით ათავსებს ტრანსპორტზე და მომსახურე კომპანია გადამზიდავის შემუშავებულ ფორმაში ავსებს სატრანსპორტო ზედნადებს. მომსახურე კომპანია სატრანსპორტო კონოსამენტს გამყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ყურადღებით ავსებს, რათა დოკუმენტი ზედმიწევნით შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებს და ასახავდეს ტვირთის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, ასევე აკრედიტივის პროცესში ჩართული ყველა მხარის ზუსტ რეკვიზიტებს.

სატრანსპორტო ზედნადები აკრედიტივის ანგარიშსწორებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. ერთის მხრივ ეს დოკუმენტი გადამზიდავთან ტვირთის მიღების დადასტურების საბუთია და მეორეს მხრივ მოქმედებს როგორც გადაზიდვის ხელშეკრულება გამყიდველსა და გადამზიდავს შორის. სატრანსპორტო ზედნადები ატარებს ასევე მესამე და ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას: ის განსაზღვრავს თუ ვის უნდა გადასცეს საქონელი გადამზიდავმა დანიშნულების ადგილზე მიტანის დროს.

ტრანზაქციით შესაძლოა მოთხოვნილი იყოს საბრუნავი სატრანსპორტო ზედნადები (negotiable bill of lading), რომელიც წარმოადგენს ასევე საკუთრების ფლობის დოკუმენტს, ვინც ფლობს აღნიშნულ დოკუმენტს, მას აქვს ტვირთზე კონტროლის უფლება და გადამზიდავიც ტვირთს გადასცემს მხოლოდ იმ პირს, ვინც ფლობს აღნიშნულ დოკუმენტს. თუ სატრანსპორტო ზედნადები არა გადასვლია (non negotiable bill of lading), მაშინ გადამზიდავი გადასცემს ტვირთს იმ პირს რომელიც დასახელებულია კონსიგნატ (consignee). თუ აკრედიტივით მოთხოვნილია ტვირთის დაზღვევა გადაზიდვის დროს, მაშინ გამყიდველი აზღვევს ტვირთს და წარადგენს ბანკში ტვირთის დაზღვევის სერთიფიკატს.

იმისათვის, რომ გამყიდველმა ბანკისგან მიიღოს აკრედიტივით და ნასყიდობით განსაზღვრული თანხა, იგი ვალდებულია ზემოთხსენებული

აკრედიტივით შეთანხმებული დოკუმენტები წარუდგინოს ბანკს განაცხადთან ერთად (sight draft).

მას შემდეგ რაც ბანკი გადაუხდის თანხას გამყიდველს, აკრედიტივით შეთანხმებული დოკუმენტები უნდა გადაეცეს მყიდველს. ამ დოკუმენტებიდან უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს სატრანსპორტო ზედნადები, რის საფუძველზეც მყიდველი მიიღებს საქონელს გადამზიდვისგან. სანამ მყიდველი არ გადაუხდის თანხას გამხსნელ ბანკს, სატრანსპორტო ზედნადებს სხვა დოკუმენტებთან ერთად ფლობს ბანკი, შესაბამისად იგი ფლობს ტვირთის მიღების უფლებასაც, ამით გარკვეულწილად ბანკი თავს იზღვევს მყიდველისგან აკრედიტივის საფუძველზე უკვე გადახდილი თანხის ამოსაღებად. პრაქტიკაში, ტვირთის მიღებამდე ბანკისათვის მყიდველს უკვე გადახდილი აქვს აკრედიტივის თანხა. ტვირთის ჩამოსვლის შემდგომ თუ აღმოჩნდება, რომ საქონელი ნაკლებია ან დეფექტიანი, მას უფლება აქვს პრეტენზია წაუყენოს სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო სერთიფიკატის საფუძველზე, გადამზიდვის სატრანსპორტო ზედნადების-გადამზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ან გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

დოკუმენტური აკრედიტივი საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციაში მყიდველის ბანკსა და გამყიდველს შორის დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. ამ ხელშეკრულების თანახმად მყიდველის ბანკი (გამხსნელი ბანკი) გამყიდველს აძლევს გადახდის დაპირებას შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის სანაცვლოდ. ბანკი გასცემს ამ დაპირებას პირდაპირ გამყიდველზე, შესაბამისად დაპირება არის დამოუკიდებელი ვალდებულება ბანკისა გამყიდველის სასარგებლოდ, მიუხედავად მყიდველის მიერ განხორციელებული მოქმედებებისა¹⁶⁹. თავისთავად

¹⁶⁹ Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 67.

გამხსნელ ბანკსაც ექნება თავის მხრივ ხელშეკრულება გაფორმებული მყიდველთან თანხის ანაზღაურების თაობაზე.

ზემოთ განხილულ საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციაში წარმოიშვება სპეციფიკური რისკები ორ ერთმანეთისთვის უცნობ, ტერიტორიულად დაშორებულ და ერთმანეთისადმი უნდობლობით განწყობილ პირს შორის. დადასტურებული დოკუმენტური აკრედიტივი ანაწილებს რისკებს იმ მხარეებს შორის, რომელთაც ყველაზე უკეთ შეუძლიათ ასეთი რისკების ეფექტურად შეფასება.

თუ მყიდველი ვერ ან არ გადაუხდის გამყიდველს თანხას, მყიდველის ბანკი შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში მაინც ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს თანხა. ისმის კითხვა, რითია დაზღვეული ბანკი? პირველ რიგში ბანკს თავის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, ყველაზე კარგად შეუძლია შეაფასოს მყიდველის ფინანსური შესაძლებლობები და საჭიროების შემთხვევაში აკრედიტივის გახსნამდე მოსთხოვოს მას შესაბამისი უზრუნველყოფის საშუალებები. მეორეს მხრივ უფლებამოსილია უჩივლოს ადგილობრივ სასამართლოში და ყველაზე მნიშვნელოვანი, ბანკს ხელთ უპყრია სატრანსპორტო ზედნადები, რომლითაც მას აქვს ტვირთის მიღების და განკარგვის უფლება. შესაბამისად თუ მყიდველი ბანკს არ გადაუხდის თანხას, ბანკი ინარჩუნებს საკუთრების უფლებას საქონელზე, რომლითაც შეუძლია ნაწილობრივ მაინც აინაზღაუროს ზარალი.

მას შემდეგ რაც საავიზო ბანკი გამყიდველს გადაუხდის თანხას, ასეთ დროს იგი დგება თანხის ანაზღაურების რისკის ქვეშ გამხსნელი ბანკისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბანკს აკრედიტივის დადასტურებამდე, მას ყველაზე კარგად შეუძლია შეაფასოს გამხსნელი ბანკის ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია. როგორც წესი ასეთ ბანკებს ერთმანეთთან საკორესპოდენტო ანგარიშები აქვთ და შესაბამისად საბანკო არხების მეშვეობით პრეტენზიის წაყენებით საავიზო ბანკს შეუძლია მისი კუთვნილი თანხის ამოღება. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი,

რომ საავიზო ბანკი სატრანსპორტო ზედნადების მფლობელია, მანამ სანამ გამხსნელი ბანკი არ გადაუხდის თანხას.

გამყიდველს ყოველთვის აქვს უნდობლობა მყიდველის და გამხსნელი ბანკის მიმართ, მაგრამ დადასტურებული აკრედიტივით გამყიდველს გადახდაზე სამი დამოუკიდებელი დაპირება აქვს: პირველი მყიდველისგან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე გამხსნელი ბანკისგან და მესამე მისი მომსახურე საავიზო ბანკისგან. ხოლო უარეს შემთხვევაში ყოველთვის ადვილია გამყიდველისთვის მის ადგილსამყოფელ ქვეყნაში განთავსებულ ბანკთან მოლაპარაკება ან სასამართლოში სარჩელის შეტანა.

ზემოთხსენებული ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ გამყიდველია დაცული აკრედიტივის ურთიერთობის დროს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მყიდველიც არანაკლებ უსაფრთხოდ გრძნობს თავს. პირველ რიგში არც ბანკებს და მითუმეტეს არც მყიდველს არ აქვს თანხის გადახდის ვალდებულება, მანამ სანამ გამყიდველი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს, რომლებიც დაადასტურებენ საქონლის წარმოებას, შეფუთვის და გადამზიდვისთვის გადაცემას. ასეთი დოკუმენტებია კომერციული ინვოისი, შეფუთვის ფურცელი, წარმოშობის სერტიფიკატი და რა თქმა უნდა სატრანსპორტო ზედნადები. მეორე, იმ შემთხვევაში, თუ გადაზიდვის დროს ტვირთი დაიკარგება ან დაზიანდება, მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს თანხის ანაზღაურება სადაზღვევო სერტიფიკატის საფუძველზე ან მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება გადამზიდვს. ასევე მყიდველს შეუძლია გამოიყენოს დამატებით დაზღვევის საშუალება და თანხის გადახდამდე მოითხოვოს შემოწმების სერტიფიკატის გაცემა მესამე პირისგან, რომელიც დაადასტურებს საქონლის შესაბამისობას ნასყიდობის ხელშეკრულებასთან. ხშირ შემთხვევაში მყიდველი აღნიშნული დოკუმენტის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჩადებას ითხოვს

გამყიდველისგან. აღნიშნული დოკუმენტის ჩადებას მყიდველი აკრედიტივის დოკუმენტთა ჩამონათვალშიც თხოვს გამყიდველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქცია დადასტურებული აკრედიტივით ახდენს რისკების მინიმიზაციას და თანაბრად ავრცელებს მონაწილე მხარეებზე, რომელთაც ამ პატარა რისკების შეფასების ყველაზე ეფექტური საშუალებები გააჩნიათ რათა დაიცვან თავი შესაძლო რისკებისგან¹⁷⁰.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტივის არსიდან გამომდინარეობს რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია: 1.აკრედიტივი არის, სახელშეკრულებო თანხის ანგარიშსწორების ინსტრუმენტი. 2. აკრედიტივის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ბენეფიციარისათვის თანხის, ხოლო მყიდველისათვის საქონლის მისაღები დაცვის მექანიზმი. 3. აკრედიტივი წარმოადგენს ბანკისგან დაფინანსების მოპოვების ინსტრუმენტს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი გადავადებული გადახდის სახითაა შეთანხმებული მხარეებს შორის. აკრედიტივი ხშირ შემთხვევაში ტრეიდერების მიერ გამოიყენება, როგორც უზრუნველყოფის საშუალება, რათა აიღონ დაფინანსება ბანკებისგან (საბრუნავი თანხა) თავიანთი ტრანზაქციების დასაფინანსებლად. ეს არის კლასიკური ნაღდი ფულის ტრანზაქცია, საქონელი (წარმოდგენილი დოკუმენტების სახით) ნაღდი ფულის სანაცვლოდ¹⁷¹. 4. აკრედიტივი ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც უზრუნველყოფის საშუალება სხვა ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ გამომდინარეობს იმ სავაჭრო გარიგებიდან, საიდანაც წარმოიშვა კონკრეტული აკრედიტივი. 5. აკრედიტივი წარმოადგენს აბსოლიტური და გამოუხმობადი გადახდის ინსტრუმენტს. აკრედიტივის გახსნის შემდგომ, გამყიდველი თანხას მხოლოდ ბანკისგან მიიღებს. გამყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს

¹⁷⁰ Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, International Business Transactions, Contracting Across Borders, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015, 69.

¹⁷¹ Matti S. Kurkela, Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law, Oxford University Press, New Yourk, USA, 2008, 36.

თანხის გადახდა მყიდველისგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკი უარს ეტყვის თანხის გადახდაზე წარდგენლი დოკუმენტების საფუძველზე. ბანკი, როდესაც თანხის გადახდაზე უარს ეუბნება გამყიდველს, ბენეფიციარს უფლება აქვს დაიტოვოს დაბრუნებული დოკუმენტები და გადაყიდოს საქონელი სხვა მყიდველზე, ხოლო ბანკს კი უჩივლოს აკრედიტივიდან გამომდინარე მიყენებული ზიანისათვის¹⁷².

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში ქმნის კარგ წინაპირობებს გარიგების კეთილსინდრიერად და ჯეროვნად შესრულების თვალსაზრისით. როდესაც მხარეები აფორმებენ ხელშეკრულებას, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად და ჯეროვნად შეასრულონ. ზემოაღნიშნული კი მხარეებს ავტომატურად უბიძგებს შეარჩიონ ისეთი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც მათთვის მომგებიანი და სამართლიანი იქნება. ამ ჭრილში, ნათელია, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ანგარიშსწორების ნაწილია. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სწორედ ხელშეკრულების შესრულების სტაბილურობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება.

¹⁷² Nelson Enonchong, *The Indipendence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees*, Oxford University Press, oxford, UK, 2011, 11.

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში განხილული იქნა საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ყველა ძირითადი მიმართულება და მათი სამართლებრივი რეგულირება, თანამედროვე დამკვიდრებული პრაქტიკის, საერთაშორისო მარეგულირებელი აქტებისა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით. ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას ქართულ რეალობაში, სიღრმისეულად იქნას დამუშავებული ამ მეტად მნიშვნელოვანი ანგარიშსწორების ფორმის სამართლებრივი ასპექტები, რათა წარმოჩინდეს ქართულ სამართლებრივ სივრცეში მათი ინტეგრირების საჭიროება და მნიშვნელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საბანკო პრაქტიკაში სხვა უზრუნველყოფის თუ ანგარიშსწორების ფორმებთან შედარებით, დოკუმენტური აკრედიტივი ნაკლებად გამოიყენება, როგორც საერთაშორისო ისე შიდა ვაჭრობის დროს, რაც ვფიქრობთ არცთუ სახარბიელო ტენდენციაა იმ პირობებში, როდესაც საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ვაჭრობის გაფართოება გახლავთ. საერთაშორისო ვაჭრობაში, კი ანგარიშსწორების დროს მეტწილად გამოყენებულია დოკუმენტური აკრედიტივი, რისი გამოყენებაც აუცილებლად მოუწევთ დიდი სიხშირით ქართველ რეზიდენტ სუბიექტებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ან არიან საერთაშორისო ვაჭრობაში.

ჩვენი მოსაზრებით, აკრედიტივის დაბალი გამოყენების მაჩვენებელი საქართველოში განპირობებულია ორი მთავარი გარემოებით: პირველი, დოკუმენტური აკრედიტივით მომსახურება შედარებით ძვირადღირებული სერვისია სხვა მსგავსი ტიპის პროდუქტებთან

შედარებით,¹⁷³ ვინაიდან მასში ჩართულია რამოდენიმე ბანკი, რაც თავისთავად აძვირებს მომსახურებას. საერთაშორისო ვაჭრობაში აკრედიტივი აღიარებულია, როგორც ყველაზე უსაფრთხო ანარიშსწორების ფორმად, შესაბამისად მიგვაჩნია მიუხედავად მისი მომსახურების მაღალი ფასისა, მისი გამოყენება უდავად სასარგებლო იქნება საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ქართული სუბიექტებისათვის, რომელიც მრავალ სავაჭრო რისკს ააცილებს მათ თავიდან.

მეორე და მთავარი, საქართველოში დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი რეგულირება ძალზედ მწირი და არასრულყოფილია, რაც თავისთავად გაუგებარს ხდის მხარეებისთვის მისი გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.

ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებიდან სწორედ ის სახეობანი გადმოიტანა ქართულ სამართალში, რომლებიც ევროპულ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული იყო. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა საბანკო მომსახურების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფორმა, ანგარიშსწორება და მისი ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო სახე, დოკუმენტური აკრედიტივი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ოცდამეერთე თავი, კერძოდ, 859-890-ე მუხლები ეთმობა საბანკო მომსახურების მარეგულირებელ ხელშეკრულებებს. როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებიდან გამოყოფს ანგარიშსწორებას (859-866 მუხლები), საბანკო კრედიტს (867-873 მუხლები), ანაბარს (874-875 მუხლები), დოკუმენტურ (სასაქონლო) აკრედიტივს. დოკუმენტურ ინკასოს (876-878 მუხლები) და საბანკო გარანტიას (879-890-ე მუხლები).

¹⁷³ საქართველოში ბანკების საკომისიოს ოდენობა მერყეობს 3%-6% სავაჭრო გარიგების თანხისა.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ორ მუხლს უთმობს დოკუმენტურ აკრედიტივს - 876-ე და 878-ე მუხლებს, რომლებიც გადმოსცემს მის ცნებას და მითითებას აკეთებს მარეგულირებელ ნორმებზე. სწორედ სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლი იძლევა დოკუმენტური აკრედიტივის ცნებას: “1. აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანადღოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები. 2. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური”.

ზემოაღნიშნული მუხლის დეფინიცა შეიცავს რამოდენიმე მნიშვნელოვან, როგორც ტერმინოლოგიურ, ასევე შინაარსობრივ უზუსტობებს, რაც ვფიქრობთ უნდა აღმოიფხვრას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლი ვერ მოდის თანხვედრაში დოკუმენტური აკრედიტივის მონაწილე მხარეების საერთაშორისო დადგენილ ტერმინებთან. როგორც ნაშრომში იქნა განხილული, დოკუმენტურ აკრედიტივში ჩართულია რამოდენიმე მხარე: მყიდველი-აპლიკანტი, გამყიდველი-ბენეფიციარი და ბანკი. თუმცა, დოკუმენტური აკრედიტივის განხორციელება არ ხდება ერთი ბანკის მონაწილეობით. მასში ჩართულია სულ მცირე ორი ბანკი, აპლიკანტის მომსახურე გამხსნელი ბანკი და მისი საკორესპოდენტო ბანკი, რომლებიც აკრედიტივის სახიდან გამომდინარე, სხვადასხვა ეტაპზე იძენენ განსხვავებულ სტატუსს, რაც განხილული იქნა შესაბამის ქვეთავში.

მოცემულ მუხლში ნახსენებია კლიენტი, რომელიც მისი მომსახურე ბანკისთვის ნამდვილად ამ სტატუსის მატარებელია, მაგრამ დოკუმენტური აკრედიტივის ფარგლებში იგი არის აპლიკანტი, რაც არის

სწორი ტერმინი ამ შემთხვევაში. ცნების განმარტებისას ასევე ნახსენებია რემიტენტი. გარდა იმისა, რომ რემიტენტის ხსენება შინაარსობრივად აღრეულია, იგი საერთაშორისო დოკუმენტალური ინკასოს ტერმინია და გადმოტანილია აკრედიტივის ცნების განმარტებისას. ამ შემთხვევაში იგულისხმება აკრედიტივის თანხის მიმღები - ბენეფიციარი, რაც არის სწორი განმსაზღვრელი ტერმინი, რომელიც ვფიქრობ დამკვიდრებული უნდა იქნას ქართულ საკანონმდებლო სივრცეში აკრედიტივის განმარტების დროს. რემიტენტის ქვეშ ასევე იგულისხმება ბენეფიციარის მომსახურე ბანკი, იქნება ეს დამადასტურებელი, შემტყობინებელი თუ დასახელებული ბანკი. შესაბამისად ასე ზოგადი წესით ამ ტერმინის ხმარება, ვფიქრობ გაუმართლებელია და იწვევს აკრედიტივის ცნების არასწორ გაგებას, რად უნდა აღმოიფხვრას.

რაც შეეხება ბანკებს, მუხლში სწორად არის ნახსენები გამსხნელი ბანკი, თუმცა არაფერია ნათქვამი საკორესპოდენტო ბანკებზე და ზოგადად მოხსენიებული სხვა ბანკის ტერმინით, რაც ასევე ვფიქრობთ ხარვეზის შემცველია, ვინაიდან, როგორც არაერთხელ აღინიშნა, აკრედიტივის პროცესში საკორესპოდენტო ბანკები იძენენ სხვადასხვა სტატუსს, შესაბამისად ვფიქრობთ მინიმუმ საკორესპოდენტო ბანკი უნდა იქნას ნახსენები ცნების განმარტების დროს, რაც უფრო სრულყოფილად გადმოსცემს გამსხნელი ბანკის პარტნიორ და ბენეფიციარის მომსახურე ბანკის შინაარსს.

ცალკე განხილვის საკითხია ქართულ სამართლებრივი სივრცეში თავად აკრედიტივის დამკვიდრებული ტერმინი: „დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივი“, რაც სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლის სათაურიცაა. კანონმდებელმა აკრედიტივი და ინკასო ერთ ქვეთავში განიხილა, შესაბამისად ტერმინი რემიტენტის მსგავსად, სიტყვა დოკუმენტალურიც ინკასოს მიკუთვნებულია საერთაშორისო ტერმინების თანახმად და არასწორადაა ნახმარი აკრედიტივთან მიმართებაში. ქართული თარგმანიც უფრო სწორად „დოკუმენტურ აკრედიტივს“

მიესადაგება, ვინაიდან აკრედიტივის დროს საქმე გვაქვს მის დოკუმენტურ ბუნებასთან. შესაბამისად, ვფიქრობთ უნდა აღმოიფხვრას და გაიმიჯნოს მკვეთრად ის ტერმინოლოგიური უზუსტობანი რაც აკრედიტივს და ინკასოს შორისაა აღრეული კოდექსის მუხლებში. ხოლო, სიტყვა სასაქონლო აბსოლიტურად უადგილო და ზედმეტია ცნების განსაზღვრისას, რაც არ შეესაბამება არათუ საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტებს, არამედ თავად აკრედიტივის კონტექსტსაც, რადგან, დოკუმენტური აკრედიტივის დროს საქმე გვაქვს დოკუმენტებთან და არა თავად საქონელთან, შესაბამისად გაურკვეველია სიტყვა საქონლის ხსენება, დოკუმენტურ აკრედიტივთან ერთად.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ტერმინოლოგიური ხარვეზები აღმოფხვრილი უნდა იქნას აკრედიტივის ცნების განმარტებისას, ვინაიდან საერთაშორისო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამკვიდრებულ ტერმინებს და მასში მონაწილე ყველა მხარისათვის ერთი და იმავე აღქმის და შინაარსის მატარებელი უნდა იყოს ყველა ტერმინი, რაც აუცილებელია დოკუმენტური აკრედიტივის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის.

რაც შეეხება დოკუმენტური აკრედიტივის ცნების შინაარსობრივ მხარეს, მოცემული რედაქცია სრულყოფილად ვერ გადმოსცემს აკრედიტივის არსს. მოცემულ მუხლში, განმარტებულია: გამხსნელი ბანკი თანხას უხდის მესამე პირს კლიენტის განკარგულებით და მოთხოვნით, ან ავალებს ამის შესრულებას სხვა ბანკს.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივის გახსნა ხდება აპლიკანტის მიმართვით მის მომსახურე გამხსნელ ბანკზე, რომელთა შორისაც ფორმდება აკრედიტივით მომსახურებაზე ხელშეკრულება, შესაბამისად განკარგულების ხსენება არ ასახავს პროცესის რეალურ შინაარსს. მხოლოდ ამის შემდგომ უგზავნის შეტყობინებას გამხსნელი ბანკი კონკრეტულად ბენეფიციარს აკრედიტივის გახსნის თაობაზე. აღნიშნული საკითხი საერთოდ არ იკითხება მოცემულ რედაქციაში და

ბუნდოვნად მიუთითებს მესამე პირზე, რომელსაც აკრედიტივის დროს კონკრეტული ადრესატი ყავს ბენეფიციარის სახით, ვინც ერთ-ერთი მთავარი მხარეა პროცესის. გამხსნელი ბანკი შეტყობინების გაგზავნას აკრედიტივის გახსნაზე ახორციელებს მისი საკორესპოდენტო ბანკის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ბენეფიციარის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, რომელიც, როგორც აღინიშნა აკრედიტივის ფარგლებში შესაძლოა მოქმედებდეს სხვადასხვა ბანკის სტატუსით. შესაბამისად, ასეთი ტიპის ბანკის მოხსენიება სხვა ბანკის სტატუსით, რომელიც უშუალოდ ჩართულია აკრედიტივის პროცესში, არის ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე და პირდაპირ კავშირშია, როგორც გამხსნელ ბანკთან ასევე ბენეფიციართან, არ ასახავს აკრედიტივის რეალურ პროცესს და ბუნდოვნად გადმოსცემს მასში ჩართული მხარეების განმარტებას. მიგვაჩნია, ეს ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას და ნათლად ჩამოყალიბდეს აკრედიტივის ცნების განსაზღვრისას მხარეები და მათი ურთიერთობა ერთმანეთთან, რაც ჯამში ქმნის დოკუმენტურ აკრედიტივს.

დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებული საერთაშორისო რეგულაციები მეტწილად ჩამოყალიბებულია, დამკვიდრებული და დაგროვილი პრაქტიკით აკრედიტივის გამოყენებასთან დაკავშირებით, მასში მონაწილე მხარეებს შორის. აკრედიტივის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო დამკვიდრებულ ჩვევებს და სწორედ ამის გათვალისწინებითაა შემუშავებული უნიფიცირებული წესები UCP-ი, რომელსაც აქვს სარეკომენდაციო-სავალდებულო ხასიათი აკრედიტივის გამოყენების დროს.

სამოქალაქო კოდექსის 878-ე მუხლი მიუთითებს, რომ თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული მხარეებს შორის, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვროს საერთაშორისო მიმოქცევაში დამკვიდრებული დოკუმენტური აკრედიტივის ჩვეულებებით. აღნიშნული მითითება მართებულად მიგვაჩნია და ეხმიანება

საერთაშორისო გამოცდილებას. თუმცა, ვფიქრობ აუცილებელია მისი დაკონკრეტება, თუნდაც სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

ზოგადად ნებისმიერი აქტი, მათ შორის UCP-ის მსგავსი საერთაშორისო დოკუმენტი, შემუშავებულია დამკვიდრებულ ჩვეულებებზე დაყრდონიბით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, რომელიც წარმოადგენს აკრედიტივთან დაკავშირებით მთავარ საერთაშორისო მარეგულირებელ აქტს. თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში ბანკები და მასში მონაწილე სხვა მხარეები, აკრედიტივთა უმრავლესობაში უთითებს მას მარეგულირებელ აქტად, რაც ანიჭებს მას სავალდებულო ხასიათს. მართებულად მიგვაჩნია, როგორც ყველა განვითარებული ქვეყნების სამართლებრივ აქტებშია მითითებული, ჩვენთანაც კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითოს აღნიშნული აქტზე აკრედიტივის რეგულირების დროს, რაც აღმოფხვრის ყოველგვარ გაურკვევლობებს მის რეგულირებასთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და სრულად იზიარებს მის მიერ შემუშავებულ წესებს.

ყველა განვითარებულ ევროპულ ქვეყნების და ამერიკის საკანონმდებლო აქტებში, აღიარებულია UCP-ის უპირატესი მარეგულირებელი როლი დოკუმენტური აკრედიტივის რეგულირებისას, მაგრამ დამატებით ფორმულირებულია შიდა კანონმდებლობით, ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც დაკავშირებულია აკრედიტივთან. კერძოდ, საბერძნეთში მოქმედებს დამოუკიდებელი აქტი, რომელიც არეგულირებს დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებულ საკითხებს. იტალიაში ცალკე თავი ეთმობა სამოქალაქო კოდექსში აკრედიტივის რეგულირებას, რომელიც განსაზღვრავს მხარეების უფლება მოვალეობებს და აყალიბებს დოკუმენტთა ჩამონათვალს. გერმენიაში სპეციალური კანონი დაკავშირებული საერთაშორისო ფინანსურ ხელშეკრულებებთან, ასევე არეგულირებს აკრედიტივის საკითხებს. შიდა კანონმდებლობით აკრედიტივის რეგულაციით, მოწინავე ადგილი უჭირავს ამერიკის

შეერთებულ შტატებს, სადაც სავაჭრო კოდექსით, მსგავსად UCP-ისა დეტალურად რეგულირდება აკრედიტივის გამოყენების საკითხები,¹⁷⁴ რომლის რიგი მუხლები განხილულია ნაშრომში.

დამატებით მართებულად მიგვაჩნია, რომ გარდა მინიშნებისა რაც მოცემულია სამოქალაქო კოდექსში რეგულაციასთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, უფრო დეტალური რეგულირების შემუშავებაა საჭირო დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით, რომელიც უფრო ნათლად და მკვეთრად ჩამოაყალიბებს მასში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობებს, მათი ურთიერთკავშირის პროცედურებს, დაადგენს წარსადგენ დოკუმენტთა სავალდებულო და ნებაყოფლობით ჩამონათვალს, განსაზღვრავს აკრედიტივის ძირითად სახეებს. ყოველივე აღნიშნული აგებული უნდა იქნეს და ეფუძნებოდეს დოკუმენტური აკრედიტივის იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც განხილულია წინამდებარე ნაშრომში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 16 ივლისის #182 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დავალებით საქართველოს ეროვნულ ბანკში აკრედიტივით ოპერაციის წარმოების წესი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტი საკმაოდ ზოგადია, იგი მხოლოდ ადგენს აკრედიტივის გახსნის წესებს სახელმწიფო ხაზინის მიერ ეროვნულ ბანკში და არანაირ რეგულირებას და დათქმას არ აკეთებს კერძო სამართლებრივ სივრცეში დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებაზე, რაც ვფიქრობთ არარელევანტურია საერთაშორისო ან შიდა ვაჭრობაში აკრედიტივის გამოყენების რეგულაციასთან დაკავშირებით.

აკრედიტივთან დაკავშირებული რეგულირება, მართებულად მიგვაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე, რომელიც მრავალ წესს ადგენს

¹⁷⁴ Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010, 58.

ზოგად ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით, თუმცა არანაირ რეგულირებას არ ადგენს დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით.

ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის მთავარი ბანკი, რომელიც აკონტროლებს კომერციული ბანკების საქმიანობას, ვფიქრობთ აუცილებლად უნდა ადგენდეს მის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის საფუძველზე, ბანკების მიერ აკრედიტივის დროს დოკუმენტების მიღების და შემოწმების პროცედურებს. აღნიშნული, წარმოადგენს უმთავრეს პრობლემას საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით, ვინაიდან საერთაშორისო პრაქტიკაში თითქმის 80% წარდგენილი დოკუმენტებისა შეუსაბამოა ბანკების მიერ და ამის საფუძველზე არ ახდენენ ანგარიშსწორებას ხარვეზის აღმოფხვრამდე.¹⁷⁵ შესაბამისად ნათლად იკვეთება, აღნიშნულ საკითხებზე პროცედურების დადგენის აუცილებლობა კომერციული ბანკებისთვის და აკრედიტივიში მონაწილე სხვა მხარეებისათვის.

იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს სასამართლო პრაქტიკა (მაგ. ინგლისი), აკრედიტივის რეგულირების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო პრაქტიკას. ნაშრომში განხილული იქნა მრავალი საერთაშორისო საქმე სასამართლო პრაქტიკიდან, სხვადასხვა პრობლემების ჭრილიში, რამაც შემდგომ სათავე დაუდო აკრედიტივთან დაკავშირებულ მრავალ ფუძემდებლურ პრინციპს. სამწუხაროდ, აკრედიტივის დაბალი გამოყენების მაჩვენებლის და საკანონმდებლო რეგულირების სიმწირის გამო, საქართველოში დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს. თუმცა, ვფიქრობთ წინამდებარე ნაშრომი მრავალი მინიშნების მიმცემი იქნება თავად მოსამართლეებისთვისაც და პროცესის მხარეებისთვის მომავალში, აკრედიტივთან დაკავშირებით საკითხების მსჯელობისას და გადაწყვეტისას.

¹⁷⁵ Matti S. Kurkela, *Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law*, Oxford University Press, New York, USA, 2008, 139.

ქვეყნის ტერიტორიული სიმცირის, ასევე დასახლებული და სამრეწველო საწარმოების, საბითუმო ბაზრების ერთმანეთთან სიახლოვის გამო, შიდა სავაჭრო გარიგებებში ნაკლებად არის გამოყენებული დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორება. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, მიზანშეწონილია საქართველოში ფართოდ დაინერგოს აკრედიტივის გამოყენებით ანგარიშსწორება შიდა სავაჭრო ურთიერთობებში, რომლითაც გარანტირებული იქნება როგორც საქონლის გამყიდველის, ისე მყიდველის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი, რაზეც გასატარებელია შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები როგორც სახელმწიფო დაწესებულებების, ისე კერძო კომპანიების მხრიდან.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის წარმოშობა და განვითარება უშუალოდ უკავშირდება სავაჭრო გარიგებების განვითარებას. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივი დღეის მდგომარეობით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საბანკო მომსახურების ფორმას და ეფექტურად გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში. მიიჩნევა, რომ საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს ბიზნეს ტრანზაქციებში გამოსაყენებელ ანგარიშსწორების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას. ამიტომაცაა, რომ აღნიშნული ინსტიტუტის შესწავლა და მისი ქართულ კერძო სამართალში ადაპტირება ატარებს არამარტო თეორიულ, არამედ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების მხარეთა საკითხი საკმაოდ პრობლემურია. სირთულეს ქმნის ის, რომ ხელშეკრულების ძირითადი მხარეების (გამყიდველი/ბენეფიციარი, მყიდველი/აპლიკანტი, გამხსნელი ბანკი, შემტყობინებელი ბანკი/დამადასტურებელი ბანკი) მდებარეობენ სხვადასხვა ქვეყნებში, რაც ართულებს, როგორც თავად დოკუმენტური აკრედიტივის ფინანსურ და ტექნიკურ, ასევე იურიდიულ საკითხებსაც. კერძოდ, ნებისმიერ ამგვარ

ურთიერთობაში ხშირად წარმოიშობა პრობლემა გამოსაყენებელ სამართალთან და ბანკებს შორის ურთიერთანგარიშსწორებასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად ყველაზე ეფექტური გზა სწორედ ის საერთაშორისო შეთანხმებები და აქტებია, რომლებზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სახეთა მიმოხილვა ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მრავალფეროვანია ისინი პრაქტიკაში. მათი შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული სამართლისთვის. აუცილებელია, მოხდეს დოკუმენტური აკრედიტივის თითოეული სახეობის ღრმა გაანალიზება და დაისახოს გზები მათი ქართულ სამართალში დამკვიდრებისა, ვინაიდან არანაირი ხსენება და რეგულირება ქართულ სამართლებრივ სივრცეში მათ შესახებ არაა. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართული საბანკო პრაქტიკა უკვე იცნობს რამდენიმე სახის აკრედიტივს და ცდილობს მათი მომხმარებლისათვის შეთავაზებას. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რისკების დივერსიფიცირების ნაკლებობის გამო, კომერციული ბანკები ხშირად მაღალ საკომისიოს ითხოვენ ამა თუ იმ აკრედიტივის სახეობის გამოყენებისას, რაც აფერხებს არამარტო არსებული აკრედიტივის სახეობათა გამოყენებას, ასევე ახალი აკრედიტივის სახეობის რეცეფიცირებას და მის შემდგომ განვითარებასაც.

აკრედიტივის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ანგარიშსწორების ფორმის, ყველაზე მნიშვნელოვანი სპეციფიკა, მის დოკუმენტურ ბუნებაში მდგომარეობს. ეს სპეციფიკურობა მისი სახელწოდებიდანაც ნათლად ჩანს. თანამედროვე საერთაშორისო საბანკო სამართალში სწორედ „დოკუმენტური აკრედიტივის“ ცნებითაა დამკვიდრებული მომსახურების ეს სახე. ამიტომაც, ვფიქრობთ, სწორედ დოკუმენტაციის ზუსტი ჩამონათვალი და ამ დოკუმენტაციის შინაასრის შესწავლა უნდა იქცეს დოკუმენტური აკრედიტივის კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ არეალად. რაც უფრო ზუსტი და ნათელი იქნება წარსადგენი

დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მით უფრო ადვილად მოხდება აკრედიტივის განაღდება. ეს კი პირდაპირ ხელს შეუწყობს დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების განვითარებას და ამ მომსახურების ტიპს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მხარეებისთვის. ამისათვის, როგორც ზევით აღინიშნა აუცილებელია დეტალური რეგულირების შემუშავება დოკუმენტების ჩამონათვალის, წარდგენის და შემოწმების პროცედურებთან.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება უშუალოდ უკავშირდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტეს. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ „ზუსტი შესატყვისობის პრინციპი“ („Doctrine of Strict Compliance“) მის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამიტომაც აღნიშნული პრინციპის დოქტრინული შესწავლა ქართული საბანკო სამართლისთვის უდავოდ საშური და აუცილებელი საქმეა.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის შესწავლისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია „ავტონომიის პრინციპი“. აღნიშნული გულისხმობს მის დამოუკიდებლობას სხვა ნებისმიერი ურთიერთობისგან, განსაკუთრებით იმ გარიგებისგან, რომელიც დადეს მხარეებმა და რის საფუძველზეც წარმოიშვა აკრედიტივი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარეების მიერ ძირითადი გარიგების პირობების დარღვევა გავლენას ვერ იქონიებს აკრედიტივს შესრულებაზე, რაც თავისთავად უმნიშვნელოვანეს დაცვის გარანტიებს ქმნის მხარეების ინტერესების დასაცავად. ეს კი დოკუმენტური აკრედიტივის არააქცესორულ ბუნებაზე მიგვანიშნებს და სწორედ ამ ნაწილში უახლოვდება ის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. უდავოა, რომ სწორედ დოკუმენტური აკრედიტივის არააქცესორულობა განაპირობებს მის სიახლოვეს საბანკო გარანტიასთან და მხარეებისათვის მიმზიდველს ხდის ანგარიშსწორების ამ ფორმის გამოყენებას.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის შესწავლის ძირითადი სპეციფიკა ნათლად აისახება თავად საერთაშორისო სავაჭრო გარიგების

სამართლებრივ ბუნებაში. სწორედ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების შესწავლა განაპირობებს დოკუმენტური აკრედიტივის განვითარებისთვის ხელშეწყობის წინაპირობებს.

საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში ქმნის კარგ წინაპირობებს გარიგების კეთილსინდრიერად და ჯეროვნად შესრულების თვალსაზრისით. როდესაც მხარეები აფორმებენ ხელშეკრულებას, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად და ჯეროვნად შეასრულონ. ზემოაღნიშნული, კი მხარეებს ავტომატურად უბიძგებს შეარჩიონ ისეთი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც მათთვის მომგებიანი და სამართლიანი იქნება. ამ ჭრილში, ნათელია, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ანგარიშსწორების ნაწილია. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ სწორედ ხელშეკრულების შესრულების სტაბილურობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის ხშირი გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ქართული ლიტერატურა:

1. ზვიად გაბისონია-საბანკო სამართალი, თბილისი 2012წ; გამომცემლობა მერიდიანი;
2. ჯოლია გ. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები. სახელმძღვანელო.თბ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2008;
3. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბილისი 2014, გამომცემლობა სამართალი;
4. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. გამომცემლობა სტუ. თბ. 2010;
5. თამარ ზამბახიძე, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-1; დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმა;
6. ჯონ დ. დენიელსი, ლი ჰ. რედებოგი, დენიელ ჰ. სალივანი, საერთაშორისო ბიზნესი - გარესამყარო და ოპერაციები, მთავარი რედაქტორი თეიმურაზ შენგელია, Pearson Education, თარგმანი მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, 2013;
7. ლინდერტი ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა . გამომცემლობა-სიახლე. თბ. 2011წ;
8. მესხია ი. საერთაშორისო ვაჭრობა. გამომცემლობა თსუ 2011წ;
9. პეპანაშვილი ნ. ბიზნეს სამართალი. საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება. გამომცემლობა - ბონა კაუზა, თბ. 2011;
10. ლუდუშაური ლ., კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. გამომცემლობა თსუ. თბილისი, 2002;
11. კაულია, რ. ბახტაძე, ლ. საბანკო საქმე. გამომცემლობა მერიდიანი. თბ. 2010 წ;

უცხოური ლიტერატურა:

1. Larry A. DiMatteo, International Contracting Law and Practice, Kluwer Law International, Netherlands, 2013;
2. კროპკოლერი. ი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. სასწავლო კომენტარი. თბ. 2014;
3. Gerard Caprio, JR., Douglas D Evanoff, George G Kaufman, Cross-Border Banking, Singapore/USA, World Scientific Publishing, 2006;
4. Geoffrey P. Miller, Fabrizio Cafaggi, The Governance and Regulation of International Finance, Edward Elgar Publishing, Cheltenham, UK, 2013;
5. Peter Ellinger, Dora Neo, The Law and Practice of Documentary Letters of Credit, hart publishing, Portland, USA, 2010;
6. V.Gerard Comizio, International Banking Law, USA ST.Paul, 2016;

7. Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, *Transnational Commercial Law*, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015;
8. Martin Davies, David V.Snyder, *International Transaction in Goods*, USA, Oxford University Press, 2014;
9. Ali Malek QC, David Quest, Jack: *Documentary Credits*, Tottel Publishing, Fourth Edition, Great Britain, 2009;
10. Colin Bamford, *Principles of International Financial Law*, Second Edition, Oxford University press, UK, Croydon, 2015;
11. Burton V. McCullough, *Letters of Credit*, LexisNexis, San Francisco, USA, 2007;
12. Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, second edition, oxford university press, oxford, UK, 2015;
13. Nelson Enonchong, *The Indipendence Principle of Letters of Credit and Demand Guarantees*, Oxford University Press, oxford, UK, 2011;
14. Lutz-Christian Wolff, *The Law of Cross-Border Business Transactions*, Kluwer Law International, Netherlands, 2013;
15. Matti S. Kurkela, *Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law*, Oxford Univesity Press, New York, USA, 2008;
16. Charles Proctor, *The Law and Practice of International Banking*, USA, Oxford University Press, 2010;
17. *Commentary on UCP600, Artilce-by-Article Analysis by the UCP 600 drafting group*, ICC publication, Paris, France, 2007;
18. Chow Schoenbaum, *International Business Transactions, Problems Cases and Materials*, Aspen Publishers, New York, USA, 2005;
19. Jan Dalhuisen, *Dalhuisen on International Commercial, Fiancianl and Trade Law*, USA, Portland, Oregon, 2004;
20. Charles Chatterjee, *Legal Aspects of Trade Finance*, London, UK, Routledge-Haines House, 2006;
21. Paul Todd, *Bills of Lading and Banker's Documentary Credits*, Fourth Edition, London, UK, 2007;
22. Walter Baker and John F.Dolan, *User's Handbook for Documentary Credit, under UCP600*, ICC publication, Paris, France, 2008;
23. Тавасиев А. Эриашвили Н. *Банковское дело*. М. издательство юнити .2004 г;
24. Xiang Gao, *The Fraud Rule in the Law of Letter of Credit*, Kluwer law international, the Hague, the Netherlands, 2002;
25. Mary Beth Matthews, Steve H. Nickles, *Payments Law in a Nutshell*, St. Paul, USA, 2015;
26. Roeland Bertrams, *Bank Guarantees in International Trade*, third revised edition, Kluwer Law International, Hague, Netherlands, 2004;
27. Ebenezer Adodo, *Letters of Credit, The law and practice of Compliance*, Oxford University press, oxford, UK, 2014;
28. Ralph H.Folsom, Michael Wallace Gordon, Michael P. Van Alstine, Michael D. Ramsey, *International Business Transactions, Contracting Across Borders*, twelfth edition, West Academic Publishing, St. Paul, USA, 2015;

29. Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Jeffrey Wool, Transnational Commercial Law, Second Edition, UK, Oxford University Press, 2012;
30. Lynn M. Lopucki, Elizabeth Warren, Daniel Keating, Ronald J. Mann, Commercial Transactions, A Systems Approach, Aspen publishers, New York, USA, 2006;
31. Michael Isaac Michael Barnett, International Trade Finance, Letter of Credit, 2007;
32. Ralph H. Folsom, Michael Wallace Gordon, John A. Spanogle Jr., Peter L. Fitzgerald, International Business Transactions, American Casebook Series, Thomson/West, St. Paul, USA, 2005;
33. Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Transnational Commercial Law, Text, Cases and Materials, Oxford University Press, New York, USA, 2007;
34. Andrew Haynes, The Law Relating to International Banking, Bloomsbury Professional, Great Britain, 2010;
35. Larry A. DiMatteo, International Sales Law, Cambridge University Press, New York, USA, 2014;
36. N. Orkun Akseli, Availability of Credit and Secured Transactions in a time of crisis, Cambridge University Press, Cambridge, UK, 2013;
37. Hans van Houtte, FCI Arb, The Law of International Trade, Sweet & Maxwell, London, Great Britain, 2002;
38. William F. Fox, International Commercial Agreements, fourth edition, Kluwer Law International, Netherlands, 2009;
39. Clayton P. Gillette, International Sales Law, Edward Elgar Publishing, Cheltenham, UK, 2016;
40. Ralph H. Folsom, Michael Wallace Gordon, John A. Spanogle, Jr., Peter L. Fitzgerald, Documents Supplement to International Business Transactions, Thomson/West, USA, 2005;
41. Roy Goode, Herbert Kronke, Ewan McKendrick, Jeffrey Wool, Transnational Commercial Law Primary Materials, Oxford University Press, New York, USA, 2007;
42. Simon Gleeson, International Regulation of Banking, second edition, Oxford University Press, Oxford, UK, 2012;
43. Larry A. DiMatteo, Andre Janssen, Ulrich Magnus, Reiner Schulze, International Sales Law - Contract, Principles and Practice, C.H. Beck-Hart-Nomos Publishing, Baden-Baden, Germany, 2016;
44. Jan Ramberg, International Commercial Transactions, ICC publication, Fourth Edition, Printed in Sweden, 2011;
45. R. Griffin, M. Pusty. INTERNATIONAL BUSINESS. Upper Saddle River, New Jersey, 2006;
46. Маисуров Г. Муждународный акредитив. Доктрина нормотворческой и правоприменительной практики. М. издательство Спарк. 2004 г;

47. Тавасиев А. Эриашвили Н. Банковское дело. М. издательство юнити .2004 г;
48. Гриффин Р., Пастей М. Международный бизнес. 4-изд. / Пер. с англ. под ред. А. Г. Медведева. — Питер, 2006;

სამართლებრივი აქტები-კონვენციები:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ;
3. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების შესახებ;
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის 220ბრძანება „საქართველოს უნაღლო ანგარიშსწორების წესები“;
5. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 16 ივლისის #182 ბრძანება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დავალებით საქართველოს ეროვნულ ბანკში აკრედიტივით ოპერაციის წარმოების წესი.
6. Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 600), issued by International Chamber of Commerce;
7. Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP 500), issued by International Chamber of Commerce;
8. Uniform Commercial Code - აშშ-ს სავაჭრო კოდექსი;
9. EUCP – Electronic Customs and Practice for Documentary Credits;
10. URDG – Uniform Rules for Demand Guarantees;
11. ISP98 – International Standbay Practices;
12. CISG – United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods;

ვებ-გვერდი:

1. https://en.wikipedia.org/wiki/Ex_turpi_causa_non_oritur_actio;
2. www.iccwbo.org/policy/banking;
3. www.swift.com;
4. <http://www.gccc.ge>

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. EQUITABLE TRUST COMPANY OF NEW YORK v. DAWSON PARTNERS, LTD. (1927) 27 Ll.L.Rep. 49, HOUSE OF LORDS. Before the Lord Chancellor (Viscount Cave), Viscount Sumner, Lord Atkinson , Lord Shaw and Lord Carson;
2. Panoutsos v Raymond Hadley Corporation of New York, [1917] 2 KB 473 (CA);

3. FORESTAL MIMOSA LTD. v. ORIENTAL CREDIT LTD.[1986] 1 Lloyd's Rep. 329,COURT OF APPEAL, Before Lord Justice Croom-Johnson, Lord Justice Balcombe and Sir John Megaw;
4. BANCO SANTANDER SA V BAYFERN LTD AND OTHERS: COMC 29 JUN 1999;
5. Jackson v Royal Bank of Scotland [2005] 1 WLR 377 House of Lords;
6. Oei v. CITIBANK, NA, 957 F. Supp. 492 (S.D.N.Y. 1997), U.S. District Court for the Southern District of New York - 957 F. Supp. 492 (S.D.N.Y. 1997), March 20, 1997;
7. Courtaulds North America, Inc., Appellee, v. North Carolina National Bank, a National Bankingassociation, Appellant, 528 F.2d 802 (4th Cir. 1975), U.S. Court of Appeals for the Fourth Circuit - 528 F.2d 802 (4th Cir. 1975);
8. J. H. RAYNER & CO., LTD., AND THE OILSEEDS TRADING COMPANY, LTD. v. HAMBROS BANK LIMITED, (1942) 73 L.L.Rep. 32, KING'S BENCH DIVISION, Before Mr. Justice Atkinson;
9. GUARANTY TRUST COMPANY v. VAN DEN BERGHS, LTD, (1925) 22 L.L.Rep. 190, COURT OF APPEAL, Before Lord Justice Bankes, Lord Justice Scrutton and Lord Justice Sargant;
10. UNITED CITY MERCHANTS V ROYAL BANK OF CANADA: HL 1983;
11. POWER CURBER INTERNATIONAL LTD. v. NATIONAL BANK OF KUWAIT S.A.K, [1981] 2 Lloyd's Rep. 394, COURT OF APPEAL, Before Lord Denning, M.R., Lord Justice Griffiths and Mr. Justice Waterhouse;
12. Supreme Court, New York County, New York, Special Term, SZTEJN, J. HENRY SCHRODER BANKING CORPORATION et al, 177 Misc. 719, 31 N.Y.S.2d 631;